

ასტრიდ ლინდგრენი

9-10
წელიდან

მით, ჩემო მით





მაიტხველთა ლიბა

ასტრიდ ლინდგრენი მიო, ჩემო მიო



ილუსტრატორი ილონ ვიკლანდი
გერმანულიდან თარგმნა ქეთევან იაშვილმა

ის დღესა და ღამეში მოგზაურობს

შარშან, თხუთმეტ ოქტომბერს, რადიოს თუ მოუსმინეთ? გაიგეთ, გამქრალ ბიჭუნას რომ ეძებდნენ? ასე აცხადებდნენ: „სტოკჰოლმის პოლიცია ცხრა წლის ბო ვილჰელმ ულსონს ეძებს, რომელიც უპლანდსგათან ცამეტიდან გუშინწინ საღამოს 18 საათის შემდეგ გაქრა. ბო ვილჰელმ ულსონს ქერა თმა და ცისფერი თვალები აქვს. ყავისფერი მოკლე შარვალი და ნაცრისფერი სვიტერი აცვია, თავზე კი პატარა წითელი ქუდი ახურავს. შეგიძლიათ გამქრალი ბიჭუნას შესახებ მოპოვებული ინფორმაცია მორიგე პოლიციელს შეატყობინოთ“.

ღიახ, ასე ამბობდნენ. მაგრამ პოლიციაში ბო ვილჰელმ ულსონზე არანაირი შეტყობინება არ მისულა. ის გაქრა. ისე გაქრა, რომ არაფინ იცოდა, სად იყო. არაფინ, ჩემ გარდა, რადგან ბო ვილჰელმ ულსონი მე თვითონ ვარ.

ნეტავ ბენკასთვის მაინც შემეძლოს ყველაფრის მოყოლა. ჩვენ ერთად ხშირად ვთამაშობდით. ისიც უპლანდსგათანზე ცხოვრობს. სინამდვილეში მას ბენგტი ჰქვია, მაგრამ ყველა ბენკას ეძახის. რა თქმა უნდა, მეც არ მეძახიან ბო ვილჰელმ ულსონს, უბრალოდ, ბოსე შემარქვევს. უფრო სწორად, ადრე მეძახდნენ ბოსეს. ახლა, როდესაც გაფქრი, არანაირად აღარ მეძახიან. მხოლოდ დეიდა ედლა და ბიძია სიქსტენი მეძახდნენ ბო ვილჰელმ ულსონს. არა, სიმართლე რომ ვთქვა, ბიძია სიქსტენი არც ისე მომმართავდა, არც - ასე, რადგან თითქმის არ მელაპარაკებოდა.

დეიდა ედლას და ბიძია სიქსტენს მე ნაშვილები ვყავდი. მათთან ერთი წლისამ ამოვყავი თავი. მანამდე თურმე უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში ვცხოვრობდი. იქიდან დეიდა ედლამ წამომიყვანა. მას გოგონას აყვანა სურდა, მაგრამ რადგან შესაფერისი გოგო ვერ ნახა, მე წამომიყვანა. დეიდა ედლა და ბიძია სიქსტენი ვერ იტანდნენ ბიჭებს, განსაკუთრებით - რვა-ცხრა წლისებს. დეიდა ედლა ირწმუნებოდა, რომ სახლში აუტანელი ხმაური იდგა, თეგნერპარკში თამაშის შემდეგ სახლში ჭუჭყი შემომქონდა, ტანსაცმელს აქეთ-იქით ვყრიდი, ხმამაღლა ვლაპარაკობდი და ვიცინოდი. სულ ერთსა და იმავეს ამბობდა: „წყეული იყოს ის დღე, როცა ამ სახლში შემოგიყვანეო“. ბიძია სიქსტენი არასოდეს არაფერს მეუბნებოდა, მაგრამ ზოგჯერ მაინც მიყვიროდა ხოლმე: „შენ, ეი, მოწყდი აქედან, თვალით არ დამენახო!“

თითქმის მთელ დღეს ბენკასთან ვატარებდი. მამამისი ხშირად ელაპარაკებოდა ბენკას და თვითმფრინავის მოდელეების აგებაში ეხმარებოდა. ზოგჯერ სამზარეულოს კარზე ნიშანს ადებდა, რომ გაეგო, როგორ იზრდებოდა ბენკა. ბენკას უფლება ჰქონდა, რამდენიც სურდა, იმდენი ელაპარაკა და ეცინა; სადაც უნდოდა, იქ მიეყარა ტანსაცმელი - მამამისს ის მაინც უყვარდა. ბენკასთან მისვლა და თამაში ყველა ბიჭს შეეძლო, ჩემთან კი - არავის, რადგან დეიდა ედლა ამბობდა: „აქ უზნეო ბავშვების საჭირითო ადგილი არ არისო“. ბიძია სიქსტენი კვერს უკრავდა: „ერთი დამთხვეული რომ გვყავს, ისიც საკმარისიაო“.

სალამოს, როდესაც სანოლში ვინეჩი ხოლმე, ვოცნებობდი, ბენკას მამა მამაჩემიც ყოფილიყო. მერე თავს იმაზე ფიქრით ვიმტვრევდი, თუ ვინ იყო სინამდვილეში მამაჩემი და რატომ არ შემიძლო მასთან და ნამდვილ დედასთან ცხოვრება; რატომ უნდა ვყოფილიყავი უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში ან დეიდა ედლასთან და ბიძია სიქსტენტან?! დეიდა ედლამ მითხრა, რომ დედაჩემი ჩემი გაჩენისას გარდაცვლილა. „არავინ იცის, ვინ იყო მამაშენი, მაგრამ ადვილი მისახვედრია, რა არამზადაც იქნებოდაო“, - ამბობდა დეიდა ედლა. ამის გამო ძალიან მეზიზღებოდა დეიდა ედლა. შეიძლება, მართლაც ამბობდა, დედაჩემი მართლაც ჩემს გაჩენას გადაჰყვა, მაგრამ ნამდვილად ვიცოდი, რომ მამაჩემი არამზადა არ იყო. სანოლში ვინეჩი და მას მივტიროდი.

ერთადერთი ადამიანი, ვინც ნამდვილად კეთილად მექცეოდა, დეიდა ლუნდინი იყო, ხილის მალაზიაში რომ მუშაობდა. წარამარა ტკბილეულსა და ხილს მაჩუქებდა ხოლმე.

ახლა, მას შემდეგ, რაც ამდენი რამ მოხდა, სულ ვფიქრობ, ნეტავ ვინ იყო დეიდა ლუნდინი. შარშან, ოქტომბრის ერთ დღეს ხომ ყველაფერი სწორედ მასთან დაიწყო.

იმ დღეს დეიდა ედლამ რამდენჯერმე გამიმეორა, რომ მისი ყველა უბედურების მიზეზი მე ვიყავი. სალამოს ექვსი საათი იქნებოდა, რომ მითხრა, დროტინგათანზე გავქცეულიყავი და საფუნთუშიდან მისი საყვარელი ორცხობილა მომეტანა. მე ჩემი წითელი ქუდი დავიხურე და ქუჩაში გავვარდი.

ხილის მალაზიასთან რომ მივედი, დავინახე, დეიდა ლუნდინი კარში იდგა. მან ნიკაპზე ხელი მომკიდა და დიდხანს, ძალიან დიდხანს უცნაურად მიქცეროდა. შემდეგ მკითხა:

- გინდა ვაშლი?

- დიახ, თუ შეიძლება, - ვუთხარი მე.
ლამაზი, მწიფე ვაშლი მომცა, რომელიც გემრიელი ჩანდა. შემდეგ მკითხა:

- შეგიძლია ჩემ მაგივრად საფოსტო ყუთში ბარათი ჩააგდო?

- დიახ, სიამოვნებით, - მივუგე მე.

ბარათზე რამდენიმე სტრიქონი დაწერა და მომცა.

- მშვიდობით, ბო ვილჰელმ ულსონ, - დამემშვიდობა დეიდა ლუნდინი, - მშვიდობით, მშვიდობით, ბო ვილჰელმ ულსონ!..

საერთოდ, ყოველთვის ბოსეს მეძახდა, ამიტომ ახლა ასე მომართვა უცნაურად მეჩვენა.

საფოსტო ყუთი რამდენიმე სახლის მოშორებით იყო. მე გავიქეცი. როდესაც ბარათის ჩაგდება დავაპირე, დავინახე, რომ ის ერთიანად ანათებდა და ბრწყინავდა. დიახ, დეიდა ლუნდინის ნაწერი ალისფრად ანათებდა. თავი ვერ შევიკავე და ბარათი წავიკითხე. ზედ ეწერა:

შორეული ქვეყნის მეფეს

ის, ვისაც შენ ასე დიდხანს ეძებდი, გზაშია.

ის დღესა და ღამეში მოგზაურობს და ნიშნად ხელში ოქროს ვაშლი უკავია.

ვერაფერი გავიგე, მაგრამ ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ბარათი მაშინვე საფოსტო ყუთში ჩავაგდე.

საინტერესოა, ვინ იყო ის, ვინც დღესა და ღამეში მოგზაურობდა? ვინ ატარებდა ხელით ოქროს ვაშლს?

უნებურად დეიდა ლუნდინის მოცემულ ვაშლს დაფხედე. ეს ვაშლი ოქროსი იყო. დიახ, ვამბობ, რომ ოქროს ვაშლი იყო. მე ხელში ოქროს ვაშლი მეჭირა. გული ყელში მომებჯინა. არ მიტირია, მაგრამ ტირილს აღარაფერი მაკლდა. მარტოსული ვიყავი. თევზერპარკში წავედი და სკამზე ჩამოვჯექი. კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. ყველა შინ წასულიყო სავახშმოდ. პარკში ბინდი იდგა და ცოტათი წვიმდა კიდევ, მაგრამ გარშემო ყველა სახლი განათებული იყო. ბენკას ფანჯრიდანაც შუქი გამოდიოდა. ახლა ის დედ-მამასთან ერთად მუხუდოსა და ბლინებს მიირთმევდა. წარმოვიდგინე, რომ იქ, სადაც შუქი ენთო, ბავშვები დედებთან და მამებთან ერთად ისხდნენ. გარეთ, სიბნელებში, მხოლოდ მე ვიჯექი. ვიჯექი მარტო, ოქროს ვაშლით ხელში, რომ-

ლის შესახებაც არაფერი ვიცოდი. არც ის ვიცოდი, რა უნდა მექნა ამ ვაშლით. ვაშლი ფრთხილად გადავდე გვერდზე და თავი ფიქრებს მივეცი.

შორიახლოს ლამპიონი იდგა, მისი შუქი გვანათებდა მეც და ვაშლსაც. უეცრად მიწაზე რაღაცამ გაიბრწყინა. ეს ჩვეულებრივი ლუდის ბოთლი იყო. რა თქმა უნდა, ცარიელი. ვილაცას მის ყელში ჯოხის ნატეხი გაეჩხირა. ნამდვილად ერთ-ერთი იმ ბავშვთაგანი იზამდა, თეგნერპარკში შუადღისას რომ თამაშობენ ხოლმე. ბოთლი ავიღე და ეტიკეტი წავიკითხე: სააქციო საზოგადოება „სტოკჰოლმის II ხარისხის ლუდსახდელი“. კითხვის დროს შევამჩნიე, რომ ბოთლში რაღაც მოძრაობდა. ერთხელ ბიბლიოთეკიდან „ათას ერთი ლამე“ გამოვიტანე, სწორედ იქ წავიკითხე ბოთლში გამომწყვდეული სულის ამბავი. მაგრამ ეს ხომ შორეულ არაბეთში, ათასობით წლის წინ მოხდა და არც ჩვეულებრივი ბოთლი ყოფილა. სულ სხვა ამბავია თეგნერპარკში დაგდებული ლუდის ბოთლი. ნუთუ შეიძლება სტოკჰოლმის ლუდის ქარხნის ბოთლებში სულები ისხდნენ?! მაგრამ ამ ბოთლში ნამდვილად ვილაც იყო. ბოთლში ნამდვილად სული იჯდა. აშკარად ეტყობოდა, გამოსვლა სურდა. მან ბოთლის ყელში გაჩხერილ ნატეხზე მიმანიშნა და მუდარით შემომხედა.

აქამდე არავითარ სულთან არ მქონია საქმე და ამიტომ საცობის ამოღებისა შემეშინდა კიდევ, მაგრამ ბოლოს მაინც გავბედე. სული ბოთლიდან საშინელი ხმაურით ამოვარდა და იმავე წამს ზრდა დაიწყო. იქამდე დიდდებოდა, სანამ თეგნერპარკთან აშენებულ სახლებზე დიდი არ გახდა. სულები ხომ ასე იქცევიან: მათ ისე შეუძლიათ დაპატარავება, რომ ბოთლშიც კი ეტევიან, ხოლო მეორე წამს სახლებზე მალღები ხდებიან.

ვერავინ წარმოიდგენს, როგორ შემეშინდა. მთელი სხეულით ვცახცახებდი. მერე სულმა ლაპარაკი დაიწყო. მისი ხმა ჩანჩქერის გრუხუნით ისმოდა და გავიფიქრე, აი, ეს უნდა გაიგონონ დეიდა ედლამ და ბიძია სიქსტენმა, სულ რომ წუნუნებენ, ხალხმა ხმამალალი ლაპარაკი იცისო.

- ბიჭო, - მითხრა სულმა, - შენ საპყრობილიდან გამათავისუფლე. მითხარი, მადლობა რით გადაგიხადო.



იმისთვის, რომ ბოთლიდან რაღაც პატარა ხის ჩხირი გამოვაცხვრე, არანაირი ჯილდო არ მსურდა. თურმე სული სტოკჰოლმში წინა სალამოს ჩამოსულა და ბოთლში დასაძინებლად შემძვრალა. სულისთვის ყველაზე საყვარელი დასაძინებელი ადგილი ხომ ბოთლია. მაგრამ სანამ ეძინა, მისთვის გასასვლელი ვიღაცას ჩაეკეტა და მე რომ არ გამეთავისუფლებინა, ალბათ ათას წელიწადს მოუწევდა იქ ყოფნა, სანამ საცობი არ დალპებოდა.

- ეს ჩემს მეფე-ბატონს ნამდვილად არ მოეწონებოდა, - ჩაიბურღლუნა თავისთვის სულმა.

მე გავბედე და ვკითხე:

- სულო, საიდან ხარ?

სული ერთი წამით დადუმდა, მერე კი თქვა:

- შორეული ქვეყნიდან.

ეს ისე ხმამაღლა თქვა, რომ თავმა ზრიალი დამიწყო. მისმა ხმამ იმ ქვეყნის მიმართ ლტოლვა გამიღვიძა, ვიგრძენი, იქ თუ არ წავიდოდი, ვეღარ ვიცოცხლებდი. სულს ხელები გავუწოდე და ვიყვირე:

- წამიყვანე! შორეულ ქვეყანაში წამიყვანე! იქ მე მელოდებიან.

სულმა თავი გააქნია, მაგრამ მე ოქროს ვაშლი გავუწოდე და სულმა შესძახა:

- შენ ჯადოსნური ნიშანი გაქვს! შენ ის ხარ, ვინც თან უნდა წავიყვანო. შენ ის ხარ, ვისაც ჩემი მეფე-ბატონი ამდენი ხანია დაეძებს!

მერე ჩემკენ დაიხარა და ხელში ამიყვანა. ჩვენ გარშემო რაღაც აგრუხუნდა და ორივენი ჰაერში ავფრინდით. მალე ჩამოვიტოვეთ ბნელი თევზერპარკი და ყველა სახლი, რომლის ფანჯრებშიც შუქი ენთო და ბავშვები დედებთან და მამებთან ერთად ვახშამს მიირთმევდნენ. მე კი, ბო ვილჰელმ ულსონი, ზევით, ვარსკვლავების სამყაროში დავქროდი.

ჩვენ ქვემოთ ღრუბლები დაცურავდა, ჩვენ კი ელვაზე სწრაფად და ხმამაღალი ქუხილით წინ მივქროდით. გარშემო ვარსკვლავები, მთვარე და მზე ელვარებდა. ხან კუნაპეტ სიბნელეში გავვხვეოდით ხოლმე, ხანაც თვალისმომჭრელ სინათლეში მივქროდით.

- ის დღესა და ღამეში მოგზაურობს, - ჩავიჩურჩულე მე. ასე ეწერა ბარათზე.

უცბად სულმა ხელი გაიშვირა და რაღაც დამანახვა - ცისფერ კამკამა წყალსა და მზის შუქში ჩაფლული მწვანე მინდორი.

- გაიხედე, ისაა შორეული ქვეყანა, - მითხრა მან.

ჩვენ ძირს, სიმწვანისაკენ დავეშვით და კუნძულზე აღმოვჩნდით. ეს იყო კუნძული, რომელიც ზღვაში ცურავდა. ჰაერში ათასობით ვარდისა და შროშანის სურნელი იდგა. ირგვლივ უმშვენიერესი მუსიკა ისმოდა. ზღვის ნაპირას თეთრი დიდი სასახლე იდგა და ჩვენც იქით გავეშურეთ.

ნაპირზე ვილაცა მორბოდა ჩვენკენ. ეს მეფე იყო, მამაჩემი. როგორც კი დავინახე, მაშინვე ვიცანი. ვიცოდი, რომ მამაჩემი იყო. მან ხელები გაშალა და მეც ჩავეხუტე. დიდხანს ვყავდი გულში ჩაკრული. სიტყვა არ დავგვიძრავს. მე მთელი ძალით ვეხვეოდი კისერზე.

ოჰ, როგორ მიხდა, დეიდა ედლამ დაინახოს მამაჩემი! რა ლამაზია! როგორ ბრწყინავს მისი ოქროთი ნაკერი და ბრილიანტებით შემკული ტანსაცმელი! ბენკას მამას ჰგავს, მაგრამ მასზე უფრო ლამაზია. დასანანი იყო, რომ დეიდა ედლა ვერ ხედავდა მას! მაშინვე მიხვდებოდა, რომ მამაჩემი არამზადა არ იყო.

დეიდა ედლას სიმართლე უთქვამს: დედაჩემი მართლაც ჩემი გაჩენისას გარდაცვლილა. უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში კი იმ სულელ ხალხს თავში აზრადაც არ მოსვლია, მამაჩემისთვის, მეფისთვის, ჩემი ადგილსამყოფელი შეეტყობინებინა. მამა თურმე მთელ ცხრა წელიწადს მეძებდა. მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს, ჩემი ნამდვილი სახლი ვიპოვე.

აქ, შორეულ ქვეყანაში, მთელი ღღეები მხიარულებაში გადის. ყოველ საღამოს მამა-მეფე ჩემს ოთახში შემოდის, ჩვენ თვითმფრინავის მოდელეებს ვაშენებთ და ვსაუბრობთ.

ამასობაში მე ვიზრდები. ამ ქვეყანაში თავს კარგად ვგრძნობ. მამა-მეფე ყოველთვე სამზარეულოს კარზე ხაზს უსვამს, ნიშანს ადებს, რომ გაიგოს, რამდენით გავიზარდე.

- მით, ჩემო მით, საოცრად გაიზარდე, - მეუბნება მამა, როდესაც მზომავს.

- მით, ჩემო მით, მთელ ცხრა წელიწადს გეძებდი, - მეუბნება მამა საოცრად თბილი და ნაზი ხმით, - ყოველღამე თვალმოუხუჭავად ვინეცი და ჩემს მიოზე ვფიქრობდი. შენზე ვფიქრობდი. მაშინვე ვიცოდი, რომ მით გერქვა.

ესეც ასე: თურმე ბოსე არ მრქმევია. ჩემი სახელიც ისევე არ ყოფილა ნამდვილი, როგორც მთელი ჩემი ცხოვრება უპლანდსგათანზე.

ახლა ყველაფერი თავის ადგილზეა: მე ვალმერთებ მამაჩემს და მასაც ძალიან ვუყვარვარ.

რა კარგი იქნებოდა, ეს ყველაფერი ბენკას გაეგო! ვფიქრობ, მივწერო, წერილი ბოთლში ჩავდო, საცობი დავუცო და შორეულ ქვეყანაზე გარშემორტყმულ ცისფერ ზღვაში ჩავაგდო. ბენკა მშობლებთან ერთად ვაქსჰოლმში, თავის აგარაკზე იქნება და როცა ზღვაში იცურავებს, დაინახავს ტალღებზე მოტივტივე ბოთლს. კარგი იქნებოდა, ის უცნაურობები გაეგო, რაც მე შემემთხვა. ის პოლიციას დაურეკავდა და მოუყვებოდა, რომ ბო ვილჰელმ ულსონი, რომელსაც სინამდვილეში მისი ჰქვია, შორეულ ქვეყანაში აღმოჩნდა და ძალიან კარგად არის მამა-მეფესთან ერთად.

ვარდნარი

არც ვიცი, ბენკას როგორ მივწერო, რაც თავს გადამხდა. დედამინის ზურგზე არც ერთი თავგადასავალი ამას არ შეედრება. არ ვიცი, როგორ მოვუყვებ ყველაფერი ისე, რომ მართლა გაიგოს. ვეძებე მისთვის მისაწერი სიტყვები, მაგრამ ვერ ვიპოვე. იქნებ ასე დამეწერა: დაუჯერებელი რამ შემემთხვა! მაგრამ ბენკა ამით მაინც ვერ გაიგებს, როგორია შორეული ქვეყანა და როგორ ვცხოვრობ მე. ალბათ ერთი ღუშინი ბოთლი უნდა გავუგზავნო, რომ ვუამბო მამაჩემ მეფებზე, მის ვარდნარზე, ჩემს ახალ მეგობარ იუმ-იუმზე, ჩემს ლამაზ თეთრ ცხენზე, მირამისზე, და გარექვეყნის საშინელ მხედარ კიტოზე. არა, შეუძლებელი იქნებოდა იმ ყველაფრის მოყოლა, რაც მე შემემთხვა.

პირველსავე დღეს მამაჩემმა სამეფო ბაღში წამიყვანა. სალამოვდებოდა, სიო ხეებში თამაშობდა. ბაღს რომ მივუახლოვდით, საოცარი მუსიკა შემომესმა, გეგონებოდათ, ბროლის ათასი ბანზალაკი ერთად წკრიალებსო. ეს ჩუმი, მაგრამ საოცრად გულში ჩამწვდომი მუსიკა იყო.

- გესმის, როგორ მღერიათ ჩემი ვერცხლისფერი ალგები? - მკითხა მამაჩემმა.

ჩვენ ხელიხელჩაკიდებულები მივსეირნობდით. დეიდა ედლას და ბიძია სიქსტენს ჩემთვის ხელი არასოდეს მოუკიდიათ. აქამდე არავის მოუკიდია ჩემთვის ხელი.

ამიტომაც ძალიან მიყვარს, როცა მამას ასე დაფყავარ; თუმცა, კარგა ხანია, წამოვიზარდე.

ბაღს გარშემო მაღალი ღობე ერტყა. მამაჩემმა პატარა ჭიშკარი შეალო და შიგნით შევედი.

ერთხელ, დიდი ხნის წინ, ბენკასთან ერთად ვაქსჰოლმში, მათ აგარაკზე წასვლის ნება დამრთეს. მზე ჩალიდა, ცა - წითელი, წყალი კი ძალზე მშვიდი და ანკარა იყო. ჩვენ კლდის შვერილზე ვისხედით და ვთევზაობდით. ასკილის ყვავილობის დრო იყო. კლდის უკან უამრავი ასკილი ხარობდა. შორს, ზღვის უბის მეორე მხარეს, გუგული ხმამაღლა იძახდა. გავიფიქრე, ეს ალბათ მსოფლიოში უმშვენიერესი სანახაობაა-მეთქი. რა თქმა უნდა, უმშვენიერესად გუგული არ მიგულისხმია, მას ვერც კი ვხედავდი, თუმცა მისი ხმა სანახაობას კიდევ უფრო მშვენიერს ხდიდა. ცხადია, ბენკასთვის არაფერი მითქვამს, შემეშინდა, არ დამცინოს-მეთქი, მაგრამ ჩემთვის კი ვფიქრობდი,

რომ ამაზე მშვენიერი ამქვეყნად არაფერი იყო. მაშინ ჯერ არ მქონდა მამა-ჩემის ვარდნარი ნანახი.

არ მენახა მისი მშვენიერი ვარდები - უამრავი ვარდი, რომლებიც ჩანჩქერივით სხვადასხვაფერად ლივლივებდნენ. არც მისი თეთრი შროშანები მენახა, სიო რომ არწევდა, და არც მისი ვერცხლისფოთლებიანი ალვის ხეები. ალვები ისეთი მაღალი იყო, რომ საღამოობით ვარსკვლავები მის კენწეროზე ინთებოდნენ. მე არც მისი თეთრი ჩიტები მენახა, ვარდნარში რომ დაფრინავდნენ და საოცრად გალობდნენ; არც ამ გალობის და არც ვერცხლისფერი ალვის ხეების მუსიკის მსგავსი არაფერი მომესმინა. არავის ექნება ის მშვენიერება ნანახი და გაგონილი, რაც მე მამაჩემის ვარდნარში ვნახე და მოვისმინე. ჩუმად ვიდექი და მამაჩემის ხელი მეჭირა. მიხლოდა, მეგრძნო, რომ მამაც აქ იყო, რადგან ასეთ სილამაზეს მართო ვერ გავუძლებდი. მამაჩემი მომეფერა და მკითხა:

- მიო, ჩემო მიო, მოგწონს ჩემი ბალი?

ვერაფერი ვუპასუხე. არ შემეძლო. უცნაური შეგრძნება მქონდა: თითქოს გულში სევდა მეპარებოდა... მაგრამ მე ხომ სულაც არ ვიყავი მონყენილი - პირიქით, ძალიან ბედნიერი ვიყავი.

უცბად მომინდა, მამას მოვფერებოდი, რომ ჩემი უჩუმარი შფოთი არ ეგრძნო, მაგრამ თავად დამასწრო და თქვა:

- მიხარია, რომ ბედნიერი ხარ. ყოველთვის ბედნიერი უნდა იყო, მიო, ჩემო მიო!

შემდეგ მებალესთან გასასაუბრებლად მივიდა, რომელიც იდგა. და მას ელოდა. მე კი ბალნარში სირბილი დავიწყე. ამ სილამაზის შემყურეს თავბრუ მეხვეოდა და შიგნიდან რაღაც მილიტინებდა. ფეხები ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდნენ და ცეკვა-ცეკვით უვლიდნენ ბალნარს, ხელები კი ძალ-ღონით მევსებოდა.

კარგი იქნებოდა, ბენკაც აქ ყოფილიყო, ვიჭიდავებდით - რა თქმა უნდა, გასართობად! ჰო, ასეა, ძალიან მაკვია ბენკა! სანყალი ბენკა ახლა ნამდვილად თეგნერპარკშია, სადაც, როგორც ყოველთვის, წვიმს, ქარია და ბნელა. რა თქმა უნდა, მას უკვე ეცოდინება, რომ გავქრი, და ალბათ იმაზე ფიქრობს, სად გადაიკარგა, ნეტავ ოდესმე კიდევ თუ ვნახავო. სანყალი ბენკა! როგორ ვერთობოდით ერთად! სანამ მამაჩემის ბალნარში დავსეირნობდი, ვიგრძენი, რომ ბენკა ძალიან მენატრებოდა. ძველი ცხოვრებიდან მხოლოდ ბენკა მაკვდა. სხვა მართლა არავინ მენატრებოდა. შეიძლება, კიდევ - დე-

იდა ლუნდინი, ის ხომ ყოველთვის კარგად მექცეოდა. მაგრამ ყველაზე მეტად ბენკაზე ვფიქრობდი. ჩაფიქრებული მივუყვებოდი ვარდნარის ვინჯო, მიხვეულ-მოხვეულ ბილიკებს. უცბად ავიხედე და თქვენ ვინ გგონიათ, ჩემ წინ, გზაზე ვინ იდგა? ვინა და... ბენკა! არა, ეს ბენკა არ იყო. ეს იყო ბიჭი, რომელსაც ბენკასნაირი მუქი წაბლისფერი თვალები და თმა ჰქონდა.

- ვინა ხარ? - ვკითხე მე.

- მე იუმ-იუმი მქვია, - მითხრა მან.

მაშინ შევნიშნე, რომ ის მთლად ბენკასნაირი არ იყო: უფრო სერიოზული და კეთილი ჩანდა. რა თქმა უნდა, ბენკაც კეთილია - დაახლოებით ჩემსავით, ზომიერად, მაგრამ ისეც ხომ ხდებოდა ხოლმე, რომ ერთმანეთს დავეტაკებოდით და ვჩხუბობდით. ზოგჯერ ერთმანეთზე ვბრაზდებოდით კიდევ, მაგრამ შემდეგ ისევ შევრიგდებოდით და კარგ მეგობრებად ვრჩებოდით. იუმ-იუმი კი ისეთი იყო, მასთან ნამდვილად ვერ იჩხუბებდი - მეტისმეტად კეთილი და საყვარელი იყო.

- გინდა იცოდე, რა მქვია? - ვკითხე მე, - მე მქვია ბოსე... თუმცა არა, ასე უნინ მეძახდნენ!..

- უკვე ვიცი, რომ მით გქვია, - მითხრა იუმ-იუმმა, - ჩვენმა მეფე-ბატონმა მთელ ქვეყანას შეატყობინა, რომ მით შინ დაბრუნდა.

წარმოგიდგენიათ? მამაჩემს ისე გაუხარდა ჩემი პოვნა, რომ ბრძანა, მთელი სამეფოსთვის შეეტყობინებინათ. მისმა საქციელმა ძალიან გამახარა.

- იუმ-იუმ, მამა გყავს? - ვკითხე და გულით ვნატრობდი, რომ ჰყოლოდა.

- რა თქმა უნდა, მყავს, - მითხრა იუმ-იუმმა, - ჩვენი მეფე-ბატონის მებაღე მამაჩემია. თუ გინდა, წამომყევი და გაჩვენებ, სად ვცხოვრობთ.



ჩვენ მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით ვარდნარის შორეული კუთხისკენ გავიქეცით. იქ პატარა, თეთრი, ჩალით გადახურული სახლი იდგა, ზუსტად ისეთი, ზღაპრებში რომ არის. კედლები და სახურავი ვარდებს ისე დაეფარა, რომ თვითონ სახლი ძლივსლა ჩანდა. ფანჯრები ღია იყო. თეთრი ჩიტები ხან შეფრინდებოდნენ, ხანაც გამოფრინდებოდნენ ხოლმე. სახლის გვერდით სკამი და მაგიდა იდგა, უკან კი ფუტკრის სკები მოჩანდა. ფუტკრები ვარდებში დაფრინავდნენ. სახლის გარშემო ვარდის დიდი ბუჩქები, ვერცხლისფოთლებიანი ალვის ხეები და ტირიფები იდგა.

უცხად სამზარეულოდან ვილაცამ დაიძახა:

- იუმ-იუმ, ვახშამი ხომ არ დაგავიწყდა?

ეს იუმ-იუმის დედა იყო. პარმალზე¹ გამოვიდა, იდგა და ილიმებოდა. დედა ლუნდინს ჰგავდა, თუმცა ცოტათი უფრო ახალგაზრდა იქნებოდა. მრგვალ ლოყებზე, დეიდა ლუნდინივით, ღრმა ფოსოები ჰქონდა; ნიკაპზეც ზუსტად ისე მომკიდა ხელი, როგორც დეიდა ლუნდინმა ჩვენი ბოლო შეხვედრისას.

- კეთილი იყოს შენი მობრძანება, მიო! გინდა იუმ-იუმთან ერთად ივახშმო? - მკითხა იუმ-იუმის დედამ.

- სიამოვნებით, - ვუთხარი მე, - თუ არ შენუხდებით.

მიპასუხა, რომ მისთვის ეს სიამოვნება იყო. ჩვენ სახლის გვერდით მდგარ მაგიდას მივუსხედით. იუმ-იუმის დედამ პატარა ლანგრიტ ბლინები, მარწყვის მურაბა და რძე გამოგვიტანა. მე და იუმ-იუმმა იმდენი ვჭამეთ, კინალამ დავსკდით. ბოლოს ერთმანეთს შევცქეროდით და გულიანად ვიცინოდით.

როგორ მიხაროდა, რომ იუმ-იუმი მყავდა! უცხად ოთახში თეთრი ჩიტი შემოფრინდა, ჩემი თეფშიდან ბლინს მოაციცქნა და გაფრინდა. ამის დანახვაზე კიდევ უფრო ავხარხარდით.

ამ დროს დავინახეთ, რომ ჩვენკენ მამაჩემი მოდიოდა იუმ-იუმის მამასთან ერთად. მე რომ დამინახა, მეფე შეჩერდა და მკითხა:

- მიო, ჩემო მიო, აქ ზიხარ და იცინი?

- დიახ, მაპატიეთ! - მოვუბოდიშე მე. რახან დეიდა ედლას და ბიძია სიქსტენს არ მოსწონდათ ხმამალალი სიცილი, ვიფიქრე, მეფესაც ალბათ არ მოსწონს-მეთქი.

- იცინე, რამდენიც გინდა, - მითხრა მამა-მეფემ.

შემდეგ მებაღეს მიუბრუნდა და ძალიან უცნაური რამ უთხრა:

- მიყვარს ჩიტების სიმღერა, ჩემი ვერცხლისფოთლებიანი ალვის ხეების მუსიკა, მაგრამ ყველაზე მეტად ვარდნარში ჩემი შვილის სიცილის გაგონება მიყვარს.

პირველად მაშინ მივხვდი, რომ მისი არ უნდა მშინებოდა. რის გაკეთებაც უნდა მომესურვებინა, ის მაინც ასეთი ალერსიანი თვალეებით შემომხედავდა, როგორც ახლა მიცქეროდა. მამა ჩემ წინ იდგა, ხელი მებაღის მხარზე ჰქონდა ჩამოდებული, ჩვენ თავზემოთ კი თეთრი ჩიტები დაფარფატებდნენ.

¹ ღია ან დახურული აივანი, წინკარი

როდესაც ეს ყველაფერი გავიაზრე, ისე გამიხარდა, რომ სიხარულისგან ძალიან, ძალიან ხმამაღლა ავხარხარდი. ისე ხმამაღლა ვიცინოდი, რომ ჩიტებიც კი დავაფრთხე. იუმ-იუმი ნამდვილად ფიქრობდა, რომ მე ისევ იმ ჩიტზე ვიცინოდი, რომელმაც ბლინის ნამცეცი მომპარა, და ისიც უწინდელზე უფრო ხმამაღლა ახარხარდა.

ჩვენი სიცილი გადაედო მამაჩემს, იუმ-იუმის მამას და იუმ-იუმის დედას და ისინიც იცინოდნენ. არ ვიცი, ისინი რატომ იცინოდნენ. ის კი ვიცი, რომ მიხაროდა, ასეთი კეთილი მამა რომ მყავდა.

ნავახშმევს მე და იუმ-იუმი ისევ ბაღში გავიქეცით, ბალახში ვკოტრიალობდით და ვარდნარში დამალობანას ვთამაშობდით. იქ ბევრი კარგი დასასმალ ადგილი იყო. ამის მეათედი მაინც რომ ყოფილიყო თევზერპარკში ან მასთან ახლოს, მე და ბენკა მაგრად გავილაღებდით. ვფიქრობ, ბენკა კმაყოფილი იქნებოდა. მე კი თევზერპარკში დასასმალი ადგილი აღარ მჭირდება.

ბინდდებოდა. ვარდნარზე რბილი, ცისფერი ნისლი ჩამოწვა. თეთრი ჩიტები დადუმდნენ და ბუდეებს მიაშურეს. ვერცხლისფოთლებიანმა ალვის ხეებმაც შეწყვიტეს სიმღერა. ვარდნარი საოცარმა სიჩუმემ მოიცვა. მხოლოდ ყველაზე მაღალი ალვის ხის კენწეროზე შემომჭდარი დიდი შავი ჩიტის გალობა ისმოდა. შავი ჩიტი ყველა თეთრ ჩიტზე უფრო ლამაზად გალობდა. ისეთი გრძობა დამეუფლა, თითქოს ეს ჩიტი მხოლოდ ჩემთვის გალობდა. მაგრამ მისი მოსმენა არ მსიამოვნებდა, რადგან გული სევდით მევესებოდა.

- უკვე ღამდება, - თქვა იუმ-იუმმა, - შინ უნდა წავიდე.

- არა, არ წახვიდე, - ვთხოვე მე, რადგან ამ საოცარი გალობის მარტო მოსმენა არ მინდოდა, - იუმ-იუმ, ეს რა ჩიტია? - ვკითხე იუმ-იუმს და შავ ჩიტზე მივუთითე.

- არ ვიცი, მე მას სევდის ჩიტს ვეძახი, იმიტომ, რომ შავია, თითქოს მგლოვიარეაო, თანაც ძალიან ნალვლიანად გალობს. შეიძლება სულაც სხვა სახელი ჰქვია, - მითხრა იუმ-იუმმა.

- მაინცდამაინც არ მომწონს, - ვთქვი მე.

- მე კი მიყვარს. სევდის ჩიტს კეთილი თვალები აქვს, ღამე მშვიდობისა, მიო, - დამემშვიდობა იუმ-იუმი და შინისკენ წავიდა.

იმწამსვე მამაჩემი მოვიდა, ხელი მომკიდა და ჩვენ ვარდნარის გავლით სახლისაკენ წავედით. სევდის ჩიტი ისევ გალობდა. გალობა აღარ მასეველიანებდა, რადგან მამაჩემს ჩემს ხელზე ეკიდა ხელი.

სანამ ჭიშკრიდან გავიდოდით, დავინახე, რომ სევდის ჩიტმა შავი ფრთები გაშალა და ცაში აფრინდა. და მომეჩვენა, რომ იქ სამი პატარა ვარსკვლავი აციმციმდა.

მირამისი

ნეტავ ვიცოდე, რას იტყვის ბენკა, ჩემი ოქროსფაფრიანი თეთრი ცხენი რომ ნახოს; ჩემი ოქროსჩლიქებიანი და ოქროსფაფრიანი მირამისი.

მე და ბენკას ცხენები ძალიან გვიყვარდა. დამავინწყდა მეთქვა, რომ უპლანდსგათანზე ჩემი მეგობრები მარტო ბენკა და დეიდა ლუნდინი კი არ იყვნენ, იქ კიდევ ერთი მეგობარი მყავდა. მას კალეპუნტი ერქვა, ლუდის ქარხნის ბებერი ცხენი იყო. კვირაში რამდენჯერმე უპლანდსგათანზე ქარხნიდან ოთხთვალა მოდიოდა და მალაზიებისთვის ლუდი მოჰქონდა. დილაობით, სკოლაში ჩემი წასვლის დროს მოდიოდა ხოლმე. მას ყოველთვის ველოდი. კალეპუნტთან ლაპარაკი მინდოდა. ძალიან კარგი ბებერი ცხენი იყო. მისთვის შაქრის ნატეხებსა და პურის ქერქებს ვინახავდი. ბენკაც ინახავდა. მასაც უყვარდა კალეპუნტი. ამბობდა ხოლმე, კალეპუნტი ჩემი ცხენიაო, მე ვედავებოდი, არა, ჩემია-მეთქი. ზოგჯერ ამის გამო ჩხუბიც მოგვსვლია. ბენკას უჩუმრად კალეპუნტს ყურში ჩავჩურჩულებდი ხოლმე, შენ ხომ ჩემი ცხენი ხარ-მეთქი. თანხმობის ნიშნად კალეპუნტი ცერად გამომხედავდა ხოლმე, თითქოს ჩემი ნათქვამი ესმოდა და მეთანხმებოდა კიდევ. ნეტავ რაში სჭირდებოდა ცხენი ბენკას, დედაც ჰყავდა, მამაც და რაც გინდა, სულო და გულო. ჩემსავით მარტოსული კი არ იყო. სიმართლე რომ ვთქვა, კალეპუნტი სულაც არ იყო ჩვენი ცხენი, ის ლუდის ქარხანას ეკუთვნოდა. ჩვენ მხოლოდ თავს ვიტყუებდით, ვითომ ჩვენი იყო. ისე, ხანდახან თითქმის მჯეროდა კიდევ ამის.

ზოგჯერ კალეპუნტს იმდენ ხანს ველაპარაკებოდი, რომ სკოლაში მაგვიანდებოდა; როდესაც მასწავლებელი მეკითხებოდა, რატომ დაიგვიანეო, არ ვიცოდი, რა მეპასუხა. ხომ ვერ ვეტყოდი, ქუჩაში ვიდექი და ლუდის ქარხნის ბებერ ცხენს ველაპარაკებოდი-მეთქი. ზოგჯერ ლუდის ქარხნის ოთხთვალა იგვიანებდა და სკოლაში კალეპუნტის უნახავად მივდიოდი. კლასში ვიჭექი და შარვლის ჯიბეში შაქრის ნატეხებსა და პურის ქერქებს ვათამაშებდი. კალეპუნტი მენატრებოდა და ვფიქრობდი, რომ კიდევ რამდენიმე დღეს ვერ ვნახავდი მას. მეეტლის ზოზინი პირდაპირ მაცოფებდა.

მაშინ მასწავლებელი მეკითხებოდა:

- ბოსე, რატომ ოხრავე? რა მოხდა?

პასუხს არ ვცემდი. რა უნდა მეპასუხა? მასწავლებელი ვერასოდეს გაიგებდა, როგორ მიყვარდა კალეპუნტი. ახლა კალეპუნტი მხოლოდ ბენკას ეკუთვნის. ასეც უნდა იყოს! მას მერე, რაც მე იქ აღარ ვარ, ბენკას კალეპუნტი ნუგეშად ეყოლება.

ახლა მე ოქროსფაფრიანი მირამისი მყავს, რომელიც სრულიად მოულოდნელად მივიღე საჩუქრად.

ერთ საღამოს, როდესაც მე და მამაჩემი თვითმფრინავის მოდელებს ვაწყობდით და ვსაუბრობდით, როგორც ბენკა და მამამისი, მამაჩემს კალეპუნტის შესახებ ვუამბე.

- მით, ჩემო მით, ესე იგი ცხენები გიყვარს? - მკითხა მამამ.

- დიახ, მიყვარს, - ცოტა არ იყოს, გულგრილად ვთქვი, რომ მამას არ ეფიქრა, თითქოს მასთან რამე მაკლდა.

მეორე დღეს, როდესაც მე და მამაჩემი ბაღში ვსეირნობდით, დავინახე, რომ ჩემკენ თეთრი ცხენი მოქროდა. არასოდეს მენახა ასე ლამაზად გაჭენებული ცხენი. ოქროს ფაფარი უფრიალებდა, ოქროს ჩლიქები მზის სხივებზე უბრწყინავდა. ცხენი პირდაპირ ჩემკენ მოფრინავდა და მხიარულად ჭიხვინებდა. შემეშინდა და მამაჩემს მივეკარი. მამა-მეფემ ოქროს ფაფარში ხელი ჩაავლო და ცხენიც მაშინვე გაჩერდა. მერე თავისი რბილი ცხვირი ჯიბეში ჩამიყო, უნდოდა ენახა, შაქრის ნატეხები მქონდა თუ არა. ზუსტად ისე, როგორც კალეპუნტი იქცეოდა ხოლმე. საბედნიეროდ, ერთი ნატეხი მართლაც მქონდა. ეტყობა, ძველი ჩვევისამებრ, ჩავიღე ჯიბეში. ცხენმა შაქარი ამოიღო და ჩაახრამუნა.

- მით, ჩემო მით, ეს შენი ცხენია. მას მირამისი ჰქვია, - მითხრა მამამ.

ო, ჩემი მირამისი! პირველივე წამიდან შემეყვარდა. მსოფლიოში ნამდვილად ყველაზე ლამაზი იყო და სანყალ, ბებერ და დალლილ კალეპუნტს სულაც არ ჰგავდა. ყოველ შემთხვევაში, მე ვერანაირ მსგავსებას ვერ ვხედავდი. თუმცა, როდესაც მირამისმა შემომხედა, ზუსტად კალეპუნტის თვალები დავინახე; ისეთივე ერთგული, უერთგულესი თვალები, როგორიც მხოლოდ ცხენებს აქვთ.

ცხოვრებაში ცხენზე არ ვმჯდარვარ, მაგრამ ახლა მამაჩემმა მირამისზე შემსვა.

- არ ვიცი, შევძლებ თუ არა, - ვთქვი მე.

- მით, ჩემო მით, ვაუკაცი არ ხარ? - გამამხნევა მამამ.

ალვრი ავიღე და მირამისი ვარდნარში გავაჭენე. ალვის ხეების ვერცხლისფერი ფოთლები თმაზე მრჩებოდა. უფრო ჩქარა და ჩქარა მივაჭენებდი, მირამისი ვარდის ბუჩქებს ზედ ასტებოდა. მსუბუქად, ლაღად მიქროდა, - მხოლოდ ერთხელ ოდნავ გამოედო ღობეს და ვარდის ფურცლების წვიმა წამოვიდა.

უცბად იუმ-იუმი გამოჩნდა. ჩვენ რომ დაგვინახა, ტაში შემოჰკრა და შესძახა:

- მიო მირამისს მიაჭენებს! მიო მირამისს მიაჭენებს!

მირამისი შევაჩერე და იუმ-იუმს ვკითხე, უნდოდა თუ არა ცხენით ჯირითი. რა თქმა უნდა, უნდოდა, მაშინვე უკან შემომიჯდა. ვარდნარის წინ გაშლილ მწვანე მდელოზე გავაჭენეთ. ასეთი რამ ცხოვრებაში არ გამომიცდია.



მამაჩემის სამეფო ძალიან დიდია. სამეფოებს შორის შორეული ქვეყანა ყველაზე დიდია. ის აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე და სამხრეთიდან ჩრდილოეთამდეა გადაჭიმული. კუნძულს, რომელზეც მამაჩემის სასახლეა, მწვანე მდელოების კუნძული ჰქვია. ეს კუნძული შორეული ქვეყნის მხოლოდ პატარა, პატარა ნაწილია.

- მთების უკან, ფიორდის მეორე მხარეს მდებარე ზღვისგალმეთი და მთისგალმეთი ქვეყნებიც მამაშენს ეკუთვნის, - მითხრა იუმ-იუმმა, როცა ვარდნარის წინ, მწვანე ველზე ვჯირითობდით. ისევ ბენკა გამახსენდა, რომელიც ახლა ალბათ წვიმიან და ბნელ უბლანსგათანზე იდგა მოწყენილი.

აქ კი ისეთი სილამაზე სუფევდა! ბალახი ნაზი და მწვანე იყო, ყვავილები - ფერად-ფერადი, ბორცვებიდან კამკამა ნაკადულები მორაკრავებდა, მწვანე გორაკებზე თეთრი რიფის პატარა სალამურს უკრავდა. უცნაური მელოდია იყო, თითქოს უკვე სადღაც მქონდა მოსმენილი, მაგრამ არ ვიცი, სად - უბლანდსგათანზე ნამდვილად არ მომისმენია.

ჩვენ გავჩერდით და მწყემს ბიჭუნას გამოველაპარაკეთ. მას ნონო ერქვა. ვთხოვე, ცოტა ხნით სალამური ეთხოვებინა; მათხოვა კიდევ და უცნაური მელოდიის დაკვრაც მასწავლა. შემდეგ გვკითხა:

- არ გინდათ, ორივეს სალამურები გამოგიტალოთ?

ჩვენ ვუთხარით, რომ სალამურები ძალიან გვინდოდა. შორიახლოს ნაკადული მორაკრავებდა. ტირიფს ტოტი წყალზე ჰქონდა გადაშვრილი. ნონო მივიდა და ის ტოტი მოჭრა. სანამ ნონო სალამურებს გვიკეთებდა, ჩვენ ნაკადულთან ვისხედით და ფეხებს წყალში ვაჭყაპუნებდით. იუმ-იუმმაც ისწავლა ამ უცნაური მელოდიის დაკვრა.

ნონომ გვითხრა, ეს უძველესი მელოდიაა, მწყემსები მას ათასობით წლის წინ უკრავდნენო.

ნონოს მადლობა გადავუხადეთ სალამურების გაკეთებისა და ძველი მელოდიის სწავლებისთვის. შემდეგ მირამისს შემოვახტით და გზა განვაგრძეთ. გვესმოდა, როგორ უკრავდა ნონო თავის სალამურს. მერე მელოდია თანდათან მიჩუმდა.

- სალამურებს უნდა გავუფრთხილდეთ, - ვუთხარი იუმ-იუმს, - თუ ოდესმე ერთმანეთს დაგვარგავთ, ეს მელოდია დაფუკრათ.

იუმ-იუმმა ხელები მაგრად მომხვია, რომ ცხენიდან არ ჩამოვარდნილიყო, თავი ზურგზე დამადო და მითხრა:



- ჰო, მისი, სალამურებს უნდა გავუფრთხილდეთ და თუ გაიგონებ, რომ ვუკრავ, იცოდე, რომ გეძახი.

- კარგი, ასე იყოს, შენც, ჩემს დაკვრას თუ გაიგონებ, იცოდე, რომ გეძახი.
- ასე იყოს, - თქვა იუმ-იუმმა და მომეხვია.

მე კი გავიფიქრე, იუმ-იუმი ჩემი საუკეთესო მეგობარია-მეთქი. რა თქმა უნდა, მამაჩემის შემდეგ. მამაჩემი ამქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარდა. მაგრამ იუმ-იუმი ჩემნაირი ბიჭი იყო და ახლა, როდესაც ბენკას ვეღარ ვნახულობდი, ის ჩემს საუკეთესო მეგობრად იქცა.

წარმოიდგინეთ, რა ბედნიერებაა! მყავს მამა, იუმ-იუმი, მირამისი და შემოძლია ქარივით თავისუფლად ვინაგარდო მწვანე მდელოებსა და გორაკებზე. სულაც არ იყო გასაკვირი, რომ ასეთი ბედნიერებისგან თავბრუ მესხმოდა.

- ზღვისგალმეთისა და მთისგალმეთის ქვეყნებში როგორ უნდა მოვხვდე? - ვკითხე მე.

- დილის ნათების ხილით, - მიპასუხა იუმ-იუმმა.
- სად არის დილის ნათების ხილი? - დავინტერესდი მე.
- მალე ვნახავთ, - მითხრა იუმ-იუმმა.

შემდეგ დავინახეთ ხილი, რომელიც ისეთი მაღალი და გრძელი იყო, რომ ბოლო არ უჩანდა. დილის მზეში ისე ბრწყინავდა, რომ ოქროს სხივებით აშენებულს ჰგავდა.

- მსოფლიოში ყველაზე გრძელი ხილია, - თქვა იუმ-იუმმა, - ის მწვანე მდელოების კუნძულს ზღვისგალმეთის ქვეყანასთან აკავშირებს. მაგრამ მწვანე მდელოების კუნძულზე ღამე წყნარად რომ გვეძინოს, ჩვენი მეფე-ბატონი ხიდს აწვინებს.

- რატომ? ვინ უნდა დავგვესხას თავს ღამით? - ვკითხე მე.
- მხედარი კიტო, - თქვა იუმ-იუმმა.

ამის თქმაზე ჰაერში ცივი ქარი დატრიალდა და მირამისი აკანკალდა.

მე პირველად გავიგე მხედარ კიტოს სახელი. ხმამაღლა გავიმეორე თუ არა „მხედარი კიტო“, მაშინვე ტანში შრუანტელმა დამიარა.

- სასტიკი მხედარი კიტო, - დაამატა იუმ-იუმმა.

მირამისმა შეშფოთებით დაიჭიხვინა და ორივენი გავჩუმდით.

რა თქმა უნდა, ძალიან გვინდოდა დილის ნათების ხიდზე ცხენის გაჭენება, მაგრამ ჯერ მამაჩემისგან ნებართვა უნდა ამელო. ამიტომ ვარდნარში

დავბრუნდით და იმ დღეს ასე დამთავრდა ჩვენი პირველი მოგზაურობა. მე და იუმ-იუმმა მირამისი ჯაგრისით გავწმინდეთ, ოქროს ფაფარი დავეუფარ-ცხნეთ, მოვეფერეთ, იუმ-იუმის დედის მოცემული შაქრის ნატეხები და პურის ქერქები ვაჭამეთ.

შემდეგ ვარდნარში ქოხი ავიშენეთ, შევძვერით და შაქარმოყრილ თხელ ბლინებს მადიანად შევექცით. ამაზე გემრიელი არაფერია! ბენკას დედაც აცხობდა ბლინებს და ხანდახან მეც შემხვდებოდა ხოლმე, მაგრამ იუმ-იუმის დედის გამომცხვარი ბლინები ბევრად უფრო გემრიელი იყო.

ქოხის აშენებამ მაგრად მასიამოვნა. ამას ყოველთვის ვნატრობდი. ბენკა ხშირად მიყვებოდა, როგორ აშენებდა ქოხებს ვაქსჰოლმში, თავის აგარაკ-ზე. კარგი იქნებოდა, მიმეწერა ჩემი და იუმ-იუმის ქოხის შესახებ.

ბიჭო, ბიჭო, რა მშვენიერი ქოხი ავაშენე! აქ, შორეულ ქვეყანაში მშვენიერი ქოხი ავაშენე-მეთქი, - მივწერდი.

მოსწონთ ვარსკვლავებს მუსიკა?

მეორე დღეს ისევ ნონოსკენ გავაჭენეთ ცხენი. ჯერ ვერ ვიპოვეთ, მაგრამ მერე გორაკის თავიდან მისი სალამურის ხმა შემოგვესმა. სანამ ცხვრები ბალახობდნენ, ნონო იჯდა და თავისთვის უკრავდა. დაგვინახა თუ არა, სალამური პირიდან გამოიღო, ცოტა გადმოაფურთხა, გაიცინა და თქვა:

- მოხვედით?

ადვილი შესამჩნევი იყო, რომ ჩვენი მისვლა ძალიან გაუხარდა. მე და იუმ-იუმმა სალამურები ამოვიღეთ და ერთად დავეუკართ. მელოდია უფრო და უფრო ლამაზდებოდა და მიკვირდა, რომ ასეთი დიდებული მელოდიის დაკვრა შეგვეძლო.

- რა სამწუხაროა, რომ არავინ გვისმენს, - ვთქვი მე.

- ბალახი გვისმენს, ყვავილები, ქარი, ხეები და ნაკადულზე გადმოხრილი ტირიფები გვისმენენ, - თქვა ნონომ.

- მართლა? მერე, მოსწონთ? - ვკითხე მე.

- კი, ძალიან მოსწონთ, - მიპასუხა ნონომ.

ჩვენ დიდხანს ვუკრავდით ყვავილებისთვის, ბალახისთვის, ქარისთვის და ხეებისთვის, მაგრამ მაინც დასანანი იყო, რომ ადამიანებს არ შეეძლოთ ჩვენი მოსმენა.

უცბად ნონომ თქვა:

- თუ გინდათ, ჩემთან წავიდეთ და ბებიაჩემისთვის დავეუკრათ.

- ბებიაშენი შორს ცხოვრობს? - დავინტერესდი მე.

- კი, მაგრამ თუ სიარულისას დავეუკრავთ, გზა დამოკლდება, - თქვა ნონომ.

- ჰო, ჰო, თუ დავეუკრავთ, გზა ისეთი გრძელი აღარ იქნება, - დაადასტურა იუმ-იუმმა. მას ნონოს ბებიასთან წასვლა სურდა; მეც მინდოდა.

ზღაპრებში ყოველთვის არიან ალერსიანი ბებიები, მსოფლიოშიც უამრავი ბებიაა, მაგრამ მე ნამდვილი, ცოცხალი ბებია მაინც არასოდეს მენახა, ამიტომ ძალიან მომინდა ჩვენი მეგობრის ბებიის გაცნობა. ნონოს ბატკნები, ცხვრები და მირამისი თან უნდა წაგვეყვანა. ნამდვილი ქარავანი გამოგვივიდა. თავში იუმ-იუმი, ნონო და მე მივდიოდით, მერე ცხვრები და ბატკნები მოგვეყვებოდნენ, ბოლოს კი მირამისი კალეპუნტივით ნელა მოაბიჯებდა. გორაკები გადავიარეთ. მივდიოდით და სალამურს ვუკრავდით. ცხვრებსა

და ბატკნებს ალბათ ძალიან მოსწონდათ მხიარული მოგზაურობა, კიკინებ-
დნენ და ჩვენ გარშემო დახტოდნენ.

დიდხანს ვიარეთ დაკვრა-დაკვრით და, როგორც იყო, ნონოს სახლთან
მივედი. ისეთი სახლი იყო, ზღაპრებში რომ არსებობს: პატარა, სასაც-
ლო, ჩალისსახურავიანი ქოხი, აყვავებულ იასამნებსა და ჟასმინებში ჩაფლუ-
ლი.

- ჩქმმ, ბებია გავახაროთ, - ჩავგჩურჩულა ნონომ.

ერთი ფანჯარა ღია იყო, შიგნით ვიღაც ფუსფუსებდა. ჩვენ: მე, ნონო და
იუმ-იუმი ფანჯრის წინ ჩავმწკრივდით.

- ერთ, ორი, სამი! დავინწყით! - ბრძანა ნონომ.

ასეც მოვიქცეთ. ისეთი მხიარული მელოდია დაფუკარით, რომ ბატკნებმა
კუნტრუში და ცეკვა დაიწყეს. ფანჯარასთან მოხუცი ქალი მოვიდა. ძალიან
კეთილი ჩანდა. ეს ნონოს ბებია იყო. მან ხელი ხელს შემოჰკრა და შესძახა:

- რა ლამაზი მელოდიაა!

ჩვენ დიდხანს ვუკრავდით მისთვის. ისიც ფანჯრიდან გვიყურებდა და გვის-
მენდა. მთლად ზღაპრულ ბებიას ჰგავდა, მაგრამ სრულიად ნამდვილი,
ცოცხალი მოხუცი ბებია იყო.

შემდეგ სახლში შევედით. ნონოს ბებიამ გვკითხა, ხომ არ გშიათო. ჩვენ
გვშიოდა. მან პურის დიდ კვერს სქელი ნაჭრები ჩამოაჭრა და დაგვირიგა. ეს
იყო ყავისფერი, დაბრანული პური. ასეთი კარგი პური ჩემს ცხოვრებაში არ
მეჭამა.

- აუ, რა გემრიელია! რა პურია, ნონო? - ვიკითხე მე.

- ჩვეულებრივი პურია, პური არსობისა. ჩვენ ყოველდღე ამ პურით ვიკ-
ლავთ შიმშილს, - მიპასუხა ნონომ.

მირამისსაც უნდოდა ჭამა. მან ღია ფანჯრიდან თავი შემოყო და ხმადაბ-
ლა დაიჭიხვინა. ისეთი სასეირო რამ იყო, რომ სიცილი აგვიტყდა. ნონოს
ბებია მირამისს ჩიჩვირზე² მიეფერა და პური მისცა.

² ცხენის ქვედა ტუჩი



შემდეგ მომწყურდა და როდესაც ნონოს ვუთხარი, მწყურია-მეთქი, წამომ-
ყვიო, მითხრა.

ჩვენ ბაღში გავედით. იქ კამკამა წყარო მორაკრავებდა. ნონომ წყაროში
ხის ბაღია ჩაყო და წყალი ამოიღო. ასეთი ცივი და კარგი წყალი ჩემს სი-
ცოცხლეში არ დამელია.

- აუ, რა გემრიელია! რა წყალია? - ვკითხე ნონოს.

- ჩვეულებრივი წყალია, წყაროს წყალი. ჩვენ ყოველდღე ამ წყლით ვიკ-
ლავთ წყურვილს, - მიპასუხა ნონომ.

მირამის, ბატკნებსა და ცხვრებსაც სწყუროდათ და ჩვენ ისინიც დავარ-
წყულეთ.

მალე ნონო თავის ცხვრებთან ერთად საძოვარზე უნდა დაბრუნებულიყო.
ლამლამობით თავის მოსასხამში ეხვეოდა და ცხვრებთან ერთად ღია ცის
ქვეშ იძინებდა ხოლმე. ამიტომ ბებიას მოსასხამის გამოტანა სთხოვა. ბებია
მას ყავისფერი მოსასხამი მისცა. წარმოგიდგენიათ, რა ბედნიერია ნონო?
მარტოს შეუძლია მინდორში დაძინება. ამისთანა ბედნიერება მე ჯერ არ
განმიცდია, ბენკა და მისი მშობლები ველოსიპედებითა და კარვებით მიდი-
ოდნენ ხოლმე ქალაქგარეთ. ისინი ტყის პირას ბანაკს დასცემდნენ და საძი-
ლე ტომრებში იძინებდნენ, ბენკა ყოველთვის მარწმუნებდა, ქვეყნად ამაზე
უკეთესი არაფერი არისო. მეც ასე მგონია.

- რა ბედნიერი ხარ, რომ ღამით გარეთ იძინებ, - ვუთხარი ნონოს.

- შენ ვინღა გიშლის, წამოდი ჩემთან, - შემომთავაზა ნონომ.

- არა, შინ რომ არ მივიდე, მამაჩემი ინერვიულებს, - მივუგე მე.

- თუ გინდა, მეფე-ბატონს შევატყობინებ, რომ შენ ამაღამ მინდორში და-
იძინებ, - მითხრა ნონოს ბებია.

- მამაჩემსაც გაავებინეთ, რა! - სთხოვა იუმ-იუმმა.

- კარგი, მებაღესაც გაავებინებ, - დაჰპირდა ნონოს ბებია.

მე და იუმ-იუმს ისე გაგვიხარდა, რომ ბატკნებივით ავკუნტრუშდით.

მაგრამ ნონოს ბებია შეგვათვალისწინებდა, ჩვენს მოკლე, თეთრ მაისურებს
ახეღ-დახედა, თავი გადააქნია და თქვა:

- ცვარი რომ ჩამოიყრება, გაიყინებით, - მერე უცბად ძალიან მოიწყინა
და ჩურჩულით დაამატა: - კიდევ ორი მოსასხამი მაქვს.

ნონოს ბებია ოთახის კუთხეში მდგარ ძველ სკივრთან მივიდა და წითელი
და ლურჯი მოსასხამები ამოიღო.

- ჩემი ძმების მოსასხამებია, - ჩუმაღ გვიტხრა ნონომ.
- შენი ძმები სად არიან? - ვკითხე მე.
- მხედარი კიტო, - ჩაიჩურჩულა ნონომ, - სასტიკმა მხედარმა კიტომ მო-
იტაცა.

ნონომ ეს თქვა თუ არა, მირამისმა ისე ხმამაღლა დაიჭიხვინა, თითქოს ვილაყამ მათრახი გადაუჭირაო. ბატკნები თავიანთ დედებთან მიცვივდნენ და ცხვრებმა ისეთი ბლავილი ატეხეს, თითქოს მათი აღსასრულის ჟამი დამდგარიყოს.

ნონოს ბებიამ მე წითელი მოსასხამი მომცა, იუმ-იუმს კი - ლურჯი. მან ნონოს არსობის პურის დიდი კვერი მისცა, რომელიც შიმშილს კლავს, და ერთი ღოქი წყაროს წყალი, რომელიც წყურვილს კლავს. ჩვენ ზუსტად იმ გზით წავედით, რომლითაც მოვედით.

მე ძალიან მეწყინა ის ამბავი, რაც ნონოს ძმებს შეემთხვათ, მაგრამ გულში მაინც მიხაროდა, რომ ღია ცის ქვეშ უნდა დამეძინა.

როდესაც იმ გორაკთან მივედით, სადაც ტირიფი ნაკადულზე იყო გადაწოლილი, გაგჩერდით და ნონომ თქვა, ამაღამ აქ დაგზანაყდეთო.

ასეც მოვიქეცი. ჩვენ დიდი კოცონი ავაგზიგზიგზეთ, გარშემო შემოვუსხედით და მივირთვით არსობის პური, რომელიც შიმშილს კლავს, და წყაროს წყალი, რომელიც წყურვილს კლავს. მალე ნისლი ჩამოწვა და დაბნელდა, მაგრამ კოცონთან სინათლე და სითბო გვექონდა. ჩვენ მოსასხამებში გავეხვიეთ და ცეცხლთან მივწექით ერთმანეთზე მიკრულები. ჩვენ გარშემო კი ცხვრებსა და ბატკნებს ეძინათ. შორიხლოს მირამისი ძოვდა ბალახს. ჩვენ ვინექით და გვესმოდა, როგორ აშრიალებდა ქარი ბალახს, ვუყურებდით აქა-იქ აბრიალებულ კოცონებს. ღამეში ბევრი, ბევრი კოცონი ციმციმებდა, რადგან შორეული ქვეყნის კუნძულზე ბევრი მწყემსი იყო. სიბნელეში ძველი მელოდია ისმოდა, რომელსაც, როგორც ნონომ თქვა, ათასობით წლის წინათ უკრავდნენ მწყემსები. დიახ, ჩვენ ვინექით, ცეცხლს ვუყურებდით და ძველ მელოდიას ვუსმენდით. მწყემსს, რომელიც ამ მელოდიას უკრავდა, ჩვენ არც კი ვიცნობდით, მაგრამ ღამის წყვდიადში ის მაინც ჩვენთვის უკრავდა. მეჩვენებოდა, რომ ამ მელოდიას ჩემთვის რაღაცის თქმა სურდა.

ცაში ვარსკვლავები კაშკაშებდა. ასეთი მსხვილი და კაშკაშა ვარსკვლავები არასოდეს მენახა. მე ზურგზე გადავტრიალდი, ჩემს წითელ მოსასხამში თბილად გავეხვიე და ვარსკვლავებს დავუწყე ცქერა. ვინექი და მათი კაშკაშით ვტკბებოდი. გამახსენდა, როგორ ვუკრავდით ბალახისთვის, ყვავილე-

ბისტვის, ხეებისთვის, ქარისთვის და ისიც, რომ ნონომ თქვა, მათ ეს მოსწონთო. მაგრამ ჩვენ ვარსკვლავებისთვის არასოდეს დაგვიკრავს.

- ნეტავ მოსწონთ ვარსკვლავებს მუსიკა? - ვკითხე ნონოს და მან მიპასუხა, მგონი, კიო.

მაშინ ისევ შემოვუსხედით კოცონს, სალამურები ამოვიღეთ და ვარსკვლავებისთვის ძველი მწყემსური ჰანგი დავეუკარიო.

მებლაპრე ჭა

ზღვისგალმეთისა და მთისგალმეთის ქვეყნები ჯერ არ მენახა. ერთ დღეს, როდესაც მე და მამაჩემი ვარდნარში ვსეირნობდით, ვკითხე, შეიძლებოდა თუ არა, დილის ნათების ხიდზე ცხენით გამესეირნა. მამაჩემი შედგა, სახეზე ორივე ხელი მომკიდა, სერიოზულად და ალერსიანად ჩამხედა თვალებში და მითხრა:

- მით, ჩემო მით, ჩემს სამეფოში, სადაც მოგესურვება, იქ შეგიძლია ინავარდო: მწვანე მდელოების კუნძულზე ან ზღვისგალმეთში თუ მთისგალმეთში, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ იქამდე ატენო, სადამდეც მირამისი შეძლებს. მხოლოდ ერთი რამ უნდა იცოდე: არსებობს ქვეყანა, რომელსაც გარექვეყანა ჰქვია.

- ვინ ცხოვრობს იქ? - ვკითხე მე.

- მხედარი კიტო, - თქვა მამაჩემმა და სახეზე თითქოს ჩრდილმა გადაუარა, - სასტიკი მხედარი კიტო.

მისი სახელი ახსენა თუ არა, ვარდნარში რაღაც საშიშმა, ბოროტმა ქარმა დაუბერა. თეთრი ჩიტები ბუდეებს შეეფარნენ. სევდის ჩიტმა ყურისწამლებად დაიჩხავლა და შავი ფრთები ერთმანეთს შემოჰკრა. იმავე წამს უამრავი ვარდი დატყვნა და მოკვდა.

- მით, ჩემო მით, გული მიმძიმდება, მხედარ კიტოზე რომ ვფიქრობ, რადგან შენ ჩემთვის ძალიან ძვირფასი ხარ! - მითხრა მამამ.

თითქოს ქარიშხალმა დაუბერაო, ისე ახმაურდა ვერცხლისფოთლებიანი ალვის ხე და ფოთლები დასცვივდა. ფოთლები ისე სცვიოდა, თითქოს ვილაც ტიროდა. ვიგრძენი, რომ მხედარ კიტოსი ძალიან მეშინოდა.

- თუ გული გიმძიმდება, მასზე აღარ იფიქრო, - ვთხოვე მამაჩემს.

მამამ თავი დამიქნია, ხელი მომკიდა და მითხრა:

- მართალი ხარ, ჯერჯერობით აღარ ვიფიქრებ მხედარ კიტოზე; ჯერ კიდევ შეგიძლია სალამურის დაკვრა და ვარდნარში ქოხების აშენება.

ჩვენ იუმ-იუმის მოსაძებნად გავემართეთ.

მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემს თავის დიდ სამეფოში ბევრი საქმე ჰქონდა, ჩემთვის მაინც ყოველთვის პოულობდა დროს. მას არასოდეს უთქვამს, მომწყდი თავიდან, შენთვის არა მცალიაო. ჩემთან ყოფნა სიამოვნებდა. ყოველ დილით ვარდნარში ვსეირნობდით; ჩიტების ბუდეებს მაჩვენებდა; ჩვენს

ქობში შემოდიოდა; მასწავლიდა, როგორ უნდა მეჭირითა მირამისით; მე და იუმ-იუმს ყველაფერზე გველაპარაკებოდა. ბენკას მამაც ასე იქცეოდა: მეც მელაპარაკებოდა. როდესაც ბენკას მამა მელაპარაკებოდა, ბენკა ისე ბედნიერად გამოიყურებოდა ხოლმე, თითქოს ფიქრობდა, ნამდვილად მამაჩემია, მაგრამ ძალიან მომწონს, შენც რომ გელაპარაკებაო. ზუსტად იმავეს განვიცდიდი მეც: ძალიან მიხაროდა, როდესაც მამაჩემი იუმ-იუმს ელაპარაკებოდა.

კიდევ კარგი, რომ მე და იუმ-იუმი ცხენს დიდხანს დავატყენებდით, თორემ მამაჩემი თავისი ქვეყნის სამართავად დროს როგორღა გამონახავდა? ჩვენ რომ მთელი დღით არ გადაგვარგულიყავით ხოლმე, მამაჩემი სამეფო საქმეების გაკეთების ნაცვლად ალბათ სულ ჩვენთან ითამაშებდა და ისაუბრებდა. მამაჩემს ბედმა გაუღიმა, რომ მირამისი და იუმ-იუმი მყავდნენ.

ო, ჩემო მირამის! სად აღარ ვიმოგზაურე შენზე ამხედრებულმა! შენ პირველმა გამაქროლე დილის ნათების ხიდზე, ეს არასოდეს დამავინწყდება.

ეს განთიადისას მოხდა. დარაჯებმა ხიდი ჩამოსწიეს. ხასხასა მწვანე ბალახი ცვრით იყო დანამული. მირამისს ოქროს ჩლიქები დაუსველდა, მაგრამ ამას არად დაგიღევდათ. მე და იუმ-იუმი უთენია ავდექით და ამიტომ ძილი გვერეოდა. თუმცა, ჰაერი ცივი, სუფთა და სასიამოვნო იყო და მას მერე, რაც მდელოები ჭენებით გადავიარეთ, მთლად გამოვფხიზლდით. მზე რომ ამოდიოდა, ზუსტად მაშინ უკვე დილის ნათების ხიდზე ვიყავით. ოქროს სხივებით ნაქარგი ხიდი წყლიდან ისე მალლა იყო აგებული, რომ თუ ქვევით ჩაიხედავდი, თავბრუ დაგეხვეოდა. ჩვენ მსოფლიოში უმაღლეს და უგრძეს ხიდზე მივატყენებდით. მირამისის ოქროს ფაფარი მზეში ბრწყინავდა. ცხენი სულ უფრო ჩქარა, ჩქარა და ჩქარა მიქროდა; ჩვენც ხიდზე სულ უფრო ზევით, ზევით და ზევით ავდიოდით. მირამისის ფლოქვისცემა ჭექა-ქუხილს ჰგავდა. რა კარგი იყო ყველაფერი! მალე, სულ მალე ზღვისგალმეთის ქვეყანასაც ვნახავდი.

- იუმ-იუმ, ხომ შესანიშნავია და ხომ გიხარია? - შევძახე მეგობარს.

მაგრამ უეცრად დავინახე, რომ რალაც საშინელება უნდა მომხდარიყო: მირამისი პირდაპირ უფსკრულისკენ მიატყნებდა. წინ ხიდი აღარ იყო. ეტყობა, ხიდის დარაჯებს წესიერად არ ჩამოეწიათ და მეორე ნაპირზე მიწას ვერ სწვდებოდა, ხიდი ჰაერში ეკიდა.

ჩვენ წინ ღრმა, უძირო უფსკრული იყო. ასე არასოდეს შემშინებია. მიწა დოდა, იუმ-იუმისთვის დამეყვირა, მაგრამ არ შემეძლო. შევეცადე, მირამი-

სის აღვირი მომეცაჩა, რომ გაჩერებულყო, მაგრამ არ დამემორჩილა. ცხენი ველურად ჭიხვინებდა და ფლოქვების გრუხუნით პირდაპირ სიკვდილისკენ მიქროდა. ძალიან შემეშინდა. მალე უფსკრულში გადავიჩხებოდით; მალე მირამისის ფლოქვების ხმას ველარ გავიგონებდი. გავიგონებდი მხოლოდ მის ჭიხვინს, როდესაც თავისი ოქროს ფაფრის ფრიალით უფსკრულში გადაიჩხებოდა. მე თვალები დავხუჭე და მამაჩემი გამახსენდა. მირამისის ფლოქვების ცემა ჭეჭა-ქუხილივით ისმოდა.

უცბად ქუხილი შეწყდა, რალაც სხვანაირად გაისმა ფლოქვების ცემა: თითქოს მირამისი რალაც რბილზე მიაჭენებდა. თვალები გავახილე და დავინახე, რომ მირამისი ჰაერში მიქროდა. ჩემი ოქროსფაფრიანი და ოქროს-ჩლიქიანი მირამისი ჰაერშიც ისე მსუბუქად მიქროდა, როგორც მინაზე! თუ მოისურვებდა, შეეძლო ღრუბლებზე და ვარსკვლავებზე გადამხტარიყო. ამისთანა ცხენი ჩემ გარდა არავის ჰყავდა. ვერავინ წარმოიდგენს, როგორია მის ზურგზე ჯდომა და ჰაერში ნავარდი! როგორია მზის სხივებში გავვეული ზღვისგალმეთის ქვეყანა.

- იუმ-იუმ, იუმ-იუმ! მირამისის ღრუბლებზე ჭენება შეუძლია! - შევძახე მე.

- არ იცოდი? - ისე მკითხა იუმ-იუმმა, თითქოს ეს ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავი ყოფილიყო.

- არა. საიდან უნდა მცოდნოდა?

- მიო, ცოტა რამ იცი, - გაეცინა იუმ-იუმს.

დიდხანს მივაჭენებდით, მირამისი პატარა თეთრ ღრუბლებს ახტებოდა და ეს ძალიან სახალისო და წარმტაცი იყო. მაგრამ ბოლოს მინაზე დაშვება მოვინდომეთ. მირამისი ნელა დაეშვა ძირს. ჩვენ უკვე ზღვისგალმეთის ქვეყანაში ვიყავით.

- აქ შენი ოქროსფაფრიანი მირამისისთვის მწვანე მდელოა, - თქვა იუმ-იუმმა, - მირამისი აქ დავტოვოთ, იბალახოს, ჩვენ კი ირი მოვინახულოთ.

- ირი ვინ არის? - ვიკითხე მე.

- ნახავ. ირი და მისი დამძებნი ახლოს ცხოვრობენ, - მომიგო იუმ-იუმმა.

მერე ხელი მომკიდა და მათ სახლთან მიმიყვანა. ასეთი პატარა, თეთრი, ჩალისსახურავიანი სახლები ზღაპრებში არსებობს. არ ვიცი, ვერ ავხსნი იმას, რატომ მომეჩვენა ზღაპრულად: იმიტომ, რომ სახლი იყო ძალიან ძველი თუ სახლის გარშემო მდგარი საუკუნოვანი ხეები აძლევდა ზღაპრულ იერს; ან იქნებ ბაღში გაფურჩქნულ ყვავილებს ასდიოდა ზღაპრული სურნელი. ირის სახლის წინ, ეზოში, ძველი მრგვალი ჭა იყო. შეიძლება სწორედ

ეს ჭა აძლევდა სახლს ზღაპრულ იერს! დღესდღეობით ასეთი ჭები აღარ არსებობს; ყოველ შემთხვევაში, მე არ მინახავს.

ჭის თაგზე ხუთი ბაგში იჭდა. მათ შორის ყველაზე უფროსი ბიჭი იყო, რომელმაც ჩვენს დანახვაზე გულიანად გაიღიმა.

- დაგინახეთ, რომ მოდიოდი. ლამაზი ცხენი გყავთ.

- მირამისი ჰქვია. ეს იუმ-იუმი, მე კი - მიო, - ვუთხარი მე.

- ვიცი, - თქვა ბიჭმა, - მე ირი მქვია, ესენი კი ჩემი და-ძმები არიან.

აშკარად ეტყობოდათ, რომ ჩვენი მისვლა გაუხარდათ. უპლანდსგათანზე ასე არასოდეს არავის ხვდებოდნენ. იქ ბიჭები მგლის ლეკვებივით უღრენდნენ ყველა უცნობს, ვინც მათ მიუახლოვდებოდა. ისინი ყოველთვის გამო-ნახავდნენ ხოლმე ვინმეს, ვისაც დასცინებდნენ, გაამასხარავებდნენ, არ ეთამაშებოდნენ ან სულაც გააგდებდნენ. ყველაზე ხშირად მე მაგდებდნენ. ერთადერთი ბენკა იყო, რომელიც სულ მეთამაშებოდა... იმ ბიჭების ყოჩი დიდი ბიჭი იყო, იანე ერქვა. მე მისთვის არაფერი დამიშავებია, მაგრამ როგორც კი დამინახავდა, მეუბნებოდა: „გაქრი, თორემ ისე ჩაგაფარებ, რომ ვერასოდეს ვერაფერი გაიგო და დაინახო!“ მერე მათთან თამაშს აღარც ვცდილობდი. მთელი უბნის ბიჭები მას ჰბაძავდნენ, მასავით ლაპარაკობდნენ, რადგან იანე მათი წინამძღოლი იყო.

ჰოდა, ახლა სულ მიკვირდა, ისეთ ვინმეებს რომ ვხვდებოდი, როგორებიც ესენი იყვნენ: იუმ-იუმი, ნონო, ირი, ირის დები და ძმები.

მე და იუმ-იუმი ირის გვერდით დავსხედით. ჭაში ჩავიხედე. ისეთი ღრმა იყო, რომ ფსკერი არ უჩანდა.

- აქედან წყალი როგორ ამოგაქვთ? - ვიკითხე მე.

- აქედან წყალი საერთოდ არ ამოგვაქვს, ეს წყლის ჭა არ არის, - აგვიხსნა ირიმ.

- აბა, რის ჭაა? - გამიკვირდა მე.

- ჩვენ მას მეზღაპრე ჭას ვეძახით, საღამოობით ზღაპრებს ჩურჩულებს, - თქვა ირიმ.

- როგორ თუ ჩურჩულებს?! - განვცვიფრდი მე.

- საღამომდე მოიცადე და ნახავ, - მომიგო ირიმ.

მთელ დღეს ირისთან და მის და-ძმებთან დავრჩით და ასწლოვანი ხეების ჩრდილში ვთამაშობდით. როდესაც მოგვშივდა, ირის და - მინონა-ნელი - სამზარეულოში შევიდა და პური გამოგვიტანა. ეს ის არსობის პური იყო, რომელიც შიმშილს კლავს, და უწინდელივით ძალიან მომეწონა.

ხეების ძირას, ბალახში, პატარა ვერცხლის კოვზი ვიპოვე და ირის ვაჩვენე. ირი ძალიან დანალვლიანდა.

- ჩვენი დის კოვზია. მიომ ჩვენი დის კოვზი იპოვა! - დაუყვირა მან თავის და-ძმებს.

- სად არის თქვენი და? - დავინტერესდი მე.


- მხედარმა კიტომ, სასტიკმა მხედარმა კიტომ მოიტაცა, - კიდეც უფრო დანალვლიანდა ირი.

ეს სახელი ახსენა თუ არა, ჰაერი ყინულივით გაცივდა. ბალში მდგარი დიდი მზესუმზირა დაჭკნა, პეპლებს კი ფრთები დასცვივდათ, ამიტომ ისინი ველარასოდეს იფრენდნენ. მე ვიგრძენი, რომ მხედარ კიტოსი მეშინოდა, ძალიან მეშინოდა.

ირის პატარა ვერცხლის კოვზი გავუწოდე, მაგრამ მან მითხრა:

- შენ იპოვე და შენვე გქონდეს, მას მაინც აღარ სჭირდება.

ირის პატარა და-ძმებმა რომ გაიგეს, მათ დას კოვზი არასოდეს დასჭირდებოდა, ტირილი დაიწყეს. მაგრამ მერე თამაში განვაგრძეთ და ვცდილობდით, სევდიან რამეებზე აღარ გვეფიქრა. კოვზი ჯიბეში ჩავიდე და მალე მიმავინწყდა კიდეც. მეზღაპრე ჯაზე ფიქრი კი მთელ დღეს ვერ ამოვიგდე თავიდან.



ამასობაში მოსალამოვდა. ირიმ მრავალმნიშვნელოვნად ჩაუკრა თვალი თავის დაძმებს და თქვა:

- დროა!

მერე ყველანი ჭის თავზე ჩამოსხდნენ. მე და იუმ-იუმიც გვერდზე მივუსხედით.

- ჩუმად იყავით! - გაგვაფრთხილა ირიმ.

ჩვენ ჩუმად ვისხედით და ველოდებოდით. ბებერ ხეებს შორის ბინდი ჩამონვა. ირის სახლი იდუმალ ბინდბუნდში უფრო მეტად დაემსგავსა ზღაპრულს. ირგვლივ ყველაფერი - სახლიც, ხეებიც, ჭაც - უცნაურ ნაცრისფერ ბურუსში გაეხვია.

- ძალიან ჩუმად იყავით, - ჩაგვჩურჩულა ირიმ, თუმცა არც ერთი ხმას არ ვიღებდით. ჩვენ ცოტა ხანს კიდევ ვიყავით სულგანაბულნი. ამასობაში უფრო ჩამობნელდა. სიჩუმე იყო და არაფერი მესმოდა. მაგრამ მერე, მერე რაღაც გავიგონე. დიახ, მე გავიგონე, როგორ აჩურჩულდა ჭაში ვიღაც. ეს უცნაური ხმა იყო, არავის ხმას არ ჰგავდა. ის ხმა ზღაპრებს ჩურჩულებდა, მსოფლიოში ყველაზე მშვენიერ ზღაპრებს, რომლებიც არც ერთი ზღაპრის მსგავსი არ იყო.

ზღაპრებზე მეტად თითქმის არაფერი არ მიყვარს. უკეთ რომ გამეგო, რას ჩურჩულებდა ხმა, პირქვე დაფნეწი და ჭის კიდებზე გადავიხარე. ხმა ულამაზეს სიმღერებსაც ღიღინებდა ხოლმე.

- ეს რა ჭაა ამისთანა? - ჩურჩულით ვკითხე ირის.

- იმ სიმღერებისა და ზღაპრების ჭაა, დიდი ხნის წინათ რომ არსებობდა და ახლა აღარავის ახსოვს. მხოლოდ ამ მეზღაპრე ჭამ იცის ყველა უძველესი სიმღერა და ზღაპარი, - ამიხსნა ირიმ.

დიდხანს ვისხედით იქ. ხეებს შორის უფრო და უფრო ბნელდებოდა, ჭიდან ამომავალი ხმა კი უფრო და უფრო ინავლებოდა, ბოლოს სულ გაქრა.

მოშორებით, მწვანე მდელოზე, მირამისი აჭიხვინდა. ამან შემახსენა, რომ მამაჩემთან დაბრუნების დრო იყო.

- მშვიდობით, ირი! მშვიდობით, მინონა-ნელ! მშვიდობით, ბავშვებო! - დავემშვიდობე ყველას.

- მშვიდობით, მიო, მშვიდობით, იუმ-იუმ, კიდევ გვინახულეთ! - გამოგვემშვიდობა ირიც.

- რა თქმა უნდა, მოვალთ, - შევპირდი მე.

მერე მირამისს გავეუარეთ, ზურგზე შევასხედით და სახლისაკენ გავაჭენეთ. უკუნეთი სიბნელე აღარ იყო, რადგან ცაზე მთვარე ამოსულიყო და მწვანე მდელოებს დაჰნათოდა. მის შუქზე ხეები ვერცხლისფრად ბრწყინავდნენ, ზუსტად ისე, როგორც შინ, მამაჩემის ვარდნარში ალვის ხეები ბრწყინავდნენ ხოლმე.

ჩვენ დილის ნათების ხიდან მივედით, მაგრამ ხიდი ძლივს ვიცანი. სულ მთლად შეცვლილიყო. ის ახლა ვერცხლის სხივებით მოქსოვილს ჰგავდა.

- ღამით სხვა სახელი ჰქვია, - თქვა იუმ-იუმმა, როდესაც ხილზე მივჯირითობდით.

- რა ჰქვია? - ვკითხე მე.

- მთვარის ნათების ხიდი, - მიპასუხა იუმ-იუმმა.

ცხენს მთვარის ნათების ხილზე მივაჭენებდით. ხიდი დარაჯებს მალე უნდა აენიათ. მწვანე მდელოების კუნძულზე მწყემსების დანთებული კოცონები შორიდან პატარები ჩანდა. მთელ ქვეყანაზე სიჩუმე სუფევდა, სრული სიჩუმე, მხოლოდ მირამისის ფლოქვების ხმა ისმოდა. მთვარის ნათებაში მირამისი მოჩვენებას ჰგავდა. მისი ფაფარი კი, ოქროს ნაცვლად, ვერცხლისა გეგონებოდა.

მივექროდი და ვფიქრობდი მეზღაპრე ჭაზე, მის მოყოლილ ზღაპრებზე. ერთი ზღაპარი განსაკუთრებით მომეწონა. ასე იწყებოდა:

„იყო და არა იყო რა, იყო ერთი უფლისწული. ერთ მთვარიან ღამეს უფლისწულმა შეკაზმა ცხენი, შეჯდა ზედ და სამოგზაუროდ წავიდა...“

ხომ კარგია?! ამ ზღაპრის გმირი მეც შეიძლებოდა ვყოფილიყავი! მე ხომ უფლისწული ვარ!

მწვანე მდელოების კუნძულს ვუახლოვდებოდით. მირამისის ფლოქვები ჭექა-ქუხილივით გრუხუნებდა. მე კი სულ ამ ზღაპარზე ვფიქრობდი, რომელიც ძალიან მელამაზებოდა:

„იყო და არა იყო რა, იყო ერთი უფლისწული. ერთ მთვარიან ღამეს უფლისწულმა შეკაზმა ცხენი, შეჯდა ზედ და სამოგზაუროდ წავიდა...“

ის მრუმე ტყეში მიაჭენებს

ბიძია სიქსტენთან და დეიდა ედლასთან რომ ვცხოვრობდი, ბიბლიოთეკიდან ზღაპრების წიგნი გამომქონდა ხოლმე. დეიდა ედლა ამას ვერ იტანდა.

- ისევ ზიხარ და ცხვირი წიგნში გაქვს ჩარგული! იმიტომ ხარ ერთი ციდა, ფერმკრთალი და საბრალო, სხვა ბავშვებზე ვერ გარეთ ყოფნა რომ არ გინდა! - ბუზღუნებდა დეიდა ედლა.

არადა, გარეთ როგორ არ გავდიოდი - თითქმის სულ გარეთ ვიყავი. ალბათ უფრო მოეწონებოდათ, სამუდამოდ გარეთ რომ დავრჩენილიყავი. ვფიქრობ, ახლა გახარებულები იქნებიან: მე ხომ იქ აღარასოდეს დავბრუნდები.

კითხვა მხოლოდ საღამოობით შემეძლო, ისიც - ხანდახან. ფერმკრთალი ამის გამო ნამდვილად ვერ ვიქნებოდი. ნეტავ დეიდა ედლას ახლა ჩემი ნახვა შეეძლოს, როგორი დიდი, ძლიერი, მზისგან გარუჯული და ჯანმრთელი ვარ. უპლანდსგათანზე რომ ვიყო, ცალი ხელითაც მივბეგვავდი იმ იანეს. მაგრამ ამას მაინც არ ვიზამდი, რადგან არ მინდა, სურვილი არ მაქვს.

ნეტავ რას იტყოდა დეიდა ედლა, იმ მეზღაპრე ჭის ამბავი რომ შეეტყო; რომ დაუჯდომლად და წიგნებში ცხვირის ჩაურგავადაც შეიძლება ზღაპრების მოსმენა; რომ შეიძლება გარეთ, სუფთა ჰაერზე იყო და მაინც იმდენ ზღაპარს უსმინო, რამდენსაც მოისურვებ. შეიძლება ეს დეიდა ედლასაც მოსწონებოდა, მაგრამ ის ხომ მაინც არაფრით არ არის ხოლმე კმაყოფილი.

„იყო და არა იყო რა, იყო ერთი უფლისწული. ერთ მთვარიან ღამეს უფლისწულმა შეკაზმა ცხენი, შეჯდა ზედ და სამოგზაუროდ წავიდა... და, აი, ის მრუმე ტყეში მიაჭენებს...“

ასე მოგვითხრო ჭამ. მე სულ ამაზე ვფიქრობდი. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ჭამ ამ ზღაპარში განსაკუთრებული რაღაც იგულისხმა: ხომ შეიძლება, რომ მე ვიყავი ის უფლისწული, რომელიც მრუმე ტყეში მიაჭენებდა ცხენს და რომელსაც კიდევ ერთხელ უნდა გაეწვლო იგივე გზა?

მე ვკითხე მამაჩემს, ხომ არ იცი, ის მრუმე ტყე სად არის-მეთქი. მან ეს იცოდა და განსაცვიფრებლად ნალვლიანი ხმით მითხრა:

- მრუმე ტყე მთისგალმეთის ქვეყანაშია. მით, ჩემო მით, რად გინდა ის მრუმე ტყე?

- ამაღამ, მთვარე რომ ამოვა, მინდა იქით გავაჭენო ცხენი, - ვუპასუხე მე. მამაჩემმა განცვიფრებით შემომხედა.

- აჰ, უკვე ასეა? ამაღამვე? - მეფეს ხმა უფრო დაუნაღვლიანდა.

- წინააღმდეგი ხომ არ ხარ? ხომ არ ინერვიულებ, ღამით მრუმე ტყეში რომ გავაჭენო ცხენი?

მამაჩემმა თავი გააქნია.

- არა, რატომ უნდა ვინერვიულო? ტყე, რომელსაც მთვარის შუქზე მშვიდად სძინავს, არავის არათერს დაუშავებს, - მითხრა მამაჩემმა.

მაგრამ შემდეგ დაჯდა, თავი ხელებში ჩარგო და მივხვდი, რომ ძალიან ღრმა ფიქრებში ჩაეფლო. მე მივედი, დასამშვიდობებლად მხრებზე მოვეხვიე და ვკითხე:

- გინდა შენთან დავრჩე?

ის დიდხანს მიცქეროდა სევდიანი თვალებით, მერე კი მითხრა:

- არა, მით, ჩემო მით, ჩემთან ვერ დარჩები. მთვარე უკვე ამოვიდა და მრუმე ტყე შენ გელოდება.

- მართლა არ იდარდება? - ვკითხე მე.

- მართლა არ ვიდარდება, - გაიღიმა მან და თავზე ხელი გადამისვა.

მე იუმ-იუმთან გავიქეცი, რომ მეკითხა, წამოვიდოდა თუ არა ჩემთან ერთად მრუმე ტყეში. უცბად მამაჩემის ხმა გავიგონე:

- მით, ჩემო მით! - მეძახდა ის.

შევტრიალდი. მამაჩემი ხელებგამოწვდილი იდგა. გავიქეცი და გულში ჩავვკარი. ჩვენ დიდხანს ვიდევით ასე ჩახუტებულები.

- მე მალე დავბრუნდები! - დაფიჩურჩულე მე.

- მალე დაბრუნდი! - მთხოვა მამამ ძლივსგასაგონი ხმით.

იუმ-იუმი გარეთ, მებალის სახლის წინ ვნახე და ვუთხარი, რომ მირამისის მრუმე ტყეში გაჭენებას ვაპირებდი.

- ერთი უყურე! ძლივს! - შესძახა იუმ-იუმმა.

უცნაური იყო; მრუმე ტყეში წასვლაზე მამაჩემს რომ ვუთხარი, თქვა: „ა, უკვეო“, ხოლო იუმ-იუმმა - „აჰა, ძლივსო“. თუმცა, ამაზე დიდხანს არ მიფიქრია.

- წამოხვალ? - ვკითხე იუმ-იუმს.

იუმ-იუმმა ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და თქვა:

- ჰო, წამოვალ!

მირამისი ვარდნარში ძოვდა, ჩვენ მას გავუარეთ და ვუთხარით, რომ მრუმე ტყეში უნდა წავეყვანეთ. მირამისმა ცეკვა დაიწყო, თითქოს დიდად სასიამოვნო რამ გაეგონოს. შევასხედით თუ არა მე და იუმ-იუმი ზურგზე, მირამისი მაშინვე ელვასავით გაიჭრა წინ.

ვარდნარიდან მამაჩემის ძახილი მესმოდა: „მიო, ჩემო მიო“. არასოდეს გამეგო ასეთი ნაღვლიანი ხმა. მაგრამ უკან ვერ დავბრუნდებოდი. არ შემეძლო.

მთისგალმეთის ქვეყანა შორს იყო. მირამისისნაირი ცხენი რომ არ მყოლოდა, იქამდე ვერასოდეს მივალწევდით. ვერასოდეს ავიდოდით იმ მაღალ მთებზე, ცამდე რომ აღმართულიყო. მირამისისთვის არანაირი დაბრკოლება არ არსებობდა, ჩიტივით დაფრინავდა. ბოლოს უმაღლეს, მუდამ თოვლით დაფარულ მწვერვალზე დავეშვით. ჩვენ მირამისის ზურგზე ვისხედით და იმ ქვეყანას გავცქეროდით, მთის ძირში რომ გველოდა.

მრუმე ტყეს მთვარე ანათებდა. საოცრად ლამაზი იყო, სულაც არ ჰგავდა საშიშს. ესე იგი, მართლა ასეა: ტყე, რომელსაც მთვარის შუქზე სძინავს, არავის ავნებს. დიახ, მამაჩემი მართალი იყო: აქ ყველაფერი: ხეები, მდელოები, ნაკადულები და მწვანე კორომები³ ალერსით ეგებებოდა ყველას. ლამეც თბილი და თითქმის დღესავით ნათელი იყო, მთვარე ნაზად ანათებდა და სიბნელეც ჩვეულებრივი სიბნელე იყო. ასე რომ, აქ არავის არაფრის არ უნდა შეშინებოდა.

საშიში მხოლოდ ერთი რამ იყო, ერთადერთი რამ.

მირამისზე ამხედრებულებმა შორს, მრუმე ტყის გადაღმა, ქვეყანა დავინახეთ, რომელიც საშინელ სიბნელებში; უკუნეთში ჩაძირულიყო. ისეთი იყო, დაინახავდი და შიში შეგიპყრობდა.

- ეს რა საზარელი ქვეყანაა! - ვუთხარი იუმ-იუმს.

- იქ გარექვეყანა იწყება, იქ არის საზღვარი, - ამიხსნა იუმ-იუმმა.

- მხედარ კიტოს ქვეყანა! - შევძახე მე.

იმავე წამს მირამისი აკანკალდა, კლდეს კი დიდი ლოდი მოსწყდა და ხევში ხმაურით ჩაეხეთქა.

დიახ, ერთადერთი რამ იყო საშიში - მხედარი კიტო. მისი უნდა გშინებოდა, ძალიან უნდა გშინებოდა. მაგრამ მასზე ფიქრი აღარ მსურდა.

³ ჯგუფად მდგარი ხეებით დაფარული მიწის პატარა მონაკვეთი

- მრუმე ტყეში, მხოლოდ მრუმე ტყეში მინდა წასვლა! - ვუთხარი იუმ-იუმს. მირამისმა დაიჭიხვინა და მალალი მთებიდან ექო გამოეხმაურა.

მირამისი ნელ-ნელა აფრინდა ჰაერში, მერე ქვემოთ დაშვება დაიწყო და მანამ ეშვებოდა, სანამ ხის კენწეროებს ფლოქვებით ნაზად არ შეეხო. ჩვენ სიმწვანეში ჩავეშვით და მრუმე ტყეში ამოვყავით თავი.

ბევრ ტყეში არ ვარ ნამყოფი, მაგრამ ამ ტყისმაგვარი, არა მგონია, სადმე არსებობდეს. მრუმე ტყეს რალაც საიდუმლო ჰქონდა - დიდი და უცნაური საიდუმლო, ამას ვგრძნობდი. მაგრამ მთვარემ თავისი საბურველი გადაათარა და მე ვერავითარი საიდუმლო ვერ ამოვხსენი. ხეები შრიალით ჩურჩულებდნენ ამ საიდუმლოს შესახებ, მაგრამ მე არაფერი მესმოდა. მთვარის შუქზე მოციმციმე ხეებმა იცოდნენ ეს საიდუმლო, მე კი არ ვიცოდი.

უცბად შორიდან ფლოქვების თქარათქური შემოგვესმა. ისეთი ხმა იყო, თითქოს ასეულობით ცხენი მოაჭენებდა. და როდესაც მირამისმა დაიჭიხვინა, თითქოს ასმა ცხენმა ჭიხვინით უპასუხა. ფლოქვების თქარათქური უფრო და უფრო გვიახლოვდებოდა, ჭიხვინი სულ უფრო ველური ხდებოდა. გონს მოსვლა ვერ მოვასწარი, რომ ჩვენ წინ ზვაფივით მოქანდა ასი მირამისივით თეთრი და ფაფარაშლილი ცხენი. მირამისი რემას შუაში მოექცა და ყველა ერთად დაოთხილი გაჭენდა განაკაფზე.

იუმ-იუმი და მე მირამისიდან ჩამოვხტი, ხის ძირას დავდექით და ვუყურებდით, თეთრი ცხენების რემა, მირამისის წინამძღოლობით, მთვარის შუქზე როგორი გაშმაგებით დაქროდა წინ და უკან.



- ერთი უყურე, როგორი გახარებულები არიან, - თქვა იუმ-იუმმა.

- მერე, რა უხარიათ? - ვკითხე მე.

- მირამისი სახლში რომ დაბრუნდა. არ იცოდი, მრუმე ტყე რომ მირამისის სახლია? - მითხრა იუმ-იუმმა.

- არა, არ ვიცოდი, - მივუგე მე.

- მიო, ცოტა რამ იცი, - თქვა იუმ-იუმმა.

- აბა, როგორღა მაჩუქეს? - ვკითხე მე.

- ჩვენმა მეფე-ბატონმა ბრძანა, რომ მისი კუთვნილი რემიდან ერთი თეთრი ცხენი მწვანე მდელოების კუნძულზე წამოსულიყო და შენი გამხდარიყო. მე მირამისს გავხედე, ის მთვარის შუქზე დაჭენაობდა და ბედნიერი იყო. უცბად მოუსვენრობამ შემიპყრო.

- იუმ-იუმ, როგორ გგონია, მირამისი ნაწყენი არ არის, ჩემთან რომ უნდა იყოს? იქნებ მრუმე ტყეში ურჩევნია დაბრუნება? - ვკითხე მე.

ეს ვთქვი თუ არა, მირამისმა ჩემთან მოიბრძინა. მხარზე თავი დამადლო, წყნარად დაიჭიხვინა და დიდხანს იდგა ასე.

- ხედავ, შენთან ყოფნა მოსწონს, - ამისხნა იუმ-იუმმა.

გამიხარდა. მირამისს მოვეფერე და შაქრის ნატეხი გავუწოდე. მანაც რბილი ჩიჩვირით გამომართვა.

გზა განვაგრძეთ. მივდიოდით ტყე-ტყე და ასი თეთრი ცხენი უკან მოგვეყვებოდა. ჰაერში საიდუმლო ტრიალებდა: ყველამ იცოდა, თითოეულმა ხემ, ყველა ცაცხვმა და ვერხვმა, რომლებიც ჩვენ ასე ნაზად დაგვშრიალებდნენ, მათ ახლოს რომ გავივლიდით, და იმ საიდუმლოზე ჩურჩულებდნენ. თეთრმა ცხენებმაც იცოდნენ ეს საიდუმლო და ფლოქვების თქარუნისგან გამოღვიძებულმა ჩიტებმაც. მხოლოდ მე არ ვიცოდი. იუმ-იუმი მართალი იყო, რომ მეუბნებოდა, მიო, ცოტა რამ იციო.

ჩვენ გრიგალივით მივექროდით და ასი თეთრი ცხენი უკან მოგვეყვებოდა. ჩემი წითელი მოსასხამი ერთგან ტოტს გამოედო. იქნებ ხეს ჩემი დაბრკოლება სურდა? იქნებ საიდუმლო უნდა გაემხილა? მაგრამ მე ვჩქარობდი, ჭენება გავაგრძელე და მოსასხამი გაიხა.

შუა ტყეში სახლი იდგა. პატარა, თეთრი, ჩალისსახურავიანი ზღაპრული სახლი. მის გარშემო ვაშლის ხეები ყვავდა. ვაშლის ყვავილები მთვარის შუქზე თეთრად ანათებდა. ერთი ფანჯარა ღია იყო და შიგნიდან თანაბარი

კაკუნი ისმობდა. ისეთი ხმა იყო, თითქოს ვიღაც იჯდა და საქსოვ დაზგაზე ქსოვდა.

- მოდი, ვნახოთ, შიგ რა ხდება, - შევეთავაზე იუმ-იუმს.

- მოდი, ვნახოთ, - დამეთანხმა იუმ-იუმი.

ცხენიდან ჩამოვხტივით და ვაშლის ხეებს შორის სახლისაკენ მიმავალ ბილიკს გავუყევით. კარზე რომ დავაკაკუნე, ოთახში ხმაური შეწყდა.

- შემოდით, ბიჭუნებო, დიდი ხანია, გელოდებით! - გამოგვძახა ვიღაცამ.

ჩვენ შიგნით შევედივით. საქსოვი დაზგის წინ მქსოველი ქალი იჯდა. ჩვენ რომ დაგვინახა, ალერსით დაგვიქნია თავი.

- რატომ არ გძინავთ და ღამით რატომ ქსოვთ? - ვკითხე მე.

- სასწაულთმოქმედ ტილოს ვქსოვ ასეთი ტილო კი მხოლოდ ღამით იქსოვება.

ფანჯარაში მთვარის შუქი შემოიჭრა, ტილოს დაანათა და ისე გაალამაზა, ამ ნაქსოვ ტილოზე უფრო ლამაზი ნაქსოვი არასოდეს მენახა.

- სასწაულთმოქმედი ტილო მხოლოდ ღამით იქსოვება, - გაიმეორა ქალმა.

- ასეთი ლამაზი რისგან იქსოვება? - ვკითხე მე.

მან არაფერი მიპასუხა, ქსოვა განაგრძო. მისი საქსოვი დაზგა კაკუნებდა და ქალი თავისთვის ჩუმად ლილინებდა:

*„თუ აიღე მთვარის სხივის ვერცხლისფერი შუქი
გელის სისხლი ალისფერი დაუმატე თუკი,
გელის სისხლით, ვერცხლის სხივით, ყვავილებით ვაშლის
იქსოვება აბრეშუმი იმ სიოზე ნაზი,
ღამღამობით ბალახზე რომ დაქრის, დანავარდობს.
ტყეს გასძახის სევდის ჩიტი, ავბედისას ვალობს“.*

ქალი ხმადაბლა და მონოტონურად მღეროდა. როგორც კი გაჩუმიდა, ტყიდან სხვა სიმღერა შემომესმა. მე მაშინვე ვიცანი: ეს სევდის ჩიტი იყო, ხის კენწეროზე იჯდა და ისე ვალობდა, რომ გულზე სევდა შემომანვა.

- სევდის ჩიტი რას ვალობს? - ვკითხე მქსოველს.

ქალმა ტირილი დაიწყო. მისი ცრემლები ტილოს დაეცა და პატარა მბრწყინავ მარგალიტებად იქცა. ამან ქსოვილი უწინდელზე მეტად გაალამაზა.

- რას გალობს სევდის ჩიტი? - კიდევ ვკითხე ქალს.
- ჩემს პატარა გოგონაზე გალობს, - თქვა მქსოველმა და უფრო მეტად ატირდა, - ჩემს პატარა გოგონაზე გალობს, რომელიც ყაჩაღმა მოიტაცა.
- ვინ მოიტაცა? - ვკითხე მე.
- მაგრამ უკვე ვიცოდი - ვინც. პასუხი არ მჭირდებოდა.
- სახელი არ თქვა! - შევევედრე ქალს.
- არა, არ ვახსენებ, თორემ მთვარის ნათება ძალას დაკარგავს, მთვარის შუეი ჩაქრება და თეთრი ცხენები სისხლის ცრემლებით ატირდებიან, - თქვა მქსოველმა.
- სისხლის ცრემლებით რატომ ატირდებიან? - ვკითხე მე.
- პატარა კვიცის გამო. ისიც ყაჩაღმა მოიტაცა. აბა, უსმინე, სევდის ჩიტი როგორ გალობს!

შუა ოთახში ვიდექი და ღია ფანჯრიდან სევდის ჩიტის გალობა მესმოდა. სევდის ჩიტის გალობა ვარდნარში ხშირად მომისმენია, მაგრამ ვერასოდეს ვიგებდი, რაზე გალობდა. ახლა კი ვიცოდი. ის ყველა მოტაცებულს უგალობდა: მქსოველი ქალის პატარა ქალიშვილს, ნონოს ძმებს, ირის დას და ბევრ, ბევრ სხვა ვინმეს, რომლებიც სასტიკმა მხედარმა კიტომ მოიტაცა და თავის სასახლეში გამოამწყვდია.

ამიტომ გლოვობდნენ ყველგან: მწვანე მდელოების კუნძულზე, პატარა ქოხებში, ზღვისგალმეთსა და მთისგალმეთში. ისინი ბავშვებს მისტიროდნენ - ბავშვებს, თავიანთ დაკარგულ შვილებს. მრუმე ტყეში თეთრ ცხენებსაც კი ჰყავდათ ვილაც, ვისაც გლოვობდნენ, და როდესაც მომტაცებლის სახელს გაიგონებდნენ, სისხლის ცრემლებით ტიროდნენ.

მხედარი კიტო! როგორ მეშინოდა მისი! ძალიან მეშინოდა! მაგრამ როდესაც ამ სახლში ვიდექი და სევდის ჩიტის გალობას ვუსმენდი, უცბად მივხვდი, ამ მრუმე ტყეში რატომ გამოვაჭენე ცხენი. მრუმე ტყის იქით იწყებოდა გარექვეყანა და იქ უნდა წავსულიყავი, სწორედ იქ უნდა წავსულიყავი, რათა მხედარ კიტოს შევბრძოლებოდი, თუმცა, მეშინოდა, ძალიან მეშინოდა! დიახ, ძალიან მეშინოდა და როცა იმაზე ვფიქრობდი, რა მომელოდა, თვალე-ბი ცრემლებით მევსებოდა.

მქსოველმა ისევ განაგრძო ქსოვა. ყურადღებას არ გვაქცევდა არც იუმ-იუმს, არც მე. ისევ თავისთვის, ჩუმად, მონოტონურად მღეროდა თავის სიმღერას: „თუ აიღე მთვარის სხივის ვერცხლისფერი შუქი...“

- იუმ-იუმ, - ვთქვი მე და ჩემი ხმა უცნაურად ჟღერდა, - იუმ-იუმ, მირამისი ახლა გარეეჭვეყანაში უნდა გავაჭენო.

- ვიცი, - მითხრა იუმ-იუმმა.

ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა.

- საიდან იცი? აქამდე მე თვითონაც არ ვიცოდი, - ვკითხე გაოცებულმა.

- მით, ცოტა რამ იცი, - თქვა იუმ-იუმმა.

- მაგრამ შენ, შენ ყველაფერი იცი? - ვკითხე მე.

- კი, მე ვიცი. დიდი ხანია, ვიცი, რომ შენი ხვედრია გარეეჭვეყანაში წასვლა. ეს ყველამ იცის, - მომიგო იუმ-იუმმა.

- ყველამ იცის?

- ყველამ, - დამიდასტურა მან, - სევდის ჩიტმა იცის. მქსოველმა იცის. თეთრმა ცხენებმა იციან. მთელმა მრუშე ტყემ იცის. ხეებიც და ბალახიც ამას ჩურჩულებენ, ყველამ იცის.

- ნუთუ მართლა?! - უფრო გამიკვირდა მე.

- მწვანე მდელოების კუნძულის ყველა მწყემსმა იცის ეს და ღამით სალა-მურს ამის შესახებ უკრავენ. ნონომ იცის. მისმა ბებიამ იცის. ირიმ და მისმა და-ძმებმა იციან, მეზღაპრე ჭამაც იცის. ხომ გეუბნები, ყველამ იცის.

- მამაჩემმა? - ჩავიჩურჩულე მე.

- მამაშენმა ეს ყოველთვის იცოდა, - თქვა იუმ-იუმმა.

- და უნდა, რომ წავიდე? - ხმა ამიკანკალდა.

- დიახ, უნდა! ძალიან დარდობს, მაგრამ უნდა, რომ წახვიდე.

- მაგრამ მე რომ ძალიან მეშინია?! - ვთქვი და ავტირდი. ნამდვილად მხოლოდ მაშინლა ვიგრძენი, როგორ მეშინოდა, - იუმ-იუმ, ვერ გავბედავ! - მეგობარს მოვეხვიე.. - რატომ სურს მეფე-მამაჩემს, რომ ეს გმირობა მაინცდამაინც მე ჩავიდინო?

- მხოლოდ მეფური წარმოშობის ბიჭს შეუძლია აღასრულოს ეს გმირული საქმე, - ამისნა იუმ-იუმმა, - მხოლოდ მეფური წარმოშობის ბიჭს შეუძლია.

- მაგრამ, რომ დავიღუპო? - ვკითხე იუმ-იუმს და ძალიან მაგრად ჩაჭყიდე ხელი.

მან არაფერი მიპასუხა.

- და მამაჩემს მაინც უნდა, რომ წავიდე?

მქსოველმა ქსოვა შეწყვიტა და ქოხში სრული სიჩუმე ჩამოვარდა. სევდის ჩიტიც დადუმდა. ხეებმა ფოთლების შრიალი შეწყვიტეს.

სამარისებური სიჩუმე იდგა.

იუმ-იუმმა თავი დამიქნია და ძლივს ამოთქვა:

- ჰო, მამაშენს მაინც უნდა, რომ წახვიდე.

- ვერ გავბედავ! ვერ გავბედავ! ვერ გავბედავ! - ავყვირდი სასოწარკვეთილი.

იუმ-იუმი ჩუმად იდგა. მხოლოდ მიყურებდა და კრინტს არ ძრავდა. სევდის ჩიტმა ისევ დაიწყო გალობა. მისი გალობისგან კინალამ მკერდში გული გამიჩერდა.

- ჩემს პატარა გოგონაზე გალობს, - ჩურჩულით თქვა მქსოველმა. მისი ცრემლები ქსოვილზე დაეცა და მარგალიტებად იქცა.

მუშტები შევკარი და წამოვიძახე:

- იუმ-იუმ, მე გარექვეყანაში მივდივარ!

ამ სიტყვებზე ფანჯრებს მიღმა ქარმა დაუბერა და მრუმე ტყე ახმაურდა, სევდის ჩიტმა კი ისეთი სიმღერა შემოსძახა, რომ მისი მსგავსი მსოფლიოს არც ერთ ტყეში არავის გაუგონია.

- ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა, - თქვა იუმ-იუმმა.

- მშვიდობით, იუმ-იუმ, მშვიდობით, საყვარელო იუმ-იუმ! - ვემშვიდობებოდი იუმ-იუმს და ვგრძნობდი, რომ სადაცაა, ავტირდებოდი.

იუმ-იუმმა შემომხედა. რატომღაც ბენკას თვალებით შემომხედა. შემდეგ გაიღიმა და მითხრა:

- მე წამოგყვები.

აი, ნამდვილი მეგობრობა! იუმ-იუმი ნამდვილი მეგობარი იყო. ძალიან გამიხარდა, რომ თქვა, წამოგყვებით. მაგრამ არ მინდოდა, საფრთხეში ჩამეგდო, ამიტომ ვუთხარი:

- არა, იუმ-იუმ, შენ ვერ წამომყვები! არ შეიძლება იქ შენი წამოსვლა!

- წამოგყვები, - მომიგო იუმ-იუმმა, - ასე ითქვა: მეფური წარმოშობის ბიჭი ოქროსფაფრიანი ცხენით გაჭენდება და ამაღლად ერთადერთი მეგობარი ეყოლება. შენ ვერ შეცვლი იმას, რაც ათასობით წლის წინ იწინასწარმეტყველეს.

- ათასობით წლის წინათ... - გაიმეორა მქსოველმა, - მახსოვს იმ საღამოს, როდესაც ვაშლის ხეებს ვრგავდი, ქარი ამაზე მღეროდა. „ეს დიდი ხნის წინათ იყო, ათასობით წლის წინათ“... მოდი, მით, მოსასხამს დაგიკემსავ!..

ქალმა თავის სასწაულთმოქმედ ტილოს ნაჭერი ჩამოაჭრა და ტყეში ჯირითის დროს გახეულ მოსასხამს საკერებლად დაადო. მერე მთელ მოსას-

ხამს სარჩულად მბრწყინავი ტილო გამოაკრა და მოსასხამი მხრებზე მსუბუქად მომახვია. მოსასხამი უფრო რბილი, მსუბუქი და თბილი იყო.

- ჩემს საუკეთესო ნაქსოვს იმას ვაძლევ, ვინც ჩემს პატარა შვილს გადაარჩენს. პურიც დაგჭირდება, პური არსობისა. გაუფრთხილდი, წინ შიმშილის გზები გელის! - მითხრა მქსოველმა და პური მომცა.

მე მადლობა გადავუხადე. შემდეგ იუმ-იუმს მივუბრუნდი:

- იუმ-იუმ, მზად ვართ?

- ჰო, მზად ვართ! - მომიგო იუმ-იუმმა.

ჩვენ გარეთ გამოვედით, ვაშლის ხეებს შორის მიმავალ ბილიკს გავუყუევით და მირამისს მოვახტით. იმავე წამს სევდის ჩიტმა შავი ფრთები გაშალა და მთებისაკენ გაფრინდა.

ასი თეთრი ცხენი უძრავად იდგა და თვალს გვაყოლებდა, სანამ მირამისს ხეებს შორის მივაჭენებდით. ისინი არ გამოგვყვნენ. აყვავებული ვაშლის ხეები თოვლივით თეთრად ანათებდნენ მთვარის შუქზე. შეიძლება ველარასოდეს ვეღარ ვნახო ასეთი მშვენიერი ვაშლის ყვავილობა...

მოჯადოებელი ჩიტები

შეიძლება ველარასოდეს ვნახო ასეთი მშვენიერი ვაშლის ყვავილობა, ველარ გავიგონო ხეების მწვანე ფოთლებისა და რბილი ბალახის შრიალი, რადგან ახლა ისეთი ქვეყნისკენ მივდივართ, სადაც არც ყვავილებია, არც ხეები და არც ბალახი.

ლამეში ცხენს მივაჭენებდით, მივაჭენებდით და მივაჭენებდით. მალე მთვარის შუქით განათებული ტყე უკან ჩამოვიტოვეთ. ჩვენ წინ უფრო და უფრო ბნელდებოდა. მთვარის ნათება ჩაქრა, მინა გამომშრალი და ქვიანი გახდა. გარშემო შიშველი კლდეები აღიმართა. ჩვენ ვინრო, შავბნელი ბილიკით ქვევით, უფსკრულში, ორ შავ კლდოვან კედელს შორის მივექროდით.

- ბილიკი - ასეთი მიყრუებული, მთები - ასეთი შავი, ჩვენ კი ასეთი პატარები და უმწეოები რომ არ ვიყოთ!.. - დანანებით თქვა იუმ-იუმმა.

ბილიკი იკლავებოდა და იგრინებოდა; ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ყოველ მოსახვევს უკან საფრთხე გველოდა. ეტყობა, მირამისიც გრძნობდა ამას: მთელი სხეულით ცახცახებდა და უკან გაბრუნებას ლამობდა, მაგრამ აღვირი მაგრად მეჭირა და ვაიძულებდი, გზა გაევგრძელებინა. ბილიკი თანდათან დავინროვდა. შავი მთები უფრო და უფრო გამაღლდა. სიბნელე ჩამუქდა. ბოლოს მივედით კლდეებს შორის რალაც ღიობთან⁴, რომელიც ჭიშკარს წააგავდა. იმის იქით უკუნს სიბნელე იყო, მსოფლიოში ყველაზე შავი სიბნელე.

- გარექვეყანა იწყება, - ჩაიჩურჩულა იუმ-იუმმა, - ეს გარექვეყანაში შესასვლელია.

მირამისი ყალყზე შედგა და მთელი ხმით აჭიხვინდა, მხოლოდ ეს შემზარავი ჭიხვინი არღვევდა მდუმარებას, ჭიშკარის უკან გამეფებულ უკუნეთში სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ეს ყრუ მდუმარება თითქოს მხოლოდ იმას ელოდა, როდის გადავაბიჯებდით საზღვარს.

ვიცოდი, უკუნ სიბნელეში უნდა შევსულიყავი, მაგრამ აღარ მეძინოდა. ახლა უკვე ვიცოდი ათასობით წლის წინათ ნაწინასწარმეტყველები, რომ ბნელ ჭიშკარში უნდა შევსულიყავი, ამიტომ თავს უფრო მამაცად ვგრძნობ-

⁴ ღიად დატოვებული სივრცე ნაგებობაში

დი. ვფიქრობდი, მოსახდენი მოხდეს; შეიძლება, ველარასოდეს დავბრუნდე უკან, მაგრამ აღარაფერს შევუძინდები-მეთქი.

მირამის სიბნელისკენ ვუბიძგე. მანაც იგრძნო, რომ მის უკან გაბრუნებას არ ვაპირებდი, ამიტომ ვინრო ღიობში შევგრიალდა და გარეყვეყნის უჟმურ გზას ჭენებით გაუყვა.

ჩვენ კუპრივით შავ ღამეში მივაჭენებდით, ვერც გზას ვხედავდი და ვერც სხვა რამეს.

მაგრამ იუმ-იუმი ჩემთან იყო. ის ჩემ უკან იჯდა და მაგრად მებლაუჭებოდა. ამ წუთებში იუმ-იუმი უნინდელზე მეტად მიყვარდა; მე მართო არ ვიყავი; მე მომყვებოდა მეგობარი, ჩემი ერთადერთი მეგობარი! ყველაფერი ზუსტად ისე იყო, როგორც იწინასწარმეტყველეს.

არ ვიცი, სიბნელეში რამდენ ხანს მივაჭენებდით. შეიძლება ცოტა ხანს, შეიძლება რამდენიმე საათს. ანდა, იქნებ ათასობით წელს? ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სიზმარში, ბოროტ სიზმარში მივაჭენებდით, აუცილებლად ყვირილით რომ უნდა გამოიღვიძო და შემდეგ კიდევ დიდხანს იწვე და გეშინოდეს. მაგრამ ეს არ იყო სიზმარი, რომლის შემდეგაც უნდა გამოიღვიძო. ჩვენ მივაჭენებდით და მივაჭენებდით. არ ვიცოდით, საით მივაჭენებდით. არ ვიცოდით, რამდენ ხანს მივაჭენებდით. ჩვენ მხოლოდ ის ვიცოდით, რომ უკუნ ღამეში მივექროდით.

და უეცრად მირამისი გაჩერდა. ტბასთან მივსულიყავით. არც ერთი ცუდი სიზმარი არ შეიძლება იყოს ისეთი საზარელი, როგორიც ეს ტბა იყო. ზოგჯერ ჩემ წინ გაშლილი, დიდი შავი წყალი დამსიზმრებია, მაგრამ არც მე, არც სხვას არ დასიზმრებია ისეთი შავი წყალი, როგორიც ჩემი თვალით ვნახე იქ. ეს იყო მსოფლიოში ყველაზე პირქუში, ყველაზე შემზარავი წყალი. ტბის გარშემო მხოლოდ მოშიშვლებული შავი კლდეები აღმართულიყო. ამ უსახური წყლის თავზე უამრავი ჩიტი დაფრინავდა. ისინი არ ჩანდნენ, ხმა კი ისმოდა. არასოდეს გამიგონია ისეთი საბრალო გოდება, მათი გოდება რომ იყო. ძალიან შემეცოდნენ ჩიტები! მეჩვენებოდა, რომ დახმარებას ითხოვდნენ, თითქოს სასოწარკვეთილნი იყვნენ და ტიროდნენ.

ტბის მეორე მხარეს, ყველაზე მაღალ კლდეზე, დიდი შავი სასახლე იდგა, იქ ერთადერთი ფანჯარა იყო განათებული. ეს ფანჯარა წააგავდა ადამიანის ბოროტ, სასტიკსა და საშინელ წითელ თვალს, რომელიც ჩვენ გვდარაჯობდა და უბედურებას გვიქადა.

მხედარ კიტოს სასახლე! იქ, შავი წყლის გაღმა, ცხოვრობდა მტერი, რომელთან საბრძოლველადაც მოვედი. არ მინდოდა მშინებოდა, მაგრამ ბოროტი თვალი, რომელიც ტბას გაღმოსცქეროდა, მაშინებდა; თითქოს მაფრთხილებდა, შენნაირი ერთი ციდა როგორ დაამარცხებს ისეთ ბოროტსა და საშიშ მხედარს, როგორიც მხედარი კიტოაო!



- ხმალი გჭირდება! - მითხრა იუმ-იუმმა.

ამის თქმა იყო და, ვილაცის კვნესა შემოგვესმა.

- ვაი... ვაი... ვაი!.. როგორ მშია! შიმშილით ვკვდები! ვაი... ვაი... ვაი!..

ვიცოდი, რომ მასთან მიახლოება საშიში იყო: შეიძლება ვინმე მახეს გვიგებდა! მაგრამ მაინც ვიფიქრე: „ვინც უნდა იყოს, უსათუოდ მოვძებნი, იქნებ ჩვენი დახმარება მართლა სჭირდება“.

- უნდა ვნახოთ, ვინ არის, უნდა დავეხმაროთ! - ვუთხარი იუმ-იუმს.

- მე წამოგყვები, - მიპასუხა მან.

- მირამის, შენ აქ დარჩი, - მირამისს ჩიჩვირზე მივეფერე.

შეშინებულმა ცხენმა დაიჭიხვინა.

- ნუ გეშინია, მალე მოვალთ! - დავამშვიდე მირამისი.

- ვაი... ვაი... ვაი!.. - ისევ მოგვესმა კვნესა, - შიმშილით ვკვდები. ვაი... ვაი... ვაი!..

ხმა არც ისე შორიდან ისმოდა, მაგრამ სიბნელეში მისი მოძებნა მაინც ძნელი იყო. თუმცა, ჩვენ სწორედ იმ მიმართულებით წავედით, საიდანაც ხმა გვესმოდა. ხელის ცეცებით, ბორძიკით მივდიოდით, ხშირად ვეცემოდით კიდევაც. ბოლოს, ერთ ძველისძველ, მთლად დაფხავებულ ქოხს წავანყდით, რომელიც, კლდეზე რომ არ ყოფილიყო მიბტენილი, ნამდვილად ჩამოიშლებოდა. ფანჯრიდან სუსტი შუქი გამოდიოდა. ახლოს მივედით და შევიხედეთ. ქოხში ერთი მიხრწნილი ბერიკაცი იჯდა. პატარა, ჩამომხმარი, საცოდავი, მოკუზული მოხუცი კაცი. ჭალარა აჩეჩილი თმა ჰქონდა. ღუმელში ცეცხლი იღვენტებოდა. კაცი ღუმლის წინ იჯდა, წინ და უკან ირწეოდა და მოთქვამდა:

- ვაი... ვაი... ვაი!.. შიმშილით ვკვდები!

ჩვენ სახლში შევედით. მოხუცი მაშინვე დადუმდა და დაჭყეტილი თვალებით შემოგვაცქერდა. ჩვენ კართან ვიდექით, ის კი ისე დაჭყეტილი მოგვშტერებოდა, თითქოს ჩვენნაირი ჯერ არავინ ენახა. შემდეგ, თითქოს რალაცის შეეშინდაო, გამხდარი, გამოფიტული ხელები სახეზე აიფარა.

- ნურაფერს დამიშავებთ! ნურაფერს დამიშავებთ! - ჩურჩულით გვთხოვდა მოხუცი.

- აზრდაც არ მოგვსვლია, რამე დაგიშავოთ! ჩვენ გავიგეთ, რომ მშიერი ხართ და პურის მოსაცემად მოვედით, - დავამშვიდე მე.

მქსოველის მოცემული პური ამოვიღე და მოხუცს მოვუტეხე.

მოხუცი ისევ თვალვებგაფართოებული მომმტერებოდა. მე პური უფრო ახლოს მივეუტანე, მაგრამ ის შეშინებული მიყურებდა, თითქოს არ მენდობოდა.

- ნუ გეშინია, აიღე! - ვუთხარი მე.

მან პური ფრთხილად გამომართვა. მერე ორივე ხელი მოჰკიდა, ხელის-გულები მოუჭირა, ცხვირთან მიიტანა, დაყნოსა და ტირილი აუტყდა.

- პური, პური ჩვენი არსობისა! - ჩურჩულით თქვა და ჭამა დაიწყო.

არასოდეს მენახა, ადამიანს ასე ხარბად ეჭამოს! ჭამდა, ჭამდა და ჭამდა, თან მწარედ ტიროდა. ჭამას რომ მორჩა, მუხლებიდან ნამცეცები აკრიფა. ნამცეცებს მანამ კრეფდა, სანამ ბოლო ნამცეციც არ იპოვა. მერე კვლავ შემოგვაშტერდა:

- საიდან ხართ? ასეთი პური საიდან გაქვთ? ჩემი მშვიერი დღეების ხართ - მითხარით, ვინ ხართ?

- ჩვენ შორეული ქვეყნიდან ვართ. იქ არის ასეთი პური, - ვუთხარი მე.

- აქ რისთვის მოხვედით? - გვკითხა მოხუცმა.

- მხედარ კიტოსთან საბრძოლველად, - მივეუბნე მე.

ეს ვთქვი თუ არა, კაცმა დაიყვირა და სკამიდან გადმოვარდა, ძირს პატარა ნაცრისფერი გორგალივით გაგორდა და ჩვენთან მოხობდა.

- წადით აქედან! საიდანაც მოხვედით, იქ დაბრუნდით! სანამ გვიან არ არის, წადით აქედან! - მოხუცი პატარა, შეშინებული, მოჭუტული თვალებით შემოგვეცქეროდა და ჩურჩულით გვეხვეწებოდა.

- არსადაც არ წავალ! მე მხედარ კიტოსთან საბრძოლველად მოვედი! - ვუპასუხე მე.

რაც შეიძლებოდა, ხმამაღლა და გარკვევით წარმოვთქვი მხედარ კიტოს სახელი. შიშისგან ენაჩაფარდნილი მოხუცი ისე მიყურებდა, თითქოს სადაცაა, მის წინ მკვდარი დავეცემოდი.

- ჩშშ! ჩუმად! შეიძლება ჯაშუშებმა გაიგონონ შენი ნათქვამი! შეიძლება ახლა ყურსაც კი გვიგდებენ! - შიშისგან ერთიანად გაფითრებული მოხუცი კართან მილასლასდა და შეშინებულმა მიაყურა. ბოლოს თქვა: - კაციშვილის ხმა არ ისმის, მაგრამ შეიძლება აქ იყვნენ! შეიძლება აქაც იყვნენ და იქაც! ყველგან! ჯაშუშები ყველგან არიან!

- მხედარ კიტოს ჯაშუშები? - ვკითხე მე.

- ჩუმად, ყმანვილო! ეტყობა, სიცოცხლე მოგებზრებია! - ჩურჩულით გამინყრა მოხუცი. მერე სკამზე დაჯდა, თავი გადააქნია და ძლივსგასაგონად თქვა:

- მისი ჯაშუშები ყველგან არიან! ჰო, ჰო! ყოველთვის და ყველგან! - ხელზე ხელი მომკიდა და ისევ აჩურჩულდა: - ჩემი მშვიერი დღეების ხათრით, არავის ენდო. შეიძლება ვიღაცის სახლში შეხვიდე, გეგონოს, მეგობრებში ვარო, მაგრამ იცოდე, რომ მტრებთან იქნები. ისინი შენ გილალატებენ, ვერაგულად გაცემენ, ტბის მეორე მხარეს მცხოვრებ ავაზაკს მიაართმევენ შენს თავს. არავის ენდო, გეუბნები! არც მე მენდო! საიდან იცი, რომ წახვალ თუ არა, ჯაშუშებს არ დაგადევნებ?

- არა მგონია, ასე მოიქცე, - ვთქვი მე.

- არავის შეუძლია იყოს დარწმუნებული, - ჩაიჩურჩულა მოხუცმა, - შეუძლებელია, დარწმუნებული იყო.

ცოტა ხანს მდუმარედ იჯდა და ფიქრობდა. მერე თქვა:

- არა, მე ჯაშუშებს არ დაგადევნებ. ჯერ კიდევ არსებობს ხალხი, ვინც მოლალატე არ არის. კიდევ, არსებობს ხალხი, ვინც იარაღს ჭედავს.

- ჩვენ იარაღი გვჭირდება, მიოს ხმალი უნდა ჰქონდეს, - უთხრა იუმ-იუმმა.

მოხუცმა არ გვიპასუხა. ფანჯარასთან მივიდა და გამოალო. ტბიდან ჩიტების ნალვლიანი ხმა ისმოდა.

- უსმინე, - მითხრა მოხუცმა, - გესმის, როგორ დასტირიან თავიანთ ბედს? შენც გინდა, ჩიტად იქცე, რომ ტბის თავზე მოთქმითა და გოდებით იფრინო?!

- რა ჩიტები არიან? - დავინტერესდი მე.

- მოჯადოებული ჩიტები. შენ იცი, ვინც მოაჯადოვა, ვინც მოიტაცა; უკვე ისიც იცი, თუ რა ელის მას, ვინც ყაჩაღთან ბრძოლას გადანყვეტს.

მისმა ნათქვამმა ძალიან დამასევდიანა. ეს ჩიტები იყვნენ ნონოს ძმები, ირის და, მქსოველის ქალიშვილი და ყველა, ვინც მხედარმა კიტომ მოიტაცა და მოაჯადოვა,

- ოჰ, უსათუოდ უნდა შევებრძოლო! ვალდებული ვარ, შევებრძოლო! - წამოვიძახე მე.

- მიოს ხმალი სჭირდება. უხმლოდ ვერ იბრძოლებს, - გაიმეორა იუმ-იუმმა.

- შენ ამბობდი, ვიღაც არსებობს, ვინც ხმლებს ჭედავსო, - შევახსენე მოხუცს.

თითქოს გაბრაზებულმა შემომხედა.

- შენ, ახალგაზრდავ, ეტყობა, სიცოცხლეს სულ არ უფრთხილდები!

- ხმლების მჭედავები სად არიან? - ვკითხე ჯიუტად.

- გაჩუმდი! გაჩუმდი, თორემ ჯაშუშები გაიგონებენ! - მოხუცმა ფანჯარა სწრაფად დახურა, კართან ფეხაკრეფით მივიდა, კლიტის ჭუჭრუტანას ყური მიადო და სმენად იქცა.

- ჩამიჩუმი არ ისმის, მაგრამ მაინც შეიძლება, რომ აქ იყვნენ. ისინი ყველგან არიან.

მერე ჩემკენ დაიხარა და ყურში ჩამჩურჩულა:

- შენ ხმლების მჭედავთან წახვალ და ენოსგან მოკითხვას გადასცემ. ეტყვი, რომ გჭირდება ხმალი, რომელიც ქვას აპობს. ეტყვი, რომ შორეული ქვეყნიდან მოსული რაინდი ხარ.

დიდხანს მიყურებდა. ბოლოს მკითხა:

- შენ ხომ ნამდვილად ის ხარ? ასე არ არის?

- დიახ, - ჩემ მაგივრად უპასუხა იუმ-იუმმა, - ეს არის რაინდი და უფლისწული. შორეული ქვეყნის უფლისწული მით, და მას ხმალი უნდა ჰქონდეს!

- სად ვიპოვო ხმლის მჭედავი? - ვკითხე მე.

- ყველაზე შავი მთის ყველაზე ღრმა გამოქვაბულში, - მიმასწავლა მოხუცმა, - მკვდარი ტყის გავლით წადი! ახლავე წადი!

ის ფანჯარასთან მივიდა, გაალო და ტბიდან ისევ შემომესმა ჩიტების ჭყვილი.

მოხუცი ისევ ალაპარაკდა:

- უფლისწულო მით, ახლა კი წადი! წარმატებას გისურვებ! ვაიმე, ნუთუ ხვალ ღამით გავიგონებ, როგორ დაფრინავს ახალი ჩიტი ტბის თავზე და თავის ბედს დასტირის?!

მკვლარ ტყეში

როგორც კი ენოს ქოხის კარი მიიხურა, მირამისის ჭიხვინი შემომესმა. სა-
სონარკვეთილი ჭიხვინებდა, თითქოს მიხმოებდა, მისი, მოდი და მიშველეო!

შიშისგან კინალამ გული გამიჩერდა.

- იუმ-იუმ, მირამისის რას უშვრებიან? - ვიყვირე მე, - გესმის? მირამისის რას
უშვრებიან?!

- ჩუმაღ! დაიჭირეს... ჯაშუშებმა დაიჭირეს მირამისი! - ჩურჩულით თქვა
იუმ-იუმმა.

- მირამისი ჯაშუშებმა დაიჭირეს? - ვიყვირე. სულაც არ მენალვლებოდა,
ჩემს ხმას გაიგონებდა ვინმე თუ არა,

- ჩუმაღ, თორემ ჩვენც დაგვიჭერენ! - წამჩურჩულა იუმ-იუმმა.

მაგრამ მას აღარ ვუსმენდი. მირამისი, ჩემი ცხენი! ჩემს საყვარელ ცხენს
მართმევდნენ! მსოფლიოში უერთგულეს და ულამაზეს ცხენს!


ჭიხვინი ისევ შემომესმა და მომეჩვენა, თითქოს ყვიროდა, მისი, ნუთუ არ
შეგიძლია დამეხმაროო?!

- წამოდი, ვნახოთ, რას უზამენ! - მითხრა იუმ-იუმმა.

უკუნ სიბნელებში კლდეზე ავძვერით. მივცოცავდით და მივძვრებოდით.
კლდის ბასრ კიდეებზე თითები დავისისხლიანე, მაგრამ ვერაფერს
ვგრძნობდი. მირამისის გამო სასონარკვეთილი ვიყავი.

მირამისი კლდის თავზე იდგა და სიბნელებში თეთრად ანათებდა. ჩემი მი-
რამისი, მსოფლიოში ყველაზე თეთრი და ლამაზი ცხენი.

მირამისი გაშმაგებული ჭიხვინებდა, ყალყზე დგებოდა და თავის დაღწე-
ვას ცდილობდა. მას ხუთი შავი ჯაშუში შემოხვეოდა. მათგან ორი აღვირზე
ეკიდებოდა. საწყალ მირამისს ეშინოდა და ეს სულაც არ იყო გასაკვირი: შა-
ვი ჯაშუშები შემზარავები იყვნენ და საზარელი, ჩახრინწული ხმით ლაპარა-
კობდნენ. მე და იუმ-იუმმა გავბედეთ, რაც შეგვეძლო, ახლოს მივცოცდით
და ჯაშუშების ლაპარაკის მისაყურადებლად კლდის უკან დავხვეით.



- ჯობია, მკვდარ ტბაზე შავი ნავით გადავიყვანოთ, - თქვა ერთმა ჯაშუშმა.
- ჰო, მკვდარი ტბით პირდაპირ მხედარ კიტოსთან მივიყვანოთ, - თქვა მეორემ.

კინალამ ვიღრიალე, ჩემი ცხენისთვის თავი დაენებებინათ, მაგრამ თავი შევიკავე: ჯაშუშებს რომ დავეჭირო, მხედარ კიტოს ვინლა შეებრძოლებოდა?

ვეფარებოდი კლდეს და ყველაფერს ვნანობდი, რაც ჩავიდინე: მაინცდა-
მაინც მე რატომ უნდა მებრძოლა მხედარ კიტოსთან? რატომ შინ არ დავ-
რჩი, მამა-მეფესთან, სადაც ჩემს ცხენს ვერავინ წამართმევდა?! მესმოდა
ტბაზე მოჭადლოებული ჩიტების ჭყვილი, მაგრამ მათთან რა მესაქმებოდა -
თუნდაც სამუდამოდ აქ დარჩენილან მოჭადლოებულნი! ნეტავ ჩემი ოქროს-
ფაფრიანი მირამისის გადარჩენა შემეძლოს!

- ვილაცამ ამ თეთრი ცხენით საზღვარი გადმოლახა, - თქვა ერთმა ჯაშუშ-
მა, - ჩვენ შორის მტერია!

- კარგია, თუ მტერი ჩვენ შორის არის. უფრო ადვილად დავიჭერთ. მხე-
დარი კიტოც ადვილად გასრესს და გაანადგურებს! - თქვა მეორემ.

ეს რომ გავიგე, შიშისგან ავცახცახდი. მე ვიყავი ის „მტერი“, რომელმაც
საზღვარი გადმოლახა. მე ვიყავი ის, ვინც მხედარ კიტოს უნდა გაესრისა და
გაენადგურებინა. ოჰ, როგორ ვნანობდი აქ ჩამოსვლას! შინ მინდოდა, მამა-
ჩემთან. მაინტერესებდა, ვენატრებოდი თუ არა და ჩემ გამო ნერვიულობდა
თუ არა. ვნატრობდი, რომ აქ ყოფილიყო და დამხმარებოდა. ვნატრობდი
მასთან დალაპარაკებას. ასე ვეტყვოდი:

- ვიცი, გინდა, რომ მხედარ კიტოს შევებრძოლო. მაგრამ გევედრები, გა-
მოიჩინე გულისხმიერება და ამისგან გამათავისუფლე! მირამისის დაბრუნე-
ბაში დამეხმარე და ნება მოგვეცი, რომ აქედან წავიდეთ. შენ იცი, რომ აქამ-
დე საკუთარი ცხენი არასოდეს მყოლია და მირამისი ძალიან მიყვარს. შენ
ისიც იცი, რომ მამა არასოდეს მყოლია. თუ მხედარი კიტო დამიჭერს, შენ-
თან ველარასოდეს ვიქნები. მომეხმარე, რომ აქედან წავიდე! აქ ყოფნა
აღარ მინდა. შენთან მინდა. შინ, მწვანე მდელოების კუნძულზე, მინდა დაბ-
რუნება, მირამისთან ერთად.

სანამ კლდის უკან ვიწეი და ამაზე ვფიქრობდი, მომეჩვენა, რომ მამა-მე-
ფის ხმა გავიგონე:

- მიო, ჩემო მიო!

მეტი არაფერი. მაგრამ მივხვდი, რომ მირამისი კიდევ რომ წაერთმიათ,
მას სურდა, მამაცი ვყოფილიყავი, არ ვწოლილიყავი აქ, ბავშვით არ მეტი-
რა და არ მეყმუვლა. მე ხომ რაინდი ვიყავი! მე ის მიო აღარ ვიყავი, რომე-
ლიც ვარდნარში ქოხებს აშენებდა, მწვანე მდელოების კუნძულზე დასეირ-
ნობდა და სალაპურს უკრავდა. მე რაინდი ვიყავი, კეთილი რაინდი, კიტოს-
ნაირი კი არა! რაინდი კი მამაცი უნდა იყოს! რაინდს ტირილის უფლება არა
აქვს!

ამიტომ აღარ ვტიროდი, თუმცა ვხედავდი, ჯაშუშებს ტბისკენ როგორ მიჰყავდათ მირამისი; როგორ აიყვანეს დიდ შავ ნავზე. არ ვტიროდი, როდესაც მირამისი ისე ჭიხვინებდა, თითქოს მათრახს ურტყამდნენ. არ ვტიროდი, როდესაც ჯაშუშებმა ნიჩბებს მოჰკიდეს ხელი და შავი წყლის დგაფუნის ხმა შემომესმა. ეს ხმა სულ უფრო სუსტად ისმოდა და სანამ ნავი გაუჩინარდებოდა, ტბიდან უკანასკნელად შემომესმა სასონარკვეთილი ჭიხვინი. მაგრამ მე არ ვტიროდი.

მე ხომ რაინდი ვიყავი.

ნუთუ მართლა არ ვტიროდი?! სიმართლე რომ ვთქვა, ვტიროდი, თანაც - როგორ! კლდის უკან ვიყავი დამალული, შუბლი კლდეზე მქონდა მიბჯენილი და ისე ვტიროდი, როგორც არასოდეს არ მიტირია. კარგმა რაინდმა სიმართლეც უნდა თქვას, და ეს სიმართლეა - მე ვტიროდი. მირამისის გამო. ვტიროდი და ვტიროდი და როდესაც მის ერთგულ თვალებზე ვფიქრობდი, კიდევ უფრო მეტირებოდა. მქსოველმა ხომ თქვა, მოტაცებული კვიცის გამო ასი თეთრი ცხენი სისხლის ცრემლებით ტირისო. შეიძლება ჩემი ცრემლებიც სისხლისა იყო, ვინ იცის? ისეთი უკუნი სიბნელე იდგა, რომ ვერაფერს ვაარჩევდი. ჩემი ოქროსფაფრიანი მირამისი! ის წაიყვანეს და ალბათ ველარასოდეს ვნახავდი.

იუმ-იუმი ჩემკენ დაიხარა, მხარზე ხელი დამადო და მითხრა:

- მით, ნულარ ტირი. ხმლის მჭედავთან უნდა წავიდეთ, ხმალი გჭირდება.

ცრემლები ყელში მომებჯინა, მაგრამ თავს მოვერიე და იუმ-იუმს ვუპასუხე:

- ჰო, სანამ ღამეა, ხმლის მჭედავი უნდა ვიპოვოთ. ჯაშუშებისგან სიბნელე დაგვიცავს.

ჩვენ ხმლის მჭედავის საძებნელად წავედით. ენოს თქმით, მკვდარი ტყე უნდა გავვევლო, მაგრამ ჯერ ეს ტყე უნდა გვეპოვა. მივდიოდით, კლდის შვერილებს ვებლაუჭებოდით და ასე მივალწიეთ ენოს ქოხამდე. ქოხი დადუმებულ-ჩაბნელებული იდგა. შიგნით აღარავინ კვნესოდა. ჩვენ გზა განვაგრძეთ და ბოლოს მკვდარ ტყესთან მივედით. ტყე ნამდვილად მკვდარი იყო: არც ქარი ქროდა და არც ფოთოლები შრიალებდა. თუმცა, ფოთოლები არც არსებობდა. ვერც ერთ ფოთოლს ვერ ნახავდით - მხოლოდ მკვდარი, შავ-ტოტებიანი, შავტანიანი ხეები იდგა.

- ესეც ასე, მკვდარ ტყეში შევედით, - თქვა იუმ-იუმმა, როდესაც ხეებს შორის შევაბიჯეთ.

- შესვლით კი შევედით, მაგრამ, მე მგონი, აქედან ველარასოდეს გავალთ, - ამოვიოხრე მე.

ამ ტყეში მართლა თავისუფლად შეიძლებოდა დაკარგვა; ასეთი ტყე მხოლოდ სიზმარში შეიძლება იხილო: მიდიხარ, მიდიხარ და ტყეს ბოლო არ უჩანს.

მე და იუმ-იუმი მკვდარ ტყეში ხელიხელჩაკიდებულები დავდიოდით და ისეთი შეგრძნება გვქონდა, თითქოს გზააბნეული პატარა ბავშვები ვიყავით. ტყე კი მკვდარი იყო, დაბურული და გაუვალი.

- ეჰ, ეს ტყე ამისთანა დაბურული რომ არ იყოს, სიბნელე - ასეთი უკუნი, ჩვენ კი - ასეთი პატარები და უმწეოები! - დანანებით თქვა იუმ-იუმმა.

შეუჩრებლად მივდიოდით და მივდიოდით. შორიდან ზოგჯერ ხმები გვესმოდა - ჯაშუშების ხმები. სიმართლე გვითხრა ენომ: მხედარ კიტოს ჯაშუშები მართლაც ყველგან იყვნენ. მკვდარი ტყე ნამდვილად საფეხი იყო ჯაშუშებით. მათ ხმებს რომ გავიგონებდით, მე და იუმ-იუმი სუნთქვაშეკრულები ვინაბებოდით.

მივდიოდით და მივდიოდით.

- ეს მკვდარი ტყე კარგა გრძელი ყოფილა, მაგრამ, მე მგონი, ხმლის მჭედავის გამოქვაბულამდე კიდევ უფრო გრძელი გზაა, - თქვა იუმ-იუმმა.

- იუმ-იუმ, როგორ გგონია, ვიპოვით? - წამოვიწყე მე, მაგრამ წამსვე დავდუმდი. სიტყვები ყელში გამეჩხირა, რადგან ხეებს შორის ჯაშუშების მთელი მწკრივი გამოჩნდა. ჯაშუშები ჩვენკენ მოინვედნენ. ზუსტად ჩვენკენ მოდიოდნენ და ვიცოდი, რომ მალე ყველაფერი დამთავრდებოდა.

ისინი იუმ-იუმმაც დაინახა და ხელზე ხელი მომიჭირა. ჯაშუშები ჯერ ვერ გვხედავდნენ, მაგრამ მალე შეგვამჩნევდნენ და ყველაფერი დამთავრდებოდა: მხედარ კიტოს ველარასოდეს შევებრძოლებოდი. ხვალ ღამით კი ენო ორი ახალი ჩიტის ტირილს გაიგონებდა.

ჯაშუშები სულ უფრო და უფრო გვიახლოვდებოდნენ, ჩვენ კი ადგილიდან ვერ ვიძვროდით. უცბად ძალიან უცნაური რამ მოხდა: ჩვენ ახლოს, საუკუნოვანი შავი ხის ტანზე, ფულურო გაჩნდა. სანამ გონზე მოვიდოდი, მე და იუმ-იუმი უკვე შიგ ვისხედით და ქორისგან შეშინებული ბარტყებივით ვკანკალებდით. ჯაშუშები ძალიან ახლოს იყვნენ და ყველაფერი გვესმოდა, რასაც ლაპარაკობდნენ.



- გესმოდათ, მკვდარ ტყეში ვილაცა ლაპარაკობდა, - ამბობდა ერთ-ერთი მათგანი, - მკვდარ ტყეში ვინ უნდა ლაპარაკობდეს?

- ჩვენ შორის მტერია, მკვდარ ტყეში მხოლოდ მტერი შეიძლება ლაპარაკობდეს, - ამბობდა მეორე.

- თუ მკვდარ ტყეში მტერია, მალე დავიჭერთ! ეძებთ, ყველგან ეძებთ! - ამბობდა მესამე.

გვესმოდა, როგორ დაძვრებოდნენ ხეებს შორის და გვეძებდნენ. გვესმოდა, როგორ ფეხაკრეფით დადიოდნენ. ჩვენ გასუსულები ვიჭყიტებოდით ფულუროდან და ვგრძნობდით, რა პატარები და უსუსურები ვიყავით.

ჯაშუშები დიდხანს გვეძებდნენ, თუმცა ვერ გვიპოვეს. მათი ხმები უფრო და უფრო გვეშორდებოდა. ბოლოს მკვდარ ტყეში სიჩუმემ დაისადგურა.

ხემ გადაგვარჩინა.

რატომ გადაგვარჩინა ხემ, ვერ გამეგო. იქნებ მხედარი კიტო მთელ მკვდარ ტყეს ეზიზღებოდა? იქნებ ეს მკვდარი ხე ოდესღაც ჯანმრთელი, მწვანეფოთლებიანი ხე იყო და შრიალებდა, როდესაც მის ტოტებში ქარი თამაშობდა? შეიძლება, მხედარ კიტოს ბოროტებამ მოკლა ის და ხასხასა ფოთლები გაუნადგურა? ხემ კი არ აპატიო მას, ვინც მისი პატარა, მწვანე ფოთლები დახოცა და ამიტომაც დაეხმარა მას, ვინც მხედარ კიტოსთან საბრძოლველად იყო მოსული.

- გამაღობ, კარგო ხეო, - ვთქვი, როდესაც ფულუროდან გამოვძვერით.

მაგრამ ხემ არ მიპასუხა, მკვდარი და მუნჯი იდგა.

ჩვენ ისევ მივდიოდით მკვდარ ტყეში.

- სადაცაა, ირიჟრაჟებს, ჩვენ კი ხმლის მჭედავის გამოქვაბული ჯერაც ვერ გვიპოვია, - წუხდა იუმ-იუმი.

ღიახ, ღამე იწურებოდა, მაგრამ ალიონი არ იყო ისეთი მშვიდი და ნათელი, როგორიც ჩვენთანაა. ნაცრისფრად თენდებოდა, უჩვეულო ნახევრად სიბნელე იყო. მე გამახსენდა, როგორ თენდებოდა მწვანე მდელოების კუნძულზე; როგორ მივაჭენებდით მირამისს დილაადრიან და როგორ ბრწყინავდა მზეზე ცვრით დანამული ბალახის თითოეული ღერო. მივდიოდი, მირამისზე ვფიქრობდი და კინალამ დამავინწყდა, სად ვიყავი. ამიტომ სულ არ გამიკვირდა და არც შემეშინდა ფლოქვების თქარათქურის გაგონებისას. „ეს მირამისია“, - გავიფიქრე მე. უცებ იუმ-იუმმა ხელზე ხელი მტაცა და ჩამჩურჩულა:

- გესმის? მკვდარ ტყეში ჯაშუშები დაჭირითობენ!

მე მაშინვე მივხვდი, რომ მალე ყველაფერი დამთავრდებოდა. ახლა ველარაფერი გადაგვარჩენდა: შავი ჯაშუშები დაგვინახავდნენ, თავზე ქარიშხალივით დაგვაცხრებოდნენ, დაიხრებოდნენ, ხელს გვტაცებდნენ, ცხენების უნაგირებზე გადაგვკიდებდნენ და მხედარ კიტოს სასახლისკენ გაგვაქროლებდნენ. მხედარ კიტოს ველარასოდეს შევებრძოლებოდი, ხვალ ღამით კი ენო ორი ახალი ჩიტის მოთქმას გაიგონებდა.

ყველაფერი დამთავრდა. ეს ვიცოდი. ფლოქვების ხმა უფრო და უფრო გვიახლოვდებოდა და უცბად უცნაური რამ მოხდა: ჩვენ წინ ქვა-ლორლიანი მინა გაიპო და ორმო დავინახე. სანამ გონზე მოვიდოდი, მე და იუმ-იუმი უკვე რალაც გამოქვაბულში ვისხედით მოკუნტულები და ისე გვეშინოდა, როგორც ბაჭიებს - მელიისა.

მალე სულ ახლოს გაისმა ფლოქვების თქარათქური. გარკვევით გავიგონეთ, ჯაშუშებმა ჩვენს თავზე როგორ გადაიქროლეს. ზუსტად ორმოს თავზე მიაჭენებდნენ. გვესმოდა ცხენების ფლოქვების ცემა. ორმოს თავზე ფლოქვთა ცემისაგან გამოქვაბულში ქვიშა ჩამოიშალა.



ვისხედით მოკუნტულები და განაბულები და ვგრძნობდით, რა პატარები და უსუსურები ვიყავით.

ბოლოს ტყეში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, გეგონებოდათ, მკვდარ ტყეში ჯაშუშები არცა ყოფილანო. დიდხანს ვიცადეთ.

- მგონი, უკვე შეიძლება გარეთ გაძრომა, - ვთქვი მე.

მაგრამ იმწამსვე ფლოქვების თქარათქურის ხმა შემოგვესმა. ჯაშუშები ბრუნდებოდნენ. ცხენებმა კიდევ ერთხელ გადაგვიქროლეს თავზე და ჯაშუშების ყვირილი და ლანძღვა-ვინება გავიგონეთ. ვინრო ნაპრაალიდან ვხედავდით, როგორ ჩამოქვეითდნენ და ჩვენს სამალავთან ახლოს დასხდნენ. ისე ახლოს იყვნენ, რომ ხელის შეხებაც კი შეგვეძლო. მათი ნათქვამი ყოველი სიტყვა გვესმოდა.

- მტერი უნდა დავიჭიროთ, მხედარ კიტოს ბრძანებაა, - თქვა ერთმა მათგანმა, - მტერი, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში თეთრი ცხენი შემოაჭენა, ამაღამ უნდა დავიჭიროთ.

- მტერი ჩვენ შორის არის! მას აუცილებლად დავიჭერთ! ყველგან მოძებნეთ! - ბრძანა მეორემ.

ჩვენთან ახლოს ისხდნენ შავი, მახინჯი ჯაშუშები და ლაპარაკობდნენ იმაზე, როგორ უნდა დავეჭიროთ. მკვდარი ტყის თავზე ნაცრისფრად თენდებოდა. ჯაშუშების შავი ცხენები გაცოფებულები ხრავდნენ ლაგამს და მიწას მძიმედ ურტყამდნენ ფლოქვებს.

- ეძებეთ, ყველგან ეძებეთ! - თქვა ერთმა ჯაშუშმა, - ვა, ეს რა სოროა?

- გამოქვაბულია. იქნებ იქ ზის მტერი? ეძებეთ, ყველგან ეძებეთ! - თქვა მეორემ.

მე და იუმ-იუმი ერთმანეთს მივეკარით. ახლა კი ყველაფერი დამთავრდა. ეს ვიცოდი.

- ჩემი შუბით მოვსინჯავ, - თქვა ერთმა ჯაშუშმა, - თუ მტერი შიგ არის, შუბზე წამოვაგებ.

ჩვენ დავინახეთ, ღიობში როგორ შემოინია შავი შუბი, შეძლებისდაგვარად ღრმად შევძვერთ, მაგრამ შუბი გრძელი იყო, ბასრი წვერი კი უფრო და უფრო გვიახლოვდებოდა. თუმცა, ჩვენ არ შეგვეხო - ჩვენს თავზემით, გამოქვაბულის ჭერს ეტაკა, მაგრამ ჩვენ არ შეგვხებია.

- ეძებეთ! მთელ მკვდარ ტყეში ეძებეთ! - ამბობდნენ ჯაშუშები, - მტერი უნდა დავიჭიროთ, მხედარ კიტოს ბრძანებაა! ყველგან მოძებნეთ!

ჯაშუშები ცხენებს მოახტნენ და გააჭენეს.

გადავრჩით. გამოქვაბულმა გადაგვარჩინა. ჩემს თავს ვეკითხებოდი, რატომ? იქნებ მხედარი კიტო მინასაც ეჯავრებოდა და სიამოვნებით დაეხმარა მას, ვინც მასთან საბრძოლველად იყო მოსული? შეიძლება ამ უნაყოფო მიწაზე უნინ ხასხასა მწვანე ბალახი იზრდებოდა, რომელიც გამთენიისას ცვრით ინამებოდა. იქნებ ბალახი მხედარ კიტოს ბოროტებამ გაანადგურა და მოკლა? ამიტომ მიწამ არ აპატია მას, ვინც მწვანე ბალახი, რომელიც ოდესღაც აქ იზრდებოდა, მოკლა, და დაიცვა ის, ვინც მხედარ კიტოსთან საბრძოლველად იყო მოსული.

- გმადლობ, კეთილო მიწავ! - ვთქვი წასვლისას.

მაგრამ მიწამ არაფერი მიპასუხა. ის ისევ უტყვად განოლილიყო ჩვენ ფეხქვეშ. გამოქვაბულში ჩასასვლელი კი გაქრა.

ჩვენ მივდიოდით და მივდიოდით. ბოლოს მკვდარი ტყის პირას გავედით. ჩვენ წინ ისევ მთები და კლდეები აღიმართა. სასონარკვეთილებაში ჩავვარდით: ისევ მკვდარი ტბის გარშემო აღმართულ კლდეებთან ამოვყავით თავი. ყველაფერმა ფუჭად ჩაიარა, ხმლების მჭედავს ვერასოდეს ვიპოვიდით. მთელ ღამეს მკვდარ ტყეში ვიარეთ და ზუსტად იმ ადგილზე დავბრუნდით, საიდანაც წავედით. აქ დაგვხვდა ენოს პატარა, ნაცრისფერი, დაფხავებული ქოხიც, რომელიც ნახშირივით შავ კლდეზე იყო მიყუდებული, რომ არ წაეცეულიყო.

- იქნებ სწორედ ეს მთა არის ამქვეყნად ყველაზე შავი მთა? - შესძახა იუმ-იუმმა.

ყველაზე შავი მთა - აქამდე როგორ ვერ მივხვდი! აქ ხომ ხმლის მჭედავის გამოქვაბული უნდა იყოს! „ყველაზე შავი მთის ყველაზე ღრმა გამოქვაბული“, - ასე თქვა ენომ.

- ჰო, იუმ-იუმ, აი, ნახავ... - დავიწყე მე, მაგრამ მაშინვე გაფრემდი. უკვე ვიცოდი, რომ ყველაფერი დამთავრდა, რადგან ახლა მკვდარი ტყიდან შავი ჯაშუშების ზვაგი მოქროდა. ზოგი ქვეითად მორბოდა, ზოგი კი ცხენს მოაჭენებდა. ყველანი პირდაპირ ჩვენკენ მოქროდნენ.

მათ დაგვინახეს და თავიანთი ამაზრზენი, ჩახრინწული ხმით ხმამაღლა აყვირდნენ:

- ჩვენ შორის მტერია! ის აქ არის! დაიჭირეთ! დაიჭირეთ! მტერი უნდა დაიჭიროთ, მხედარ კიტოს ბრძანებაა!

მე და იუმ-იუმი, ციცაბო კლდეზე ზურგით აკრულები, მოახლოებულ ჯაშუშებს უმწეოდ შევცქეროდით. დიახ, ყველაფერი დამთავრდა. მხედარ კიტოს

ველარასოდეს შევებრძოლები. ისეთ გუნებაზე დავდექი, მინდოდა ძირს დავ-
ცემულიყავი და მეტირა. ხვალ ენო გაიგონებს ახალი ჩიტის ხმას, რომელიც
ყველაზე ხმამალლა და ყველაზე ნაღვლიანად დაიტირებს თავის ბედს. ენო
კი ფანჯარასთან იდგება და ნაღვლიანად იტყვის:

- ტბის თავზე უფლისწული მით დაფრინავს.

ყველაზე ღრმა გამოქვაბული ყველაზე შავ მთაში

და უცბად უცნაური რამ მოხდა: ციცაბო კლდემ, რომელზეც ზურგით ვიყავით აკრულები, უკან დაინია, სანამ გონს მოვიდლოდი, მე და იუმ-იუმი მთის შიგნით აღმოვჩნდით და მგლის დანახვით შეშინებული ბატკნევივით ავცახცახდით, თუმცა, აღარაფერი გვემუქრებოდა, რადგან ჩვენ მთაში ვიყავით, ჭაშუშები კი გარეთ დარჩნენ. კლდის ღიობი დაიხურა. აქ ველარ მოგვწვდებოდნენ. გარეთ ჭაშუშები მძვინვარებდნენ და ჩვენ ყველაფერი გვესმოდა.

- ეძებეთ, ყველგან ეძებეთ! - ღრიალებდნენ ისინი, - მტერი ჩვენ შორის იყო, მაგრამ ხელიდან დაგვისხლტა. ყველგან მოძებნეთ!

- ჰო, გვეძებეთ, გვეძებეთ! აქ ვერასოდეს გვიპოვით! - ვთქვი მე.

უნდა გენახათ, როგორ გახარებულები ვიყავით მე და იუმ-იუმი! ვხარხარებდით. თუმცა, დიდხანს არ მიცინია, რადგან მირამისი გამახსენდა და ისევ დაგნალვლიანდი.

ცოტათი რომ დავეშვიდდით, მე და იუმ-იუმმა მიმოვიხედეთ და აღმოვაჩინეთ, რომ დიდ და ბნელ გამოქვაბულში ვიყავით, თუმცა უკუნი სიბნელე არ იყო, უფრო ბინდუნდი ეთქმოდა. საიდანღაც სუსტი შუქი ანათებდა. გამოქვაბულიდან მთის სიღრმეში ბევრი ბნელი გვირაბი შედიოდა.

ენომ თქვა, ყველაზე შავი მთის ყველაზე ღრმა გამოქვაბულში ხმლის მჭედავი ცხოვრობსო. შეიძლება რომელიმე გვირაბს მასთან მივეყვანეთ, მაგრამ რომელს? ჩვენ არ ვიცოდით. ალბათ დიდხანს მოგვინევდა ძებნა, სანამ ვიპოვდით.

- რაც უნდა იყოს, შავ მთაში მაინც შემოვედით, - თქვა იუმ-იუმმა.

- შემოსვლით კი შემოვედით, მაგრამ არა მგონია, აქედან გავიდეთ, - ამოვიოხრე მე.

ამ მიწისქვეშეთში ადვილად შეიძლება დაიკარგო. ასეთი მთა მხოლოდ სიზმარში შეიძლება ნახო. მიდიხარ, მიდიხარ უცნაურ ბნელ გვირაბებში და ამ გვირაბებს ბოლო არ უჩანს.

მე და იუმ-იუმმა ერთმანეთს ხელი ჩავჭიდეთ და მთაში უფრო ღრმად შევედით. თავს ისე ვგრძნობდით, როგორც პატარა და გზაბნეული ბავშვები. ყველაზე ღრმა გამოქვაბულამდე კი ნამდვილად ძალიან გრძელი გზა იყო გასავლელი.

- ეჰ, მთა ასეთი სასტიკი რომ არ იყოს, გვირაბები - ასეთი ბნელი, ჩვენ კი - ასეთი პატარები და უმწეოები!.. - დანანებით თქვა იუმ-იუმმა.

მივდიოდით და მივდიოდით. გვირაბები იყოფოდა, ყველა მიმართულე-ბით იტოტებოდა. ზოგან წინ რაღაცას გაარჩევდი - გზას შორიდან მომავა-ლი მკრთალი შუქი ანათებდა, ზოგან კი უკუნი სიბნელე იდგა. გვირაბი ზო-გან ისეთი დაბალი იყო, წელში მოხრილები მივდიოდით, ზოგან კი ეკლესი-ის თალივით მალლდებოდა. კედლები ნესტიანი იყო, ციოდა და, რომ არ გაფყინულიყავით, მოსასხამებში კარგად შევიფუთნეთ.

- ხმლების მჭედავს ვერასოდეს მივაგნებთ და გარეთაც ვერ გავალწევთ, - თქვა იუმ-იუმმა.

ამასობაში ძალიან მოგვშივდა და ცოტა არსობის პური შევჭამეთ. ძალიან ცოტა პური შევჭამეთ: ჩვენ ხომ არ ვიცოდით, რამდენ ხანს უნდა გვყოფნო-და.

თან მივდიოდით და თან ვჭამდით. როდესაც უკანასკნელი ლუკმა ჩაე-ყლაპე, ზუსტად ისეთ ადგილას ვიყავით, სადაც გვირაბი სამ გზად იყოფოდა.

ციცაბო კლდის ფერდზე წყალი ჩამოდიოდა. მე ძალიან მწყუროდა. გავ-ჩერდი და წყალი დავლიე. უგემური წყალი იყო, მაგრამ სხვა წყალი არ გვქონდა. დავლიე და იუმ-იუმისკენ შევბრუნდი, მაგრამ იუმ-იუმი აღარსად იყო. იუმ-იუმი გაქრა. შეიძლება, ვერ შეამჩნია, წყლის დასალევად რომ გავ-ჩერდი, გზა განაგრძო და ფიქრობდა, რომ უკან მივყვებოდი.

თავდაპირველად არ შემშინებია. გზატვარედინზე ვიდექი და ვფიქრობდი, ნეტავ იუმ-იუმი რომელ გზას დაადგა-მეთქი. ასე სწრაფად შორს ვერ წავი-დოდა, მისთვის მხოლოდ უნდა დამეძახა.

- იუმ-იუმ, სადა ხარ? - რაც შემეძლო, ხმამაღლა დავიყვირე. მაგრამ ჩემი ძახილი უსიამოვნო ჩურჩულად დამიბრუნდა. კლდოვანმა კედლებმა ჩემი ყვირილი ჩაახშო და მოკუდულ ჩურჩულად აქცია. ჩურჩული ექოდ დატრი-აღდა.

„იუმ-იუმ, სადა ხარ?.. იუმ-იუმ, სადა ხარ?...“ - ჩურჩულებდნენ ბნელი გვი-რაბები.

ძალიან შემეშინდა. ვცადე, უფრო ხმამაღლა დამეყვირა, მაგრამ მთა მხოლოდ ჩურჩულით იმეორებდა ჩემს ყვირილს. მეჩვენებოდა, რომ ის ხმა, რომელიც მესმოდა, ჩემი კი არა, სხვა ვიღაცისა იყო. ეს ვიღაცა კი მთის სიღრმეში იჯდა და აბუჩად მიგდებდა.

- იუმ-იუმ, სადა ხარ?.. იუმ-იუმ, სადა ხარ?.. იუმ-იუმ, სადა ხარ? - ჩურჩულეობდა ექო.

უკ, რა მაგრად შემეშინდა!

ჯერ მარცხენა გვირაბში შევევარდი, რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ უკან, გზაჯვარედინზე დავბრუნდი, შემდეგ მარჯვენა გვირაბში შევირბინე, მაგრამ მაშინვე უკან გამოვბრუნდი და შუა გვირაბში შევევარდი.

- იუმ-იუმ, რომელი გზით წახვედი? - დაყვირებას ველარ ვბედავდი, რადგან ექოს ჩურჩული ყველაფერზე საშინელი იყო.

ვფიქრობდი, იუმ-იუმს უნდა ეგრძნო, რომ მის გარეშე ძალიან ცუდად ვიყავი, და უნდა დაბრუნებულიყო.

გზები კი იყოფოდა და იყოფოდა. ბნელი გვირაბები ყველა მიმართულე-ბით მიდიოდა. მე აქეთ-იქით დავბრბობდი და ვეძებდი და ვეძებდი. თავს ვაძა-ლებდი, რომ არ მეტერა, მე ხომ რაინდი ვიყავი. მაგრამ რა დროს რაინდო-ბა იყო! იუმ-იუმზე ვფიქრობდი, რომელიც ახლა სადღაც, ბნელ გვირაბში დარბოდა და მეძახდა. ქვიან მიწაზე დავეგდე და გულამოსკვნით ავტირდი, როგორც მაშინ, როცა ჯაშუშებმა მირამისი წაიყვანეს. ახლა აღარც მირამისი მყავდა, აღარც - იუმ-იუმი. მარტო ვიყავი. მარტოდმარტო. ვინექი, ვტიროდი და ვნანობდი, აქ რომ წამოვედი. ვერ გამეგო, რატომ სურდა მამა-მეფეს, რომ აქ წამოვსულიყავი და მხედარ კიტოს შევბრძოლებოდი. მამაჩემი ახ-ლა აქ რომ ყოფილიყო, აუცილებლად ვეტყვოდი:

- ხედავ, მარტოკა დავრჩი! იუმ-იუმი გაქრა. შენ ხომ იცი, რომ ის ჩემი სა-უკეთესო მეგობარია. ახლა აღარც ბენკა მყავს და იუმ-იუმიც დაგვარგე. სულ მარტო დავრჩი. ეს ყველაფერი კი იმიტომ მოხდა, რომ შენ გინდოდა, მხე-დარ კიტოს შევბრძოლებოდი.

ცხოვრებაში პირველად მომეჩვენა, რომ მამა-მეფე უსამართლოდ მოიქ-ცა, ზღვისგალმეთში რომ გამომგზავნა. იქ რომ ვინექი და ვტიროდი, თით-ქოს მამაჩემის ხმა შემომესმა:

- მიო, ჩემო მიო! - ამბობდა მამა.

მეტი არაფერი. მაგრამ ეს სიტყვები ისე გაისმა, თითქოს მანუგეშებდა, სა-დარდებელი არაფერიაო. მაშინვე ვიფიქრე, იუმ-იუმს უსათუოდ ვიპოვი-მეთ-ქი, და ფეხზე წამოვვარდი.

წამოვხტი თუ არა, ჯიბიდან რაღაცა გადმომივარდა. ეს იყო ნონოს გა-მოთლილი ტირიფის სალამური. ჩემი ტირიფის სალამური, რომელსაც მწვა-ნე მდელოების კუნძულზე, კოცონთან ვუკრავდი.

„რა იქნება, სალამური რომ დაფუკრა? ნონოს ნასწავლი ძველი მელიოდია ხომ არ დამეკრა?“ - გავიფიქრე მე. გამახსენდა, რომ მე და იუმ-იუმი ერთმანეთს შევპირდით, თუ ოდესმე ერთმანეთს დაგვკარგავთ, ძველი მელიოდია დაფუკრათო.

სალამური ტუჩებთან მივიტანე, მაგრამ ჩაბერვას ვერ ვბედავდი. მეშინოდა, ვაითუ, ამანაც მოგუდული, საშინელი ხმა გამოსცეს-მეთქი. თუმცა, გადავწყვიტე, რომ ბედი მაინც მეცადა. დავიწყე მელიოდის დაკვრა.

ოჰ, რომ იცოდეთ, რა სუფთა ხმით არაკრავდა სალამური! ნათლად და საოცრად! თითქმის იმაზე ლამაზად, ვიდრე მწვანე მღელღოების კუნძულზე.

მთელი მელიოდია დაფუკარი და შემდეგ მივაყურადე. ძალიან შორიდან, მთის შუაგულიდან მკაფიო ხმამ მიპასუხა. ძალიან სუსტად ისმოდა, მაგრამ მივხვდი, რომ იუმ-იუმი მპასუხობდა. ასეთი გახარებული არასოდეს ვყოფილვარ, თუმცა ტირილს ვერ ვიკავებდი.

ტირილით მივდიოდი და სალამურს შეუჩერებლად ვუკრავდი. თანდათან, უფრო ახლოს და ახლოს, უფრო სუფთა და წკრიალა ხმა ისმოდა. თანდათან უფრო ხმამაღლა ისმოდა იუმ-იუმის სალამურის ხმა. და უცბად ჩემ წინ, ბნელ გვირაბში იუმ-იუმი გაჩნდა! იუმ-იუმი, ჩემი საუკეთესო მეგობარი! მე ხელით შევეხე, მერე გადავხვიე. მინდოდა, მეგრძნო, რომ ნამდვილად ის იყო. ნამდვილად ჩემი საუკეთესო მეგობარი იუმ-იუმი იყო!

- თუ ნონოს ოდესმე შევხვდები, მადლობას ვეტყვი, რომ ეს სალამურები გაგვიკეთა, - თქვა იუმ-იუმმა.

- მეც, - ვთქვი მე, მაგრამ მაშინვე გავიფიქრე, რომ ნონოს ვეღარასოდეს შევხვდებოდით.

- იუმ-იუმ, რა ექნათ? საით წავიდეთ? - ვკითხე მე.

- სულერთია, რომელი გზით წავალთ, მთავარია, ერთად ვიაროთ, - მითხრა იუმ-იუმმა.

მეც ასე ვფიქრობდი. ჩვენ მივდიოდით და მივდიოდით და თავს გზააბნეულ და პატარა ბავშვებად აღარ ვგრძნობდით, რადგან ერთად ვიყავით და ერთად ვუკრავდით სალამურს. ძველი მელიოდია ისე ლამაზად, ნათლად და გარკვევით უღერდა, თითქოს გვანუგეშებდა და გვამხნევებდა.

გზა სულ უფრო ქვევით ჩადიოდა. სუსტმა სინათლემ, რომელიც მთას აქამდე აქა-იქ ანათებდა, ცოტათი იმატა. თითქოს კერიაზე დანთებული ცეცხლი აცოცხლებდა მუქი კლდის კედლებს და მისი ათინათი მხიარულად ციმციმებდა ირგვლივ. ჩვენ ძველებურ მელიოდის დაკვრავ. დით და სინათლის

მიმართულებით შეუსვენებლად მივიდიოდით. ბოლოს თავი ხმლის მჭედავ-
თან ამოვყავით.



გამოქვაბული ნამდვილ სამჭედლოს ჰგავდა. ქურაში ცეცხლი გიზგიზებდა. უზარმაზარ გრდემლთან კაცი იდგა. ასეთი დიდი და ძლიერი კაცი არასოდეს მენახა. ხშირი წითური თმა, ხშირი წითური წვერი და სქელი, გაბუჩქული წარბები ჰქონდა. მთლად გამურული და გაშავებული იყო. ისეთი დიდი და

შავი ხელები არსად მინახავს. როდესაც მის გამოქვაბულში შევედი, გაუნძრევლად იდგა, წარბებანული გვიყურებდა და ძალიან გაკვირვებული ჩანდა.

- ვინ არის? ვინ უკრავს? ამ ჩემს მთაში სალამურს ვინ უკრავს? - იკითხა გაოცებულმა.

- რაინდი და მისი მეაბჯრე, - მოახსენა იუმ-იუმმა, - რაინდი შორეული ქვეყნიდან. უფლისწული მით უკრავდა შენს მთაში.

მჭედავი ჩემთან მოვიდა, თავისი გამურული საჩვენებელი თითით შუბლზე შემეხო და მითხრა:

- რა ნათელი შუბლი გაქვს! რა ნათელი მზერა! და რა ლამაზად უკრავ ჩემს მთაში!

- ხმლის სათხოვნელად მოვედი. ენომ გამომგზავნა, - აფუხენი ჩემი მოსვლის მიზეზი.

- რად გინდა ხმალი? - მკითხა ხმლის მჭედავმა.

- მხედარ კიტოს უნდა შევებრძოლო, - ვუპასუხე მე.

ამის გაგონებაზე ხმლის მჭედავმა ისე იღრიალა, ასეთი საშინელი ღრიალი აქამდე არასოდეს მსმენია.

- მხედარი კიტო! - ისე იბლავლა, რომ მთამ დაიქუხა: - სიკვდილი მხედარ კიტოს!

შორს, ბნელ გვირაბებში თითქოს მეხი გრგვინავდა, ისე ისმოდა ხმლის მჭედავის ღრიალი. მისი ღრიალი ჩურჩულად არ გადაქცეულა. ამ ქუხილს მთები ექოდ იმეორებდა.

ხმლის მჭედავს შავი, დიდი ხელები მუშტებად ჰქონდა შეკრული. სიბრაზისაგან ჩამუქებულ სახეზე ცეცხლის შუქი ეცემოდა. იდგა და მთელი ხმით ღრიალებდა:

- სიკვდილი მხედარ კიტოს! სიკვდილი მხედარ კიტოს!

ქურაში ცეცხლის ალი ავარდა და გამოქვაბულის კედლებზე ჩამწკრივებული ბასრი ხმლები აალაპლაპა. ხმლები ისე ბრწყინავდა და ელვარებდა, შიში შეგიპყრობდათ. მე ხმლებთან მივედი, რათა უკეთ დამეთვალაყრებინა. ხმლის მჭედავმა ღრიალი შეწყვიტა და მომიახლოვდა.

- ხედავ ჩემს ხმლებს? ჩემს ბასრ ხმლებს ხედავ? - მკითხა მჭედავმა, - მე ეს ხმლები მხედარ კიტოსთვის გამოვჭედე. მე მხედარ კიტოს ხმლების მჭედავი ვარ.

- თუ ხმლებს უჭედავ, რატომღა ყვირი, სიკვდილი მხედარ კიტოსო? - ვკითხე მე.

მჭედავმა გამურული ხელები მუშტებად შეკრა და მიპასუხა:

- მხედარი კიტო ამქვეყნად ყველაზე მეტად მის ხმლების მჭედავს სძულს. ახლალა შევამჩნიე, რომ მჭედავი გრძელი რკინის ჯაჭვით იყო კლდეზე მიჭედებული. სიარულისას ჯაჭვი თან დასთრევდა და გრუხუნებდა.

- კლდეზე რატომ ხარ მიჯაჭვული? ჯაჭვს ცეცხლზე რატომ არ აცხელებ და გრდემლზე⁵ რატომ არ ტეხ? - ვკითხე მე.

- მხედარმა კიტომ თვითონ მიმაჭედა. მის სიძულვილის ჯაჭვებს ვერანაირი ცეცხლი და ვერანაირი გრდემლი ვერ განყვეტს.

- რატომ უნდა ატარო სიძულვილის ჯაჭვი? - დავინტერესდი მე.

- იმიტომ, რომ მას მე ვუჭედავ ხმლებს, რომლებითაც კეთილებსა და უდანაშაულოებს ხოცავს. ამ ხმლების გარეშე მას არაფერი არ შეუძლია. ამიტომაც მიმაჭედა კლდეზე ყველაზე გამძლე, სიძულვილის ჯაჭვით, - ხმლის მჭედავი ანთებული თვალებით მიყურებდა, - ვზივარ ამ ჩემს გამოქვაბულში და მხედარ კიტოსთვის ხმლებს ვჭედავ. დღედაღამ ვჭედავ მისთვის ხმლებს და მან ეს იცის. მაგრამ ერთი ხმალი მაქვს, რომლის შესახებაც მას არაფერი სმენია. აი, ის ხმალი.

კაცმა გამოქვაბულის ყველაზე ბნელ კუთხეში წააგრუხუნა თავისი ჯაჭვი და კლდის ნაპრალიდან ხმალი გამოიღო. მის ხელში ხმალი ცეცხლის ალივით ალაპლაპდა.

- ათასობით წლის განმავლობაში ვცდილობდი ისეთი ხმლის გამოჭედვას, რომელიც ქვას გაჭრიდა. და, აი, მხოლოდ წუხელ გამიღიმა ბედმა და ზუსტად ისეთი გამოვჭედე, როგორიც მინდოდა.

მან ხმალი მოიქნია და ერთი დარტყმით კლდეში მოზრდილი ნაპრალი გაჩნდა.

- აი, ჩემი ხმალი, ჩემი ცეცხლოვანი ხმალი! ჩემი ხმალი, რომელიც ქვას ჭრის! - ბუტბუტებდა თავისთვის.

- რისთვის გჭირდება ხმალი, რომელიც ქვას ჭრის? - ვკითხე მე.

- იცოდე, ეს ხმალი კეთილებისა და უდანაშაულოების დასახოცად არ არის გამოჭედილი! ეს ხმალი თავად მხედარ კიტოს წინააღმდეგ საბრძოლ-

⁵ მჭედლის ხელსაწყო, რომელზედაც ლითონს ჭედავენ

ველადაა გამოქედილი. მას ქვის გული აქვს. არ იცოდი? - მიპასუხა მჭედავმა.

- არა, მე ცოტა რამ ვიცი მხედარ კიტომზე. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ მასთან საბრძოლველად მოვედი, - ვთქვი მე.

- ქვის გული და რკინისკლანჭებიანი ხელი აქვს, - გაიმეორა ხმლის მჭედავმა.

- რკინისკლანჭებიანი ხელი? - გამიკვირდა მე.

- არ იცოდი? მას მარჯვენა ხელი არა აქვს. მის ნაცვლად რკინის კლანჭები აქვს, - მითხრა ხმლის მჭედავმა.

- რკინისკლანჭებიანი ხელით რას აკეთებს? - დავინტერესდი მე.

- ადამიანებს მკერდიდან გულს აგლეჯს და სანაცვლოდ ქვის გულს აძლევს. ასე დააკანონა: ყველას, ვინც მის სასახლეშია, ქვის გული უნდა ჰქონდეს, - ამიხსნა ხმლის მჭედავმა.

ამის გაგონებამ შემზარა და უფრო მეტად მომიწინა მხედარ კიტოსთან შებრძოლება.

ხმლის მჭედავი ჩემ გვერდით იდგა და თავისი გამურული ხელებით ხმაღს ეფერებოდა. ეტყობოდა, მისთვის ეს ხმალი ყველაფერზე უფრო ძვირფასი იყო.

- მომეცი შენი ხმალი, რომელიც ქვას ჭრის! მომეცი შენი ხმალი, რომ მხედარ კიტოსთან შებრძოლება შევძლო! - ვთხოვე მე.

ხმლის მჭედავი მდუმარედ მომჩერებოდა. ბოლოს ხმა ამოიღო:

- კარგი, მოგცემ ჩემს ხმაღს, ჩემს ცეცხლოვან ხმაღს! რა ნათელი შუბლი გაქვს! რა ნათელი მზერა! და რა ლამაზად უკრავდი ჩემს მთებში! მე მოგცემ ჩემს ხმაღს!

და ცეცხლოვანი ხმალი ხელში ჩამიღო. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ხმლის ცეცხლის ნაწილი ჩემში გადმოვიდა და ძალ-ღონე მომემართა.

ამის შემდეგ ხმლის მჭედავი კლდოვან კედელთან მივიდა და საიდუმლო სარკმელი გამოაღო. გამოქვაბულში ცივი ქარი შემოიჭრა და გამძვინვარებული ტალღების ხმა შემომესმა.

- ბევრი რამ იცის მხედარმა კიტომ, მაგრამ არ იცის, მთა რომ გავბურღე და ჩემს საპყრობილეს სარკმელი გავუკეთე. წლები განმავლობაში ვბურღავდი კლდეს ამ საიდუმლო სარკმლისთვის, - თქვა ხმლის მჭედავმა.

მე სარკმელთან მივედი და მკვდარი ტბის გაღმა მხედარ კიტოს სასახლეს გავხედე. ისევ დაღამებულიყო, სასახლე ისევ ისე შავად და პირქუშად გამოიყურებოდა. სინათლე ზუსტად უწინდელივით მხოლოდ ერთი ფანჯრიდან გამოდიოდა და ბოროტი თვალივით გადმოჰყურებდა მკვდარი ტბის წყალს.

იუმ-იუმი გვერდით დამიდგა. ჩვენ ჩუმად გავცქეროდით პირქუშ სასახლეს და ვფიქრობდით, რომ გადამწყვეტი ბრძოლა ახლოვდებოდა.

ხმლის მჭედავი ჩვენ უკან იდგა და მისი ნათქვამი კარგად გავიგონე:

- მალე ჩამოჰკრავს ის საათი! მალე ჩამოჰკრავს მხედარ კიტოს უკანასკნელი ბრძოლის საათი!

რკინისკლანჭებიანი ხელი

მკვდარი ტბის თავზე რუხი ღრუბელი ჩამონოლილიყო. იქაურობას მოჭადლოებული ჩიტების ყურთნამღები ჭყვილი აზრიალებდა. შავად ქაფდებოდა მკვდარი ტბის ტალღები. წუთი წუთზე ჩვენი ნავი მკვდარ ტბაში შეცურდებოდა და სანამ კიტოს სასახლემდე მიაღწევდა, შეიძლებოდა ფრიალო კლდეზე მიმსხვრეულიყო.

ხმლის მჭედავი საიღუმლო სარკმელთან იდგა და მიყურებდა, როგორ ფხსნიდი კლდეებს შორის მოფარებულ ყურეში მიბმულ პატარა ნავს.

- ბევრი რამ იცის მხედარმა კიტომ, მაგრამ არ იცის, ჩემს მთაში მკვდარი ტბა რომ არის შემოჭრილი. არაფერი იცის ნავის შესახებაც, რომელიც ჩემს საიღუმლო ნავმისადგომში, სარკმლის ქვეშ მაქვს დამალული, - თქვა ხმლის მჭედავმა.

- ნავი რად გინდა, როცა კლდეზე ხარ მიჯაჭვული და ვერსად გაცურავ? - ვკითხე მე.

- სარკმლიდან ვძვრები და იქამდე ვცურავ, სადამდეც ჯაჭვის სიგრძე მყოფა. ჩემს საიღუმლო ნავსადგურში ნიჩბების სამჭერ მოსმას ვასწრებ.

უზარმაზარი და შავი მჭედავი საიღუმლო სარკმელთან იდგა, ზუსტად საიღუმლო ნავმისადგომის თავზე. ისე ბნელოდა, რომ მას ძლივს ვხედავდი. მაგრამ გარკვევით მესმოდა მისი სიცილი, უცნაური, შემზარავი სიცილი. ისე იცინოდა, იფიქრებდი, რომ მას აღარც კი ახსოვდა, როგორ იცინიან ადამიანები.

- ბევრი რამ იცის მხედარმა კიტომ, მაგრამ კიდევ ერთი რამ არ იცის. არ იცის, ვის გადაიყვანს ამაღამ მკვდარ ტბაზე ჩემი ნავი, - თქვა ხმლის მჭედავმა.

- არსებობს რაღაც, რაც არც შენ იცი, - ვუთხარი მე, - შენ არ იცი, ნახავ თუ არა კიდევ ოდესმე შენს ნავს. შეიძლება ამაღამ ის მკვდარ ტბაში ჩაიძიროს; შეიძლება აკვანივით იღოს მკვდარი ტბის ფსკერზე და ტალღები არწევდნენ. იმ აკვანში კი მე და იუმ-იუმს გვეძინოს. რას იტყვი მაშინ?

ხმლის მჭედავმა მძიმედ ამოიოხრა და თქვა:

- მხოლოდ ამასლა ვიტყვი: ტკბილად იძინე, უფლისწულო მხო! ტკბილად იძინე აკვანში, რომელსაც ტალღები არწევენ!

ნიჩბების მოსმა დაფინყე. ხმლის მჭედავს ველარ ვხედავდი. ის უკუნ სიბნე-
ლეში გაქრა. სანამ მკვდარ ტბასა და ხმლის მჭედავის ფარულ ყურეს შორის
არსებული ვიწრო ნაპრალიდან გამოვცურავდით, მისი ძახილი შემომესმა.

- უფლისწულო მით, ფრთხილად იყავი! უფრთხილდი რკინის კლანჭს!
ხმალი მომზადებული გქონდეს, თორემ უფლისწული მით დაილუპება!

„უფლისწული მით დაილუპება! უფლისწული მით დაილუპება!“ - აჩურჩულ-
დნენ გარს შემოჯარული კლდოვანი კედლები. ძალზე ნაღვლიანი იყო მათი
ჩურჩული, მაგრამ ამაზე ფიქრის დრო აღარ მქონდა, რადგან ჩვენს ნავს
მკვდარი ტბის ტალღები დაეძგერა, შორს მოგვისროლა და ხმლის მჭედა-
ვის მთას დაგვაშორა. მძვინვარე ტალღები სიღრმეში გვითრევდნენ.

- ეჰ, ეს ნავი ასეთი პატარა რომ არ იყოს, ტბა - ასეთი უძირო, ტალღები -
ასეთი ველური, ჩვენ კი - ასეთი პატარები და უმწეოები! - დანანებით თქვა
იუმ-იუმმა.

ოჰ, როგორ შმაგობდა მკვდარი ტბა! რა გაცოფებული აზვითებდა ტალ-
ღებს! ცხოვრებაში არ მინახავს ასეთი გააფთრებული ტალღები. ტალღები
გამეტებით გვეხეთქებოდა და უფრო შორს, ახალი ზვითებისაკენ ისროდა
ჩვენს ნავს. ნიჩბის მოსმა შეუძლებელი იყო. მე და იუმ-იუმი ნიჩბებს ჩავებლა-
უჭეთ. უცხად, აღრიალებული ტალღა გვეცა და ერთი ნიჩაბი გამოგვტაცა.
ამას მეორე აქაფებული ზვითი მოჰყვა და მეორე ნიჩაბი გაგვითქვა. ჩვენ
გარშემო აქაფებული, მძვინვარე ზვითები ცას სწვდებოდა.

- ესეც ასე, ახლა ნიჩბები აღარა გვაქვს, მალე აღარც ნავი გვექნება.
ტალღებმა მხედარ კიტოს კლდეს თუ მიგვანარცხეს, მერე აღარც ნიჩბები
დაგვჭირდება, აღარც - ნავი! - თქვა იუმ-იუმმა.

გავიხედეთ და დავინახეთ, რომ მოჯადოებული ჩიტები მოფრინავდნენ
ყოველი მხრიდან. ისინი ჩვენ გარშემო დაფრინავდნენ, თან ჭყიოდნენ და
მოთქვამდნენ თავიანთ უბედობაზე. სიბნელეში მათი მბზინავი, სევდიანი
თვალეების დანახვა შეიძლებოდა.

- ნონოს ძმა ხარ? - ვკითხე ერთ-ერთ ჩიტს.

- ირის და ხარ? - ვკითხე მეორეს.

მაგრამ ისინი თავიანთი მბზინავი, სევდიანი თვალეებით მიყურებდნენ და
სასონარკვეთილად ჭყიოდნენ.

ნიჩბები აღარ გვექონდა, ნავს ველარ ვმართავდით, მაგრამ ტალღები პირ-
დაპირ მხედარ კიტოს სასახლისკენ მიგვაქანებდნენ. ტალღებს ზუსტად იქ,
კლდეზე სურდათ ჩვენი დალენვა. მათ სურდათ, მხედარ კიტოს ფეხებთან

დავხოცილიყავით. სულ უფრო და უფრო ვუახლოვდებოდით საშიშ კლდეს, სულ უფრო და უფრო გვიახლოვდებოდა ბოროტვალისანი შავი სასახლე; სულ უფრო ჩქარა და ჩქარა მიგვაქანებდნენ გაველურებული ტალღები.

- აი, ახლა! აი, ახლა... ახლა ყველაფერი დამთავრდება! - თქვა იუმ-იუმ-მა.

მაგრამ უცნაური რამ მოხდა. როგორც კი ვიფიქრეთ, დავიღუპეთო, ტალღები ჩანყნარდნენ და დამშვიდდნენ. მათ ჩვენი ნავი ყველა საშიშ ფრიალო კლდეს აარიდეს და რწვეა-რწვევით პირდაპირ მხედარ კიტოს სასახლესთან, შავი, დაკბილული კლდის ძირას მიგვიყვანეს.

რატომ დამშვიდდნენ აზვირთებული ტალღები? ვერ გამეგო. იქნებ მხედარი კიტო მათაც ეზიზღებოდათ და სიამოვნებით ეხმარებოდნენ მას, ვინც მასთან საბრძოლველად იყო მოსული? იქნებ მკვდარი ტბა ოდესღაც კლდეებს შორის მოფარებული პატარა, სასიამოვნო, ცისფერი ტბა იყო, რომელშიც ზაფხულის თბილი მზე ირეკლებოდა და პატარა, მხიარული ტალღები ფრიალო კლდეებს ეალერსებოდა? შეიძლება ერთ დროს მის ნაპირზე ბავშვები თამაშობდნენ, ბანაობდნენ; შეიძლება ირგვლივ მათი ხალისიანი სიცილი ისმოდა და არა მოჭადლოებული ჩიტების ნაღვლიანი ჭყვივლი. შეიძლება ამიტომაც აღმართეს ტალღებმა ქაფის კედელი ჩვენსა და სასახლიდან მომზირალ თვალს შორის.

- გმადლობ, კეთილო ტბავ! გმადლობთ, ველურო ტალღებო! - ვთქვი მე.

მაგრამ ტალღები გამქრალიყვნენ და შავმა, მშვიდმა წყალმა არაფერი მიპასუხა.

ჩვენ ზევით, ციცაბო კლდეზე, მხედარ კიტოს სასახლე იდგა. მასთან ასე ახლოს არასოდეს ვყოფილვართ და ეს ღამე ბრძოლის ღამე იყო.



საკუთარ თავს ვეკითხებოდი, იცოდნენ თუ არა მათ, ვინც ათასობით წელი იცდიდა, რომ ამ ღამეს ბრძოლა უნდა შემდგარიყო და ჩემზე თუ ფიქრობდნენ? მამაჩემი ფიქრობდა ჩემზე? იმედი მქონდა, რომ ფიქრობდა. ვიცოდი, რომ ფიქრობდა. ვიცოდი, რომ სადღაც, ძალიან შორს, მარტო იჯდა და სევდიანად ჩურჩულებდა: „მის, ჩემო მის“.

ხელი ხმაღს ჩავავლე. ხმალი ხელს ცეცხლივით მიწვავდა. საშინელი ბრძოლა მელოდა, ლოდინი აღარ შემეძლო. ჩემთვის სასიკვდილოც რომ ყოფილიყო, მხედარ კიტოსთან შესახვედრად მივისწრაფოდი. ახლა ბრძოლის დაწყება შეიძლებოდა, თუნდაც ამ ბრძოლაში დავლუპულიყავი.

- მის, იცი, როგორ მშია?! - თქვა იუმ-იუმმა.

პურის ნარჩენი ამოვიღე, არსობის პურის ნარჩენი, და მხედარ კიტოს სასახლის ძირას, კლდესთან ვჭამეთ. ჭამის შემდეგ თავს მაძღრად, ძლიერად და თითქმის ბედნიერად ვგრძნობდით. მაგრამ ეს ჩვენი პურის ბოლო ლუკმა იყო და არ ვიცოდით, კიდევ როდის გვეღირსებოდა დანაყრება.

- ახლა კლდეზე უნდა ავცოცდეთ, ეს მხედარ კიტოს სასახლეში მოხვედრის ერთადერთი გზაა, - ვუთხარი იუმ-იუმს.

- კარგი, - დამეთანხმა იუმ-იუმი.

და დავიწყეთ ციცაბო კლდეზე აცოცება.

- ეჰ, კლდე ასეთი ციცაბო რომ არ იყოს, ღამე - ასეთი ბნელი, ჩვენ კი - ასეთი პატარები და უმწივები! - დანანებით თქვა იუმ-იუმმა.

მივძვრებოდით და მივძვრებოდით, სულ ზევით და ზევით. ნელ-ნელა, გაჭირვებით, მაგრამ მაინც მივძვრებოდით. ხელ-ფეხით მაგრად ვეჭიდებოდით კლდის შვერილებს და მივძვრებოდით. ზოგჯერ ძალიან მეშინოდა და ვფიქრობდი, ახლა ჩავვარდები და ყველაფერი დამთავრდება-მეთქი. მაგრამ ბოლო წამს კლდე თითქოს თვითონ გამომიჩინდა ხოლმე დასაყრდენს. კლდე თითქოს ფეხებქვეშ თვითონ გვიმარჯვებდა შვერილებს. იქნებ მხედარი კიტო კლდესაც ეზიზღებოდა და სიამოვნებით ეხმარებოდა მას, ვინც მხედარ კიტოსთან საბრძოლველად იყო მოსული?

მხედარ კიტოს სასახლე ტბიდან ძალიან მაღლა იყო აღმართული. ჩვენც სულ ზემოთ და ზემოთ უნდა გვეცოცა, რათა კლდის თავზე წამოჭიმული სასახლის გალავანამდე მიგვეღწია.

- სულ მალე ზევით ვიქნებით, - ჩავჩურჩულე იუმ-იუმს, - მალე გალავანზე ავძვრებით და მერე...

ამ დროს ხმები შემომესმა. ჯაშუშები იყვნენ, რომლებიც ერთმანეთს ესაუბრებოდნენ. ორი შავი ჯაშუში სასახლის გალავანზე გადი-გამოდიოდა.

- ეძებთ, ყველგან ეძებთ! - თქვა ერთმა, - მხედარ კიტოს ბრძანებაა, მტერი უნდა დავიჭიროთ. უნდა დავიჭიროთ მტერი, რომელმაც თეთრი ცხენი შემოაჭენა! ასეთია მხედარ კიტოს ბრძანება! ეძებთ გამოქვაბულებში! ეძებთ ტყეში! ეძებთ წყალსა და ჰაერში! ეძებთ ახლოსაც და შორსაც! ეძებთ ყველგან!

- ახლოს მოძებნეთ, ახლოს მოძებნეთ! - თქვა მეორემ, - ჩვენ ვართ ისინი, ვინც ახლოს ეძებს. შეიძლება მტერი ჩვენ შორის იყოს, შეიძლება ამ ღამეს კლდეზე მოძვრებოდეს! მოძებნეთ ყველგან!

დავინახე, რომ ჯაშუშმა ჩირალდანი აანთო, და კინალამ გული გამიჩერდა. გალავანს თუ გაანათებდა, აუცილებლად დაგვინახავდა და მაშინ ყველაფერი დამთავრდებოდა: თავის გრძელ შუბს ჩამოსწევდა და უფსკრულში ჩაგვიძახებდა. ჩვენ მხოლოდ ოდნავ წამოვიყვირებდით და მკვდარ ტბაში სამუდამოდ ჩავიძირებოდით.

- ეძებე, ყველგან ეძებე! - უთხრა ერთმა ჯაშუშმა მეორეს, - ჩირალდნით კლდე გაანათე. იქნებ სწორედ ახლა მოძვრება მტერი. ყველგან მოძებნე!

მეორემ ჩირალდანი ზევით ასწია და გალავანზე გადმოანათა. შუქი კლდეს დაეცა. ჩვენ ერთმანეთს ჩავეხუტეთ და კატისგან შეშინებული თაგვებივით ავკანკალდით. ჩირალდნის შუქი ნელ-ნელა მოცოცავდა გალავნის გასწვრივ და სულ უფრო და უფრო გვიახლოვდებოდა.

- ახლა კი, მიო, ახლა ყველაფერი დამთავრდება! - ჩაიჩურჩულა იუმ-იუმმა.

მაგრამ უცბად უცნაური რამ მოხდა. ტბიდან ჩიტების გუნდი აფრინდა. მოჯადოებული ჩიტების გუნდი ჩვენკენ მოფრინავდა ფრთების ტყლაშუნიტ. ერთი მათგანი ჩირალდანს დააფრინდა და ჯაშუშს ხელიდან გააგდებინა. დავინახეთ, ცეცხლის ალი უფსკრულში ისარივით როგორ ჩაეშვა და გავიგონეთ, წყალში ჩავარდნილი როგორ აშიშინდა. ამასობაში კიდევ ერთი ცეცხლის ისარი წავიდა წყლისკენ. ჩიტი, რომელმაც გადაგვარჩინა, თვითონ იწვოდა. მკვდარი ჩიტი ცეცხლმოკიდებული ფრთებით ტბაში ჩავარდა. ამან ძალიან დაგვანალვლიანა.

- გმადლობ, პატარა საწყალო ჩიტო, - ჩავიჩურჩულე მე, თუმცა, ვიცოდი, რომ ჩიტი ველარასოდეს ვერაფერს გაიგონებდა.

ძალიან მინდოდა ტირილი, მაგრამ ჯაშუშებზე უნდა მეფიქრა. ჯერ კიდევ არ ვიყავით გალაფანზე გადასულები, ჯერ კიდევ ბევრი საფრთხე გვემუქრებოდა.

ჩიტის გამო გაცოფებული ჯაშუშები ზუსტად ჩვენ თავზე მოთ იდგნენ! მე ვხედავდი მათ შავ, საზიზღარ თავებს, მესმოდა მათი საზიზღარი ხმები, როცა ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ.

- მოძებნე, ყველგან მოძებნე! - ამბობდნენ ისინი, - შეიძლება მტერი აქედან შორს არის; შეიძლება სადმე აქვე მოცოცავს კლდეზე. ყველგან მოძებნე!

რამდენიმე ნაბიჯით დაგვშორდნენ და ახლა სხვა მხარეს განაგრძეს ჩვენი ძებნა.

- ახლა კი დროა! - ჩავჩურჩულე იუმ-იუმს, - ახლა კი დროა!

ჩვენ გალაფანზე ჩქარ-ჩქარა გადავძვერით და სიბნელეში ასევე ჩქარ-ჩქარა გავიქეციით მხედარ კიტოს სასახლისკენ. მერე სასახლის შავ კედელს ავეკარით და გაუნძრევლად ვიდექით, რომ ჯაშუშებს არ შევემჩნიეთ.

- სასახლეში როგორ უნდა შევიდეთ? - ჩაიჩურჩულა იუმ-იუმმა, - როგორ შევიდეთ ამქვეყნად ყველაზე შავ სასახლეში?

ეს თქვა თუ არა, ჩვენ გვერდით კედელში სრულიად უხმოდ გაიღო შავი კარი. ჩქამიც კი არ გაგვიგონია, ისე გაიღო. არანაირი სიჩუმე არ შეედრებოდა ამ ამაზრბენ მკვდარ სიჩუმეს. გაღების დროს კარს მაინც დაეჭრიალა! კარის ანჯამას მაინც რომ დაეჭრიალა, სიჩუმე ასეთი შემზარავი არ იქნებოდა. ეს კარი ყველა კარზე უფრო ჩუმი კარი იყო.

მე და იუმ-იუმმა ხელი ჩავჭიდეთ ერთმანეთს და მხედარ კიტოს სასახლეში შევედით. არასოდეს გვიგრძნია თავი ასე პატარებად და უმწეობებად, რადგან არასოდეს არსად ყოფილა სიბნელე ასეთი უკუნი, სიცივე - ასეთი გამყინავი, სიჩუმე - ასეთი ბოროტი, როგორიც მხედარ კიტოს სასახლეში იყო.

კარის წინ ზევით ვიწრო, ბნელი ხვეული კიბე ადიოდა. არასოდეს მენახა უფრო მაღალი და ბნელი კიბე.

- ეჰ, წყვდიადი ასეთი ავბედითი რომ არ ყოფილიყო, მხედარი კიტო - ასეთი სასტიკი, ჩვენ კი - ასეთი პატარები და უმწეოები! - დანანებით თქვა იუმ-იუმმა.

მე ხელში ხმალი მქონდა ჩაბლუტული და ასე ავეყვევით კიბეს. წინ მე მივდიოდი, უკან იუმ-იუმი მომყვებოდა.

ზოგჯერ სიზმარში უცხო, ბნელ სახლში ვყოფილვარ, უცნობ, ბნელ, საში-
ნელ სახლში! ჩაბნელებულ ოთახებში სუნთქვა მიჭირდა, როგორც კი ზღურ-
ბლზე გადაბიჯებას დავაპირებდი, იატაკი მაშინვე ქვესკნელის პირს დააღებ-
და. კიბეები იმსხვრეოდა, მე კი ქვემოთ ვვარდებოდი. მაგრამ სიზმარში ნა-
ნახი არც ერთი სახლი არ იყო ისეთი საშინელი, როგორიც მხედარ კიტოს
სასახლე.

ხვეული კიბით სულ ზევით და ზევით ავდიოდით და არ ვიცოდით, კიბის
თავში რა გველოდა.

- მის, მეშინია, - ჩაიჩურჩულა იუმ-იუმმა. მე მაშინვე მივბრუნდი, რომ ხე-
ლი მომეკიდა, მაგრამ იუმ-იუმი გაქრა. კედელში ისე გაქრა, რომ გონზე
მოსვლაც ვერ მოვასწარი. კიბეზე მარტო დავრჩი. ახლა ათასჯერ უფრო
მარტოდ ვგრძნობდი თავს, ვიდრე მაშინ, როცა ხმლის მჭედის მთაში და-
ვიკარგეთ. ათასჯერ უფრო მარტო ვიყავი, ვიდრე ოდესმე ვყოფილვარ.

სასონარკვეთილებებაში ჩავვარდი. დაყვირებას ვერ ვბედავდი. აკანკალებ-
ბული ხელებით იმ კედელს ვსინჯავდი, რომელშიც იუმ-იუმი გაქრა. ვტირო-
დი და ვჩურჩულებდი:

- იუმ-იუმ, სადა ხარ? იუმ-იუმ, დაბრუნდი!

მაგრამ კედელი უძრავი და ცივი იყო. ერთი ნახვრეტიც კი არსად ჰქონდა,
იუმ-იუმი რომ გამოეშვა. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე სუფევდა. იუმ-იუმი
არ მპასუხობდა, ამაოდ ვტიროდი და ვეძახდი.

ჩემსავით მარტოსული ქვეყანაზე ალბათ არავინ იქნებოდა, როცა კიბეზე
ასვლა განვაგრძე. ფეხებს ძლივს მივათრევდი, ნაბიჯს ძლივს ვადგამდი.
ჩემსავით მძიმე ნაბიჯები ქვეყანაზე ალბათ არავის გადაუდგამს.

საფეხურები კი აუარებელი იყო, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი ბოლო ალ-
მოჩნდა. მე არ ვიცოდი, რომ ბოლო იყო. ეს არავინ იცის, როდესაც სიბნე-
ლეში კიბეზე აღის.

ნაბიჯი გადავდგი და ფეხებქვეშ საფეხური აღარ დამხვდა. ფეხი დამიცდა,
შიშისგან შევკვივლე და შევეცადე, რამეს ჩავჭიდებოდი. მოვახერხე კიდევაც
და ყველაზე ბოლო საფეხურს ჩავეჭიდე. ასე ვეკიდე უძირო უფსკრულის
თავზე, ვფართხალებდი და ფეხებით საყრდენს ვეძებდი. მაგრამ ვერაფერი
ვიპოვე. მეშინოდა და დამხმარეც არავინ იყო. ვიფიქრე, ახლა ჩავიჩხებები
და ყველაფერი მორჩება-მეთქი. ოჰ, მიშველეთ ვინმემ, მიშველეთ!

კიბეზე ვილაცა ამოდიოდა.

ნუთუ იუმ-იუმი იყო?

- იუმ-იუმ, ჩემო კარგო იუმ-იუმ, დამეხმარე! - ჩურჩულით ვთხოვე მე.
უკუნ სიბნელეში ვერ ვხედავდი მის ალერსიან სახეს და თვალებს, ასე ძა-
ლიან რომ ჰგავდნენ ბენკასას, მაგრამ ჩურჩული გავიგონე:
- მომეცი ხელი, მოგეხმარები! მომკიდე ხელი, მოგეხმარები!
და მე მის ხელს ხელი მოვკიდე; მაგრამ ეს ადამიანის ხელი არ იყო. ეს
იყო რკინის კლანჭები.



ჩემს სასახლეში ამაზე უფრო საშიში ხმალი არასოდეს მინახავს

ოდესმე ამას ალბათ დავივიწყებ. ოდესმე ალბათ მხედარ კიტოს აღარ გავიხსენებ. დამავინყდება მისი საშინელი სახე, საშინელი თვალები და საშინელი რკინისკლანჭებიანი ხელი. შევნატრი იმ დღეს, როდესაც მასზე აღარ ვიფიქრებ და მის საძაგელ საბრძანებელსაც დავივიწყებ.

მხედარ კიტოს სასახლეში ერთი ოთახი ჰქონდა და იქ ჰყავდა ბოროტებით იყო სავსე. იჯდა თავის სამყოფელში მხედარი კიტო და დღე და ღამე მზაკვრულ ხრიკებს იგონებდა. დღე და ღამე ბოროტ ოინებს გეგმავდა. იქაურობა ისე იყო ბოროტებით გაჯერებული, რომ სუნთქვა ჭირდა. ბოროტება იქიდან ნაკადად მოედინებოდა და ირგვლივ ყველაფერ ლამაზსა და ცოცხალს კლავდა. სპობდა მწვანე ფოთლებს, ფერად ყვავილებსა და ნაზ ბალახს. ეს ბოროტება ისე ჰქონდა მზეს აფარებული, ამ ქვეყანაში ნამდვილი დღე აღარ თენდებოდა. მხოლოდ ღამე ან ბინდბუნდი იდგა. ამიტომაც არ იყო გასაკვირი, რომ მისი ოთახის ფანჯარა ბოროტი თვალივით ანათებდა მკვდარ ტბაზე. იქიდან უკუნ სიბნელეში მხედარ კიტოს ბოროტება ჟონავდა, როცა იქ იჯდა და დღედაღამ ავაზაკურ ხრიკებს იგონებდა.

მხედარმა კიტომ ისეთ ღროს დამიჭირა, როცა ორივე ხელით კიბის საფეხურს ვიყავი ჩაჭიდებული და ხმაღს ვერ ამოვიღებდი. შემდეგ მისი შავი ჯაშუშები დამესივნენ და მის საბრძანებელში მიმიყვანეს. იუმ-იუმიც იქ დამხვდა. ძალიან ფერმკრთალი და სევდიანი იყო, დამინახა თუ არა, ჩაიჩურჩულა:

- ოჰ, მით, ახლა კი ყველაფერი დამთავრდა!

შემოვიდა მხედარი კიტო. და ჩვენ შევკრთით, ისეთი საზარელი შესახედავი იყო. ის ჩუმად იდგა და გველისებური თვალებით დაჟინებით გვიცქეროდა. ბოროტება, რომელიც მისგან ნიაღვარივით იღვრებოდა, ჩვენც შემოგვესხა ცივ ნაკადად სახესა და ხელებზე; თვალები აგვინვა კვამლივით; ფილტვებში ჩააღწია და სუნთქვა გაგვიძნელა. ვგრძნობდი, როგორ ვეხვეოდი ბოროტების ქსელში. საოცრად დავიღალე. ისე დავიღალე, ხმლის აწევა რომც მეცადა, ვერ შევძლებდი. ჯაშუშებმა ჩემი ხმალი მხედარ კიტოს გაუნოდეს. მან კი დახედა და შეკრთა.

- ჩემს სასახლეში ამაზე უფრო საშიში ხმალი არასოდეს მინახავს, - უთხრა მან გარს შემოხვეულ ჯაშუშებს. მერე ფანჯარასთან მივიდა და ხმალს კარგა ხანს ათვალიერებდა.

- რა გავაკეთო ამ ხმლით? - იკითხა მხედარმა კიტომ, - კეთილსა და უდანაშაულო ადამიანებს ასეთი ხმალი ვერაფერს დააკლებს. მაშ, რა გავაკეთო?

მან თავისი გველის თვალებით შემომხედა და მიხვდა, როგორ მინდოდა ჩემი ხმლის ხელში ჩავდებო.

- მკვდარ ტბაში ჩავძირავ! - გადაწყვიტა მხედარმა კიტომ, - მკვდარი ტბის უღრმეს ფსკერზე ჩავძირავ, რადგან ჩემს სასახლეში ამაზე უფრო საშიში ხმალი არასოდეს მინახავს! - ხმალი ასწია და ფანჯრიდან მოისროლა.

დავინახე, ხმალმა როგორ გაიელვა, და სასონარკვეთილებებში ჩავვარდი. ათასობით წელიწადს ჭედავდა ხმლის მჭედავი ამ ქვისმკვეთელ ხმალს. ათასობით წელიწადს ელოდნენ და იმედოვნებდნენ, რომ მხედარ კიტოს დავამარცხებდი. ახლა კი მან ჩემი ხმალი მკვდარ ტბაში მოისროლა. ველარასოდეს ვნახავდი ჩემს ხმალს, ყველაფერი დამთავრდა.

მხედარი კიტო მოვიდა და ჩვენ წინ დადგა. ისე ახლოს იდგა, მისმა ბოროტებამ კინალამ გამგუდა.

- ამ ჩემს მტრებს რა ვუყო? - თავის თავს ჰკითხა მხედარმა კიტომ, - რა ვუყო მტრებს, რომლებიც ჩემს მოსაკლავად შორიდან მოვიდნენ? ჯობია, მოვიფიქრო! შემიძლია ჩიტებად ვაქციო და ათასობით წელიწადს ტბის თავზე ჭყვილით იფრენენ...

ლაპარაკობდა თავისთვის და თავის საშინელ თვალებს არ გვაშორებდა.

- დიახ, ჩიტებად გადაქცევა შემიძლია, - განაგრძო მან, - ანდა გულებს ამოვგლეჯ და სანაცვლოდ ქვის გულებს ჩავუდებ. ქვის გულებს ჩავუდებ და ჩემს მოსამსახურებად ვაქცევ.

მინდოდა მეყვირა, მირჩევნია, ჩიტად მაქციო-მეთქი, რადგან ქვის გულზე უარესი არაფერია, მაგრამ არ ვიყვირე. ვიცოდი, ჩიტად მაქციე-მეთქი რომ მეთხოვა, მკერდში მაშინვე ქვის გულს ჩამიდებდა.

მხედარმა კიტომ თავისი გველის თვალებით ლამის გაგვბურღა.

- ხომ არ ჯობია, კოშკში გამოვამწყვდიო და შიმშილით ამოვხადო სული? - ბოლოს გადაწყვიტა: - ბევრი ჩიტი და მოსამსახურე მყავს, ვფიქრობ, უმჯობესია, მტერი კოშკში გამოვამწყვდიო და შიმშილით ამოვხადო სული.

მხედარი კიტო ბოლთას სცემდა, თან ფიქრობდა. მისი ყოველი ფიქრი ჰაერს ბორბოტებით ავსებდა.

- ჩემს კოშკში შიმშილისგან ერთ ღამეში იხოცებიან, - თქვა მან, - ღამე ისეთი გრძელია, შიმშილი კი - ისეთი ძლიერი, რომ მეტხანს გაძლება შეუძლებელია.

ჩვენ წინ შეჩერდა და თავისი საძაგელი რკინისკლანჭებიანი ხელი მხარზე დამადო.

- უფლისწულო მით, მე შენ გიცნობ. როგორც კი შენი თეთრი ცხენი დავინახე, უკვე ვიცოდი, რომ შენ მოხვედი. მე გელოდი. შენ ალბათ ფიქრობდი, რომ ეს ღამე ბრძოლის ღამე იქნებოდა, არა? - მკითხა მან.

მერე დაიხარა და ყურში ჩამსისინა:


- შენ ფიქრობდი, რომ ეს ღამე ბრძოლის ღამე იქნებოდა! შეცდი, უფლისწულო მით! ეს ღამე შიმშილის ღამეა. როდესაც ღამე ჩაივლის, ჩემს კოშკში მხოლოდ უფლისწულ მიოს და მისი საჭურველმტვირთველის პატარა თეთრი ძვლები ეყრება.

ოთახის შუაგულში ქვის მაგიდა იდგა. მხედარმა კიტომ ზედ რკინისკლანჭებიანი ხელი დაარტყა და მაშინვე ჯაშუშების ახალი რაზმი შემოვარდა.

- შიმშილის კოშკში ჩაყარეთ! - მხედარმა კიტომ თავისი რკინისკლანჭებიანი ხელით ჩვენზე მიუთითა, - შეიდკლიტურ კოშკში ჩაყარეთ. კართან დარაჯებად შვიდი ჯაშუში დაუყენეთ. ყველგან, ყველა დარბაზში, კიბეზე, კოშკსა და ჩემს საბრძანებელს შორის ყველა გასასვლელში დარაჯებად სამოცდაჩვიდმეტი ჯაშუში დააყენეთ!

მერე ქვის მაგიდას მიუჯდა.

- სიმშვიდე მჭირდება, რათა ახალი ბოროტი ხრიკები მოვიფიქრო. არ მინდა, უფლისწულმა მიომ ხელი შემეშალოს. როდესაც ღამე მიიწურება, მე კოშკში მოვალ თქვენი პატარა თეთრი ძვლების სანახავად. მშვიდობით, უფლისწულო მით! ტკბილად იძინე შიმშილის კოშკში!



ჯაშუშებმა მე და იუმ-იუმს ხელი გვტაცეს და იმ კოშკში წაგვათრიეს, სადაც უნდა დავხოცილიყავით. ყველგან: დარბაზებში, კიბეზე და გასასვლელეებში უკვე ჯაშუშები დამდგარიყვნენ. ნუთუ ისე ეშინოდა მხედარ კიტოს ჩემი, რომ ამდენი დარაჯი დასჭირდა? ნუთუ ასე ეშინოდა მისი, ვინც შვიდი კლიტით ჩაკეტილ კოშკში იჯდა უხმლოდ და ვისაც შვიდი ჯაშუში სდარაჯობდა?

ჯაშუშებს მე და იუმ-იუმი მაგრად ვყავდით ჩაბლუჯულები და ისე მივყავდით კოშკში. მივდიოდით და მივდიოდით ბნელი სასახლის უსასრულო დერეფნებში. ერთ ადგილას გისოსებიან ფანჯარას ჩავუარეთ, ამ ფანჯარიდან სასახლის ეზოს შევაღწეე თვალი. შუა ეზოში ბოძზე ჯაჭვით მიბმული შავი ცხენი იდგა. შავ ცხენს გვერდით შავი კვიცი ედგა. ცხენის დანახვაზე გული შემიქანდა. მირამისი გამახსენდა, რომელსაც ველარასოდეს ვნახავდი. ჩემს თავს ვეკითხებოდი, ნეტავ რა უქნეს, ნეტავ ცოცხალია თუ არა-მეთქი. ჯაშუშმა ხელზე მაგრად მომქაჩა და წამათრია. მირამისზე ფიქრი შევწყვიტე.

და, აი, ჩვენ უკვე კოშკში ვართ, სადაც ჩვენი ბოლო ღამე უნდა გავატაროთ. რკინის მძიმე კარი ღრჭილით გაიღო და ჩვენ შიგ შეგვყარეს. კარი ისეთივე ხმაურით დაიხურა. გავიგონეთ, ჯაშუშებმა შვიდი კლიტის გასაღები რომ გადაატრიალეს. ჩვენ, მე და იუმ-იუმი, საპყრობილეში მარტონი დავრჩით.

ჩვენი საპყრობილე ქვის სქელკედლებიანი, მრგვალი, თალიანი კოშკი იყო. პატარა სარკმელს რკინის გისოსები ჰქონდა დატანებული. სარკმლიდან ტბის თავზე მფრინავი მოჭადლოებული ჩიტების ჭყვივლი გვესმოდა.

იატაკზე დავსხედით. პატარები და უმწეოები ვიყავით. ვიცოდით, რომ გათენებამდე დავიხოცებოდით.

- ეჰ, სიკვდილი ასეთი ძნელი რომ არ იყოს და ჩვენც - ასეთი პატარები და უმწეოები! - დანანებით თქვა იუმ-იუმმა.

ხელიხელჩაჭიდებულები ვისხედით. მოგვშივდა. ეს შიმშილი არც ერთ შიმშილს არ შეედრებოდა. ეს შიმშილი გვახრჩობდა, გულ-მუცელს გვიტრიალებდა, სისხლს გვიყინავდა და ძალას გვაცლიდა.

ძალიან გვინდოდა, მივწოლილიყავით, დაგვეძინა და აღარასოდეს გავვეღვიძა. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვეძინა. სადამდეც შევძლებდით, ფხიზლად უნდა ვყოფილიყავით. სიკვდილის მოლოდინში შორეულ ქვეყანაზე დავიწყეთ ლაპარაკი.

მამაჩემი გამახსენდა და თვალები ცრემლით ამევსო. შიმშილმა ისე დამასუსტა, ხმამაღლა ტირილი ვერ შევძელი, ცრემლები ლოყებზე ჩამომდიოდა. იუმ-იუმიც ჩემსავით ჩუმად ტიროდა.

- ეჰ, შორეული ქვეყანა ასე შორს რომ არ ყოფილიყო, მწვანე მდელიობის კუნძული - ასე შორს, ჩვენ კი - ასეთი პატარები და უმწეოები! - დანანებით თქვა იუმ-იუმმა.

- იუმ-იუმ, გახსოვს, სალამურს რომ ვუკრავდით და მწვანე მდელოების კუნძულის გორაკებზე რომ დავდიოდით? - ვკითხე მე.

- მახსოვს, მაგრამ დიდი ხნის წინ იყო, - ნაღვლიანად მიპასუხა იუმ-იუმმა.

- აქაც შეგვიძლია სალამურის დაკვრა. სანამ შიმშილი დაგვძლევს და დავიხოცებით, შეგვიძლია ნონოს ნასწავლი მელოდია დავუკრათ, - ვუთხარი მე.

- კარგი, მოდი, კიდევ ერთხელ დავუკრათ, - დამეთანხმა იუმ-იუმი.

სალამურები ამოვიღეთ. ღონეგამოცლილი ხელებით ძლივსლა გვეჭირა, მაგრამ ძველი მელოდია მაინც დავუკარით. ვუკრავდით და იუმ-იუმი ტირილდა. ცრემლები ლოყებზე ჩამოსდიოდა. შეიძლება, მეც მასავით ვტიროდი, არ ვიცი. ძველი მელოდია ლამაზად ჟღერდა, მაგრამ ისე ჩუმად ისმოდა, თითქოს იცოდა, რომ თვითონაც მალე უნდა დადუმებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ჩუმად ვუკრავდით, მოჭადოებულ ჩიტებს მაინც გაუგონიათ და მალე მთელი გუნდი მოფრინდა სარკმელთან. გისოსიდან მათ პატარა, მბრწყინავ, სევდიან თვალებს ვხედავდი. მალე ჩიტები ისევ გაქრნენ. ჩვენ კი დაკვრა აღარ შეგვეძლო.

- ესეც ასე, ახლა ბოლოჯერ დავუკარით, - ვთქვი მე და სალამური ჯიბეში ჩავიდე. ვიგრძენი, რომ ჯიბეში კიდევ რაღაც მედო. ხელი ღრმად ჩავიყავი და ამოვიღე პატარა კოვზი, რომელიც ადრე ირის დას ეკუთვნოდა.

ვნატრობდი, მოჭადოებული ჩიტები კიდევ ერთხელ მოფრინილიყვნენ, რომ კოვზი მეჩვენებინა. იქნებ ირის დას თავისი კოვზი ეცნო! მაგრამ მოჭადოებული ჩიტები აღარსად ჩანდნენ. ხელი კი ისე მქონდა დაუძლურებული, რომ კოვზი ძირს დამივარდა.

- იუმ-იუმ, ხედავ? კოვზი ვიპოვე! - დავანახვე იუმ-იუმს.

- მერე რა, კოვზი რაში გვჭირდება, საჭმელი არ გვაქვს! - ნაღვლიანად მიპასუხა იუმ-იუმმა.

იუმ-იუმი იატაკზე განვა, თვალები დახუჭა და არაფრის თქმა აღარ ისურვა. მეც საშინლად ვიყავი დაღლილი. შიმშილისაგან მთელი სხეული მეკრუნჩხებოდა. რამე უნდა მეჭამა. სულერთია რა, ოღონდ მეჭამა. ყველაზე მეტად პურს ვნატრობდი, არსობის პურს, მაგრამ ვიცოდი, რომ ველარასოდეს შევჭამდი. წყაროს წყალსაც ვნატრობდი, რომელიც წყურვილს კლავს, მაგრამ ვიცოდი, რომ ველარასოდეს დავლევდი. ველარასოდეს შევჭამდი და ველარასოდეს დავლევდი. რძის ფაფაზედაც კი ვფიქრობდი, რომელსაც დეიდა ედლა ყოველ დილით მაჭმევდა და რომელიც არასოდეს მყვარებია.

რძის ფაფასაც კი შევჭამდი და გემრიელიც იქნებოდა. ოჰ, მზად ვიყავი, ყველაფერი მეჭამა!

რის ვაი-ვაგლახით კოვზი ავიღე და პირში ჩავიდე. წარმოვიდგინე, რომ ამ კოვზით რამეს ვჭამდი. პირში საოცარი რაღაც ვიგრძენი: კოვზი მანაყრებდა! ისეთი შეგრძნება მეონდა, თითქოს პურიც ვჭამე და წყალიც დავლიე. კოვზი მაჭმევდა და მასმევდა და ამაზე უფრო გემრიელი არასოდეს არაფერი გამესინჯა. კოვზი სიცოცხლით მავსებდა და თანდათან დავნაყრდი. უცნაური კოვზი იყო, არ იცლებოდა. სულ სავსე იყო და იმდენი ვჭამე, რომ მეტის ჭამა აღარ შემეძლო.

იუმ-იუმი თვალეზდახუჭული იწვა. კოვზი პირში ჩავედე და მან ძილში ჭამა დაიწყო. იუმ-იუმი თვალეზდახუჭული იწვა და პირს აცმაცუნებდა. ბოლოს თვალი გაახილა და თქვა:

- ო, მით, საოცარი სიზმარი ვნახე. ახლა სიკვდილიც იოლია. პური არსობისა დამესიზმრა, პური, რომელიც შიმშილს კლავს.

- ეს სიზმარი არ იყო, - ვუთხარი მე.

იუმ-იუმმა თვალეზი გაახილა და წამოჯდა. როგორც იქნა, მიხვდა, რომ ცოცხალი იყო და აღარ შიოდა. ორივენი გაოგნებულები ვიყავით და, ჩვენი გაჭირვების მიუხედავად, ცოტათი გავმხიარულდით კიდევაც.

- ნეტავ რას გვიზამს მხედარი კიტო, შიმშილით დახოცილებს რომ ვერ გვნახავს? - მკითხა იუმ-იუმმა.

- ოღონდ ქვის გულებს ნუ ჩავგიდგამს, ქვის გულის ძალიან მეშინია! ალბათ ძალიან მტკივნეულია! - ვუპასუხე მე.

- ჯერ ღამე არ მიწურულა, მხედარი კიტო ჯერ არ მოვა. სანამ დროა, მოდი, ისევ შორეულ ქვეყანაზე ვილაპარაკოთ და, რომ არ გავიყინოთ, ერთმანეთს ჩავეხუტოთ.

კოშკში ციოდა და ჩვენ ვიყინებოდით. მოსასხამი მხრებიდან ჩამცურებოდა და მიწაზე ეგდო. მქსოველის ნაჩუქარი მოსასხამი ავიღე და მოვიხურე. მოსასხამის შიგნითა მხარე ხომ ზღაპრული ნაჭრით იყო დათბილული!

იმწამსვე იუმ-იუმის კვილი შემომესმა:

- მით! მით, სადა ხარ?

- მე ხომ აქ ვარ, აქ, კართან ვდგავარ, - ვუპასუხე მე.

იუმ-იუმმა სანთლის ნარჩენი მოატარა იქაურობას, ეს სანთლის ნაძვნი ჩვენი უკანასკნელი ღამის გასანათებლად გვიწყალობეს. იუმ-იუმი აქეთ-იქით ანათებდა და ძალზე შეშინებული ჩანდა.

- ვერ გხედავ. ხომ არ დავბრმავდი? არა, საპყრობილეში ყველაფერს ვხედავ, კარს, მძიმე ურდულებს, შენ კი ვერ გხედავ! - უკვირდა იუმ-იუმს.

მაშინლა შევამჩნიე, რომ მოსასხამი უკულმა მომიხურავს. მქსოველის მიკერებული ზღაპრული ნაჭრის მბზინავი სარჩული გარედან იყო. მოსასხამი მოვიხსენი, სწორად მოვიხურე და იუმ-იუმმა დაიძახა:

- ასე აღარასოდეს შემაშინო. სად დამემალე?

- ახლა მხედავ? - ვკითხე მე.

- რა თქმა უნდა, გხედავ. სად დაიმალე? - უკვირდა იუმ-იუმს.

- ჩემს მოსასხამში! მქსოველმა ის ნამდვილად უჩინმაჩინის მოსასხამად მიქცია, - ავეხსენი მე.

ჩვენ ბევრჯერ მოვსინჯეთ და მართლაც ასე იყო. როგორც კი უკულმა მოვიხურავდი, უჩინარი ვხდებოდი; წაღმა მოვიხურავდი - ვჩანდი.

- მოდი, რაც ძალი და ღონე გვაქვს, ვიყვიროთ! იქნებ ჯაშუშები შემოვიდნენ ყვირილის მიზეზის გასაგებად! შენ გაიპარები, შენი უჩინმაჩინის მოსასხამით მხედარ კიტოს სასახლიდან გახვალ და შორეულ ქვეყანაში დაბრუნდები, - შემომთავაზა იუმ-იუმმა.

- მერე შენ, იუმ-იუმ? - ვკითხე მე.

- მე დარჩენა მომიწევს, - ხმის კანკალით თქვა იუმ-იუმმა, - შენ ხომ მხოლოდ ერთი უჩინმაჩინის მოსასხამი გაქვს!

- ჰო, მხოლოდ ერთი უჩინმაჩინის მოსასხამი მაქვს და მეგობარიც მხოლოდ ერთი მყავს! ან ორივენი გადავრჩებით, ან ერთად დავიხოცებით! - მივუბე მე.

იუმ-იუმი მაგრად მომეხვია.

- იცი, როგორ მინდა, რომ თავს უშველო და შინ, შორეულ ქვეყანაში, დაბრუნდე! მაგრამ არ შემიძლია, არ მიხაროდეს, რომ ჩემთან დარჩენა გსურს. მრცხვენია, მაგრამ არ შემიძლია, არ მიხაროდეს.

ამის თქმა იყო და უცნაური რამ მოხდა: მოჯადოებული ჩიტები დაბრუნდნენ. გისოსებიან ფანჯარასთან მოფრინდნენ. ფრთებს ძლიერად იქნევდნენ. ნისკარტებით მძიმე რაღაცა ეჭირათ. ხმალი მოჰქონდათ, ჩემი ხმალი, რომელსაც ქვის გაპობა შეეძლო.

- ო, მისო! მოჯადოებულმა ჩიტებმა მკვდარი ტბის ფსკერიდან შენი ხმალი ამოიტანეს! - შესძახა იუმ-იუმმა.

მაშინვე ფანჯარასთან მივირბინე, ხელები გისოსებს შორის გავყავი და ჩიტებს ხმალი გამოვართვი. ხმალი ცეცხლივით ლაპლაპებდა და წყლის წვეთები სდიოდა. წვეთებიც ცეცხლივით ანათებდა.

- გმადლობთ, კეთილო ჩიტებო! - ვთქვი მე.

მაგრამ ჩიტებმა თავიანთი მბრწყინავი, ნაღვლიანი თვალებით შემომხედეს და ჩივილ-ჭყვილით ისევ მკვდარი ტბისკენ გაფრინდნენ.

- რა კარგად მოვიქცით, ჩვენი სალამურები რომ დავეუკარიო, - უხაროდა იუმ-იუმს, - თორემ ჩიტები კოშკში ვერასოდეს მოგვაგნებდნენ.

მე ძლივსლა ვუსმენდი. ვიდეი და ხელში ხმალი მეჭირა. ჩემი ხმალი, ჩემი ცეცხლოვანი ხმალი! საოცარ სიძლიერეს ვგრძნობდი. მამაჩემი გამახსენდა. ვიცოდი, რომ ჩემზე ფიქრობდა.

- ახლა, იუმ-იუმ, ახლა მხედარ კიტოს უკანასკნელი ბრძოლის დღე დაუდგა! - ვთქვი მე.

იუმ-იუმი გაფითრდა. თვალები უცნაურად უელავდა.

- შვიდ კლიტეს როგორ გაალებ? სამოცდაჩვიდმეტ ჯაშუშს შეუმჩნევლად როგორ ჩაუვლი? - მკითხა მან.

- შვიდ კლიტეს ჩემი ხმალი დაამსხვრევს, სამოცდაჩვიდმეტი ჯაშუშისგან კი ჩემი მოსასხამი დამმაღავს, - იმედიანად მივუგე მე.

მოსასხამი მხრებზე მოვიგდე. ზღაპრულმა ნაჭერმა კაშკაში დაიწყა. ისე კაშკაშებდა, მთელი ამ ბნელი სასახლის განათება შეეძლო.

იუმ-იუმმა კი მითხრა:

- მის, ვერ გხედავ, მაგრამ ვიცი, რომ აქა ხარ. მე შენს დაბრუნებას დაველოდები.

- თუ ველარასოდეს დავბრუნდი? - ვკითხე მე.

წინასწარ საიდან უნდა მცოდნოდა, მხედარ კიტოსთან უკანასკნელ ბრძოლაში ვინ გაიმარჯვებდა?!

ორივენი გავჩუმდით. დიდხანს, დიდხანს ვიყავით ჩუმად. საპყრობილეში ჩამიჩუმი არ ისმოდა.

შემდეგ იუმ-იუმმა თქვა:

- მის, თუ ველარ დაბრუნდი, ერთმანეთზე ვიფიქროთ. იმდენ ხანს ვიფიქროთ, სანამ ძალ-ღონე გვეყოფა.

- კარგი, იუმ-იუმ, ჩემი ცხოვრების ბოლო წუთს შენზე და მამაჩემზე ვიფიქრებ, - შევპირდი მე.

ხმალი ავნე და რკინის კარი ისე უხმაუროდ გავჭერი, თითქოს ცომისა ყოფილიყოს. ქვის მჭრელი ხმლისთვის რკინის კარის გაჭრა ცომის გაჭრა-სავითაა. რამდენიმე დარტყმით უზარმაზარი ბოქლომი განზე გავისროლე.

შემდეგ კარი გავაღე. ცოტათი გაჭრიალდა. შვიდი ჯაშუში გვდარაჯობდა. ჭრიალის გაგონებაზე ყველანი კარისკენ მოტრიალდნენ. კარისკენ და ჩემ-კენ. ჩემი ზღაპრული მოსასხამი ისე ძლიერ ანათებდა, რომ ვიფიქრე, დამი-ნახავენ-მეთქი.

- ჭრიალი შემომესმა, - თქვა ერთ-ერთმა ჯაშუშმა.

- ჰო, რალაცამ დაიჭრიალა, - თქვა მეორემ.

ჯაშუშები თვალეხს აქეთ-იქით აცეცებდნენ, მაგრამ ვერ მხედავდნენ.

- ალბათ, მხედარ კიტოს ბოროტმა ფიქრმა ჩაგვიქროლა ჭრიალით, - თქვა მესამე ჯაშუშმა.

მაგრამ მე უკვე შორს ვიყავი. ხმალი მოსასხამში შევმალე და მხედარ კიტოს საბრძანებლისკენ თავფუდმოგლეჯილი გავიქეცი.

უზარმაზარი შავი სასახლის ყველა დარბაზში, ყველა კიბეზე და ყველა გასასვლელში ჯაშუშები იდგნენ. მაგრამ მე ვერ მხედავდნენ. მე მხედარ კიტოს საბრძანებლისკენ მივქროდი.

უკვე აღარ მეშინოდა. ახლა ის მით აღარ ვიყავი, რომელიც ვარდნარში ქოხებს აშენებდა და მწვანე მდელოების კუნძულზე თამაშობდა. მე რაინდი ვიყავი! საბრძოლველად გაჩქარებული რაინდი!

მე შეუჩრებლად მივრბოდი მხედარ კიტოს საბრძანებლისკენ. მოსასხამი ზურგს უკან მიფრიალებდა, თვალისმომჭრელად ბზინავდა და ლაპლაპებდა ბნელ სასახლეში. მოელვარე ხმლის ტარი მაგრად მქონდა ჩაბლუჯული.

თან მამაჩემზე ვფიქრობდი. ვიცოდი, რომ ისიც ჩემზე ფიქრობდა. როგორც იქნა, მალე ბრძოლა დაიწყება! ეს არ მაშინებდა. მე უშიშარი, ხმლიანი რაინდი ვიყავი. და მე მივრბოდი და მივრბოდი მხედარ კიტოს საბრძანებლისკენ.

თავში ისე მიქუხდა და მიგუგუნებდა, თითქოს ჩანჩქერი მოჩქეფსო. უკვე მხედარ კიტოს საბრძანებლის წინ ვიდექი.

კარი შევალე. მხედარი კიტო ჩემკენ ზურგშექცევით იჯდა თავის ქვის მაგი-დასთან და გარშემო ბოროტებას აფრქვევდა.

- მხედარო კიტო, მოტრიალდი! - დავიყვირე მე, - ახლა შენი უკანასკნე-ლი ბრძოლის წუთები დადგა!

ის შემოტრიალდა. მოსასხამი ჩამოვიგლიჯე და მის წინ ხმლით ხელში წარვდექი. მას საშინელი სახე გაულურჯდა და მოეჭმუხნა. მის ამაზრზენ თვალებში სიძულვილმა და შიშმა გაიელვა. წამსვე სწრაფად სტაცა ხელი ხმალს, რომელიც მაგიდაზე ედო. დაიწყო მხედარ კიტოს უკანასკნელი ბრძოლა.

სასტიკი და მრისხანე იყო მისი ხმალი, მაგრამ ჩემს ხმალს ვერ შეედრებოდა! ჩემი ხმალი ელავდა, ბრწყინავდა, ელვასავით კვეთდა ჰაერს და მხედარ კიტოს ხმალს უმოწყალოდ ერკინებოდა.

ბრძოლამ, რომელსაც ათასობით წელიწადს ელოდნენ, ერთ საათს გასტანა. ჩუმი, დაუნდობელი ბრძოლა იყო! ჩემი ხმალი ჰაერში ელვასავით დაქროდა და მხედარ კიტოს ხმალს ერკინებოდა. ბოლოს ხმალი ხელიდან გავაგდებინე. მხედარი კიტო ჩემ წინ უიარალოდ იდგა და იცოდა, რომ ბრძოლა მისი დამარცხებით დამთავრდა.

მაშინ თავისი ხავერდის ქურთუკი შემოიხია და შესძახა:

- იცოდე, არ ააცდინო! პირდაპირ გულში ჩამკარი! ჩემს ქვის გულში! ეს გული დიდხანს მანამებდა! დიდხანს მაყენებდა აუტანელ ტკივილს!

მას თვალებში ჩახვედე და უცნაური რამ დავინახე - მხედარი კიტო თითქოს ქვის გულისგან გათავისუფლებას ნატრობდა. შეიძლება, მხედარი კიტო ყველაზე მეტად თვით მხედარ კიტოს ეზიზღებოდა?

დიდხანს არ ვალოდინე, ცეცხლოვანი ხმალი ავწიე, მთელი ძალით მოვიქნე და მხედარ კიტოს ქვის საძაგელ გულში ღრმად ჩავარჯე.

მხედარი კიტო იმწამსვე გაუჩინარდა. ის აღარ იყო, იატაკზე მხოლოდ ქვების გროვა ეყარა. ქვების გროვა და რკინის კლანჭები.

მხედარ კიტოს საბრძანებლის ფანჯრის რაფაზე პატარა ნაცრისფერი ჩიტი იჯდა და ფანჯრის მინაზე ფრთებს აფართხუნებდა. ნამდვილად გარეთ განავარდნა უნდოდა. ჩიტი მანამდე არც შემიმჩნევია. არ ვიცი, სად იმალებოდა. ფანჯარასთან მივედი და გამოვაღე, რათა ჩიტი გაფრენილიყო. ჩიტი შეფრთხილდა, აფრინდა და მხიარულად აჭიკჭიკდა. ეტყობოდა, დიდხანს იყო დატყვევებული.

ფანჯარასთან ვიდექი და თვალს ვადევნებდი გაფრენილ ჩიტს. შევამჩნიე, რომ უკვე გათენებულიყო.



მიო, ჩემო მიო

დიახ, დილა გათენდა. მშვენიერი ამინდი იდგა. მზე ანათებდა, ზაფხულის მსუბუქი, რბილი სიო ქროდა და სანამ ფანჯარასთან ვიდექი, თმას მიწნავდა. ფანჯრიდან გადავიხარე და ქვევით, ტბისკენ ჩავიხედე. სასიამოვნო, ცისფერი პატარა ტბა იყო, რომელშიც მზე ირეკლებოდა. მოჭადოებელი ჩიტები სადღაც გამქრალიყვნენ.

ოჰ, რა მშვენიერი დღე იდგა! ზუსტად ისეთი, თამაში რომ გიხარია. წყლისკენ ჩავიხედე. დილის ქარი წყლის ზედაპირს აციმციმებდა. ძალიან მომინდა ამ სიმაღლიდან ტბაში რამის ჩაგდება. ამ სიმაღლიდან რომ რამე ჩავაგდო, ნეტავ როგორ დაიჭყაპუნებს? ხმლის გარდა ჩასაგდები არაფერი მქონდა, მეც ავდექი და ხმალი ჩავაგდე. ჰერში მფრინავი ხმლის ყურებამ და მისი წყალში ჩავარდნისას ჭყაპუნის გაგონებამ გამახალისა: ხმლის ჩავარდნისას წყალი ამოდგაფუნდა და ზედაპირზე დიდი წრეები წარმოიქმნა. დიდი, ლამაზი წრეები, რომლებიც სულ უფრო დიდდებოდა და მთელ ტბაზე იშლებოდა. ულამაზესი სანახაობა იყო.

მაგრამ იქ დგომისა და გართობის დრო არ მქონდა: იუმ-იუმთან უნდა დავბრუნებულიყავი, უნდა მეჩქარა. ვიცოდი, რომ ღელავდა და მელოდა.

ზუსტად იმავე გზით დავბრუნდი, რომლითაც რამდენიმე საათის წინ აქეთ მოვრბოდი. დიდი დარბაზები და გრძელი დერეფნები ჩუმი და უკაცრიელი იყო. ერთი შავი ჯაშუშიც კი აღარსად ჩანდა. აღარავინ იყო. ფანჯრის გისოსებს შორის მზე ანათებდა და თალებქვეშ ჩამოსულ ობობის ქსელებზე ირეკლებოდა. დღის შუქზე სასახლე უძველესი და პირქუში ჩანდა.

ყველგან უდაბურება და სიჩუმე სუფევდა. უცბად შემეშინდა, ვაითუ, იუმ-იუმ-იც გაქრა-მეთქი! კისრისტეხით გავიქეცი. კოშკს რომ მივუახლოვდი, სალამურის ხმა შემომესმა; იუმ-იუმი უკრავდა. მაშინვე დავწყნარდი და გავმხიარულდი.

ჩვენი საპყრობილის კარი შევალე. იუმ-იუმი ძირს იჭდა. მე რომ დამინახა, თვალები გაუბრწყინდა, წამოხტა და შესძახა:

- ისე ვინერვიულე, სულ სალამურს ვუკრავდი!
- ახლა აღარ უნდა ინერვიულო, ყველაფერი დამთავრდა, - დავამშვიდე მე.

მე და იუმ-იუმი ბედნიერები ვიყავით. სულ ერთმანეთს ვუცქეროდით და ვიცინოდით.

- ახლა წავიდეთ. ჩვენ ახლა წავალთ და აქ აღარასოდეს დავბრუნდებით!
- ვთქვი მე.

ერთმანეთს ხელი ჩავჭიდეთ და მხედარ კიტოს სასახლიდან ეზოში გავედით. და როგორ გგონიათ, ჩემკენ ვინ მოქროლა? მირამისი! ჩემი ოქროსფაფრიანი მირამისი! გვერდით პატარა თეთრი კვიცი მოჰყვებოდა. მირამისი პირდაპირ ჩემკენ მოისწრაფოდა. ხელები კისერზე შემოვხვიე. დიდხანს ვეკვროდი და ყურში ჩავჩურჩულე:

- მირამის, ჩემო მირამის!

მირამისი ერთგული თვალებით მიყურებდა და ვიცოდი, რომ მასაც ყოველთვის ისე ძლიერ ვენატრებოდი, როგორც მე მენატრებოდა.

შუა ეზოში ბოძი ისევ იდგა, მის გვერდით კი ჯაჭვი ეგდო. მივხვდი, რომ ისიც მოეჯადოებინათ, და მირამისი იყო ის შავი ცხენი, რომელიც ეზოში ბოძზე მიჯაჭვული დავინახე. ეს კი ის პატარა კვიცი იყო, რომელიც მხედარმა კიტომ მრუმე ტყიდან მოიპარა. ამ პატარა კვიცის გამო ასი თეთრი ცხენი სისხლის ცრემლებით ტიროდა. ახლა აღარ იტირებენ, თავიანთი კვიცი მალე დაუბრუნდებათ.

- მაგრამ დანარჩენები, რომლებიც მხედარმა კიტომ მოიტაცა? მოჯადოებული ჩიტები სად არიან? - იკითხა იუმ-იუმმა.

- მოდი, ქვევით, ტბისკენ გავაჭენოთ და მოვძებნოთ, - შევთავაზე მე.

მირამისს ზურგზე მოვახტით და გავაჭენეთ. პატარა კვიციც სირბილ-სირბილით მოგვყვებოდა. სასახლის ჭიშკრიდან გავედით.

იმწამსვე უკანიდან რაღაც უცნაური და საშინელი გრუხუნი შემოგვესმა. ჩვენ უკან რაღაცა ჩამოინგრა და მიწა შეძრა. ეს იყო მხედარ კიტოს სასახლე. მის ადგილზე მხოლოდ ქვის გროვა დარჩა. აღარც კოშკები, აღარც ცარიელი დარბაზები, აღარც ბნელი ხვეული კიბე და აღარც გისოსებიანი ფანჯრები... მხოლოდ დახვავებული ქვის გროვა დარჩა.

- მხედარ კიტოს სასახლე აღარ არსებობს! - თქვა იუმ-იუმმა.

- ქვებილა დარჩა! - ვთქვი მე.

სასახლის კლდიდან ტბამდე ვიწრო, საშიში ბილიკი მიიკლავნებოდა. მირამისი ძალიან ფრთხილად ჩადიოდა, ნელ-ნელა ადგამდა ფეხებს, კვიციც მას ჰბაძავდა.

ნაპირთან უვნებლად ჩავედით.

სასახლის კლდის ძირში ბავშვების ჯგუფი იდგა. ნამდვილად ჩვენ გველო-
დებოდნენ, რადგან სახეგაბრწყინებულები გამოიქცნენ ჩვენკენ.

- ვაჰ, ესენი ხომ ნონოს ძმები არიან! - თქვა იუმ-იუმმა, - მათთან ირის პა-
ტარა დაცაა და სხვებიც იქ არიან. მოჯადოებული ჩიტები აღარ არსებობენ!

მირამისიდან ჩამოვხტით. ბავშვები მოგვიახლოვდნენ, ცოტათი მორ-
ცხვობდნენ, მაგრამ მეგობრულად შეგვხვდნენ. ნონოს ერთ-ერთმა ძმამ ხე-
ლი მომკიდა და, თითქოს არ უნდოდა, რომ ვინმეს გაეგო, ჩუმად მითხრა:

- ძალიან მიხარია, ჩემი მოსასხამი რომ გქონდა, ძალიან მიხარია, რომ
ჯადო აგვხსენი!

ერთი პატარა გოგონაც მომიახლოვდა. ირის და იყო. მორცხვობდა, მე
არ მიყურებდა, ტბას უცქეროდა და ჩუმი ხმით მითხრა:

- ძალიან მიხარია, ჩემი კოვზი რომ გქონდა. ძალიან მიხარია, ჯადო რომ
აგვხსენით!

ნონოს მეორე ძმამაც მხარზე ხელი დამადო და მითხრა:

- ძალიან მიხარია, შენი ხმალი ტბიდან რომ ამოვიღეთ. ძალიან მიხარია,
ჯადო რომ აგვხსენით!

- მაგრამ ხმალი ისევ ტბის ფსკერზე დევს, - ვთქვი მე, - მისი ადგილი იქ
არის. მე აღარ მჭირდება.

- ახლა აღარც ჩვენ ამოვიტანთ იქიდან, მოჯადოებული ჩიტები აღარ
ვართ! - თქვა ნონოს ძმამ.

მე ჩემ გარშემო შემოხვეულ ბავშვებს დავხედე.

- მქსოველის ქალიშვილი რომელია? - ვიკითხე მე.

სრული სიჩუმე ჩამოვარდა. არავინ არაფერს ამბობდა.

- მქსოველის პატარა ქალიშვილი რომელია? - კიდევ ერთხელ ვიკითხე
მე. მინდოდა, მისთვის მეთქვა, რომ მოსასხამს შიგნიდან დედამისის მოქსო-
ვილი ტილო ჰქონდა გამოკრული.

- მქსოველის პატარა ქალიშვილი მილიმანი იყო, - ნაღვლიანად თქვა
ნონოს ძმამ.

- სად არის? - დავინტერესდი მე.

- მილიმანი იქ წევს, - მომიგო ნონოს ძმამ.

ბავშვებმა გაიწ-გამოიწიეს. სულ ქვევით, წყლის ნაპირთან, სიპ ლოდზე
პატარა გოგონა იწვა. მასთან მივირბინე და დავიჩოქე. თვალებდახუჭული
გოგონა უძრავად იწვა. ის მკვდარი იყო. ძალიან პატარა და თეთრი სახე
ჰქონდა. მთელი სხეული - დამწვარი.

- ჩირალდანი მან ჩააქრო! - თქვა ნონოს ძმამ.

სასონარკვეთილებში ჩავვარდი. მილიმანი ხომ ჩემ გამო დაილუპა! ძალიან დავნალვლიანდი. მილიმანი ხომ ჩემ გამო დაილუპა! უკვე აღარაფერი მიხაროდა.

- არ იდარდო, მილიმანის ასე სურდა. იცოდა, რომ ფრთები დაეწვებოდა, მაგრამ ჩირალდნის ჩაქრობა მაინც გაბედა! - მამშვიდებდა ნონოს ძმა.

- მაგრამ ის ხომ მკვდარია! - ვთქვი მე სასონარკვეთით.

ნონოს ძმა მილიმანის პატარა, დამწვარ ხელებზე მიეფერა.

- მილიმანი აქ უნდა დაგტოვოთ, მაგრამ წასვლამდე ჩვენს სიმღერას გიმღერებთ, - უთხრა ნონოს ძმამ.

ყველანი მილიმანის გარშემო შემოუსხდნენ და თავიანთი გამოგონილი სიმღერა უმღერეს.

*„დაიკონა მილიმანი, ბნელ ტალღებში ჩავვივარდი,
ფრთადამწვარი ჩავვივარდი, მილიმანი, წყალში!
ვერ იღვიძებ, ველარ იფრენ და ტალღებს ვერ გადააწვდენ,
ბნელ ტალღებს ვერ გადააწვდენ ვარამიან ძახილს“.*

- ახლა შავი წყალი აღარ არსებობს, - თქვა იუმ-იუმმა, - მშვიდი ტალღები აღერსიანად მღერიან მილიმანისთვის, რომელსაც ნაპირზე სძინავს.

- რაიმე გასახვევი რომ გვექონდეს, რაიმე რბილი, რომ ასე მაგარ ქვებზე არ იწვეს, - თქვა ირის დამ.

- ჩემს მოსასხამში გავახვიოთ, დედამისის მოქსოვილ ტილოში გავახვიოთ, - შევთავაზე მე.

მილიმანი ზღაპრულ ნაჭერგამოკრულ მოსასხამში გავახვიე. ქსოვილი ვაშლის ყვავილობაზე უფრო ლამაზი, ბალახში მოსისინე ღამის სიოზე უფრო ნაზი, გულის წითელ სისხლზე უფრო თბილი იყო და, თანაც, დედამისის მოქსოვილი. საბრალო მილიმანი მოსასხამში ძალიან ფრთხილად გავახვიე, რომ ქვებზე რბილად წოლილიყო.

და მაშინ უცნაური რამ მოხდა: მილიმანიმ თვალები გაახილა და შემომხედა. ჯერ ჩუმად იწვა და მიყურებდა. მერე წამოდგა და ბავშვებს გადახედა საოცრად გაკვირვებულმა. აქეთ-იქით იცქირებოდა და სულ უფრო და უფრო გაოცებული ჩანდა.

- რა ცისფერი ტბაა! - თქვა ბოლოს.

მეტი არაფერი. შემდეგ მოსასხამი გადაიძრო და ფეხზე წამოდგა. არანაირი დამწვრობა აღარ ეტყობოდა. ჩვენს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა - გოგონა გაცოცხლდა.

შორს, ტბაზე, ნავი გამოჩნდა. ვილაცა მარჯვედ უსვამდა ნიჩბებს, როდესაც ნავი მოგვიახლოვდა, დავინახე, რომ ხმლის მჭედავი უსვამდა ნიჩბებს. მასთან იყო ენოც.

მალე ნავი ნაპირის ქვეშ მიებჯინა ცხვირით და ისინი ხმელეთზე გადმოხტნენ.

- მე რას ვამბობდი! - დაიჭეჯა ხმლის მჭედავმა, - მე ხომ ვამბობდი, მხედარ კიტოს უკანასკნელი ბრძოლის დრო დადგება-მეთქი!

ენო ჩემკენ გამოიქცა.

- უფლისწულო მისო, რაღაცა მინდა გაჩვენო!

მერე თავისი გამოფიტული, დანაოჭებული ხელი გამომიწოდა და მაჩვენა, ხელში რაც ეჭირა. ეს იყო პატარა ფოთოლი. თხელი, გამჭვირვალე, მწვანე ფოთოლი, რომელსაც სიფრიფანა ღია მწვანე ფერის ძარღვები ჰქონდა.

- მკვდარ ტყეში გაზრდილა, - თქვა ენომ, - ცოტა ხნის წინ ვიპოვე მკვდარ ტყეში, ხეს გამოება.

ენო კმაყოფილებით იქნევდა პატარა, ჭაღარათმიან, გაბურძგნილ თავს.

- ყოველ დილას ვივლი მკვდარ ტყეში და შევამონმებ, ფოთლები მოემატა თუ არა. უფლისწულო მისო, ეს შენ გქონდეს! - და მან ფოთოლი ხელში ჩამიდო. ნამდვილად ფიქრობდა, რომ ამაზე ძვირფასს ვერაფერს მაჩუქებდა. შემდეგ ისევ დაიქნია თავი და თქვა:

- უფლისწულო მისო, სულ ვიჯექი და ვნატრობდი, რომ ხელი მოგმართოდა. ჩემს ქოხში ვიჯექი და იმედი მქონდა, რომ ბედი გაგიღიმებდა.

- მე რას ვამბობდი? - დაიქუხა ხმლის მჭედავმა, - მე ხომ ვამბობდი, მხედარ კიტოს უკანასკნელი ბრძოლის დრო დადგება-მეთქი!


- როგორ დაიბრუნე ნავი? - ვკითხე მე.

- ტბამ დამიბრუნა, - მომიგო ხმლის მჭედავმა.

მე ტბის გაღმა გავიხედე. ხმლის მჭედავის მთასა და ენოს ქოხს გავხედე. ტბაზე სულ უფრო მეტი და მეტი ნავი დაცურავდა და შიგ ჩემთვის უცნობი ხალხი იჭდა. ფერმკრთალი და გამხდარი ადამიანები მზესა და ცისფერ ტბას გაკვირვებულები და გახარებულები შესცქეროდნენ; ჩანდა, აქამდე მზე

ნამდვილად არ ენახათ. ახლა კი მზე ტბასა და კლდეებს ანათებდა. ყველაფერი მეტისმეტად ლამაზი იყო.

მხოლოდ მთის კლდეზე დაყრილი ქვების გროვა აუშნოებდა ამ სილამაზეს. მაგრამ მე ფიქრობდი, რომ ერთ დღეს ქვების ამ გროვას ხავსი დაფარავდა. ერთხელაც, ყველაფერი მთლიანად მწვანე ხავსით დაიფარებოდა და აღარავის ეცოდინებოდა, რომ იქ მხედარ კიტოს სასახლე იდგა. ბევრჯერ მინახავს ხავსზე ამოზრდილი ვარდისფერი ყვავილები, ზარებს რომ ჰგავდნენ. შეიძლება, მხედარ კიტოს სასახლის ხავსზედაც ასეთმა ვარდისფერმა ზარებისმაგვარმა ყვავილებმა გაიხარონ. ალბათ ძალიან ლამაზი იქნება.



შინისაკენ მიმავალი გზა გრძელი იყო, მაგრამ დაბრუნება ყოველთვის ადვილია. პატარა ბავშვები მირამისზე ისხდნენ, ხოლო მათზე უმცროსები - კვიცზე და ეს ძალიან უხაროდათ. დანარჩენები მრუმე ტყემდე ქვეითად მივდიოდით.

ამასობაში დაღამდა და მრუმე ტყე მთვარის ნათების ტყედ იქცა. ტყეში სრული სიჩუმე სუფევდა. უცბად, მირამისმა გამომწვევად, ხმამალლა დაიჭიხ-

ვინა და შორს, მრუმე ტყეში, ასმა თეთრმა ცხენმა მასავით გამომწვევი და ხმამალალი ჭიხვინით უპასუხა. ისინი ჩვენკენ გამოჭენდნენ ფლოქვების თქართეურით. პატარა კვიციც ჭიხვინებდა. ცდილობდა, დიდებივით გამომწვევად და ხმამალლა ეჭიხვინა, მაგრამ მხოლოდ სასაცილო, სუსტი, ძლივსგასაგონი ჭიხვინი გამოსდიოდა. უცბად ასმა თეთრმა ცხენმა მაინც გაიგონა.

ოჰ, როგორ უხაროდათ კვიცის დაბრუნება! სულ გარს ეხვეოდნენ და ახლოს მისვლასა და შეხებას ლამობდნენ, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ ნამდვილად დაბრუნდა.

ახლა უკვე ასი ცხენი გვყავდა და ქვეითად აღარავინ ივლიდა. ყველა ბავშვს შეეძლო ცხენის გაჭენება. მე მირამისს მივაჭენებდი და იუმ-იუმიც, როგორც ყოველთვის, ჩემ უკან იჭდა, რადგან სხვა ცხენზე დაჯდომა არ სურდა. პატარა გოგონა, ყველაზე უმცროსი, კვიცს მიაჭენებდა.

მივქროდით ტყეში და მთვარის შუქზე ასი ცხენი საოცრად ლამაზი ჩანდა.

მალე ხეებს შორის რალაცამ თეთრად გაანათა. მქსოველის სახლის გარშემო მდგარი ვაშლის ხეების ყვავილები ანათებდა. სახლი ზღაპრულს ჰგავდა. შიგნიდან კაკუნი ისმოდა და მილიმანიმ თქვა:

- დედაჩემი ქსოვს.

მილიმანი პატარა ჭიშკართან ცხენიდან ჩამოხტა, ხელი დაგვიქნია და გვითხრა:

- ძალიან მიხარია, შინ რომ დავბრუნდი! მიხარია, ვაშლის ხეების ყვავილობისას რომ დავბრუნდი!

მერე ვაშლის ხეებს შორის მიმავალი ვიწრო ბილიკით გაიქცა და სახლში გაუჩინარდა. სართავი დაზგის კაკუნი შეწყდა.



მაგრამ სახლამდე, მწვანე მდელოების კუნძულამდე, კიდევ გრძელი გზა გველოდა. მე კი ძალიან მეჩქარებოდა მამა-მეფის ნახვა. მირამისი ას ცხენს ედგა სათავეში. ისინი აფრინდნენ, მაღალ მთებს გადაუფრინეს, მრუმე ტყე უკან ჩამოიტოვეს და მწვანე მდელოების კუნძულისაკენ აიღეს გზი.

უკვე დილა იყო, როდესაც დილის ნათების ხიდან მივედი. დარაჯებს ხიდი ჩამოენათ. ხიდი მზის სხივებში ოქროსფრად ბრწყინავდა, როდესაც ასი კისერნაგრძელებული, ფაფარაფრიალებული თეთრი ცხენი ზედ გაჭენდა. ხიდის გუშაგები გაკვირვებულები გვიცქეროდნენ. უცბად, ერთ-ერთმა მათგანმა პირთან საყვირი მიიტანა და ისე ჩაჰბერა, რომ საყვირის ხმა მთელ მწვანე მდელოების კუნძულს მოეფინა. პატარა სახლებიდან და ქოხებიდან გამოვბოდა ხალხი, ვინც მოტაცებულ ბავშვებზე დარდობდა და მათ დაბრუნებას ნატრობდა. ხედავდნენ, რომ თეთრ ცხენებზე ამხედრებული ბავშვები უვნებელნი ბრუნდებოდნენ შინ.

თეთრ ცხენებს მდელოებზე მივაჭენებდით და მალე მამაჩემის ვარდნარს მივალწიეთ. ბავშვები ცხენებიდან ჩამოხტნენ, დედები და მამები მათკენ გამოვბოდნენ და დაახლოებით ისე იქცეოდნენ, როგორც ასი თეთრი ცხენი, როდესაც კვიცი დაბრუნდა. იქ იყვნენ ნონო და ბებიაშისი, ირი და მისი დამები, იუმ-იუმის დედ-მამა და ბევრი სხვაც, რომლებიც არასოდეს მენახა. ისინი ტიროდნენ და იცინოდნენ, შინ დაბრუნებულ ბავშვებს იხუტებდნენ და კოცნიდნენ.

მამაჩემი იქ არ იყო.

ასი თეთრი ცხენი აღარ გვჭირდებოდა, მათ შეეძლოთ მრუმე ტყეში დაბრუნება. და ვხედავდი, მდელოებზე როგორ მიჭირითობდნენ. მათ წინ პატარა თეთრი კვიცი მიჭენაობდა.

იუმ-იუმი დედ-მამას უამბობდა, რაც შეგვემთხვა, და ვერ შეამჩნია, ვარდნარის პატარა ჭიშკარი რომ გავალე და შიგნით შევედი. ვერავინ შეამჩნია, როგორ გავექრი. ეს კარგიც იყო, რადგან იქ მარტოს მინდოდა შესვლა.

ვერცხლისფოთლებიან ალვის ხეებს ჩავუარე. ხეები ძველებურად წკრივავდნენ. ვარდებიც ძველებურად ყვაოდნენ. ყველაფერი უწინდელივით იყო. და უცბად დავინახე. მამა-მეფე დავინახე. ზუსტად იქ იდგა, სადაც დავტოვე, როდესაც მრუმე ტყისკენ და გარექვეყნისკენ გავაჭენე ცხენი. ის იქ იდგა და ჩემკენ ხელები ჰქონდა გამოშვებული. გავიქეცი, ჩავეხუტე და კისერზე მაგრად შემოვხვიე ხელები. ისიც ძალიან მაგრად მეკვროდა და ჩურჩულებდა:

- მისი, ჩემო მისი!

მამაჩემს ხომ ვუყვარვარ და მამაჩემი ხომ მეც მიყვარს!

შესანიშნავი დღე იყო. ვარდნარში მე, იუმ-იუმი, ნონო, მისი ძმები, ირი, მისი და-ძმები და სხვა ბავშვები ვთამაშობდით. მათ ჩემი და იუმ-იუმის აშენებული ქოხი ნახეს და დაასკვნეს, რომ შესანიშნავი ქოხი იყო. ჩვენ მირამისთანაც ვიჭირით. მერე ჩემი მოსასხამით ვითამაშეთ. ნონოს ძმას არ უნდოდა, რომ მოსასხამი მისთვის დამებრუნებინა.

- მისი, სარჩული ხომ ნამდვილად შენია! - მითხრა მან.

მოსასხამით დამალობანას ვთამაშობდით. მე უკულმა ვიფარებდი, ვარდნარში დავრბოდი და ვყვიროდი:

- მე ვერავინ დამიჭერს! მე ვერავინ დამიჭერს!

ბავშვები ცდილობდნენ ჩემს დაჭერას, მაგრამ ვერა და ვერ მიჭერდნენ.

დაბინდებისას ყველა თავ-თავის სახლში უნდა წასულიყო. მშობლებს არ სურდათ, შვილები შინ დაბრუნების პირველსავე დღეს ასე დიდხანს ყოფილიყვნენ გარეთ. იუმ-იუმი და მე ჩვენს ქოხში მარტონი დავრჩით. ვარდნარში ბინდი რომ ჩამოწვა, სალამურები დაუკარით.

- მისი, ამ სალამურებს უნდა გავუფრთხილდე, - მითხრა იუმ-იუმმა, - და თუ ოდესმე ერთმანეთს დავკარგავთ, ძველი მწყემსური მელოდია დავუკრათ.

ამ დროს ჩემს წასაყვანად მამაჩემი მოვიდა. იუმ-იუმს ძილი ნებისა ვუსურვე და ისიც შინ წავიდა. მირამისი ქოხთან ძოვდა და ძილი ნებისა მასაც ვუსურვე. მამაჩემს ხელი მოვკიდე და ჩვენ ვარდნარის გავლით შინ წავედით.

- მისი, ჩემო მისი, სანამ წასული იყავი, გაზრდილხარ. ამ სალამოს სამზარეულოს კარზე ახალი ხაზი უნდა გავუსვათ, - მითხრა მამაჩემმა.

ვერცხლისფერი ალუბის ხეივანში მივდიოდით. ბინდი ვარდნარს მოცისფრო ნისლივით ეხვეოდა. თეთრი ჩიტები ბუდეებში შემალულიყვნენ. სევდის ჩიტი ყველაზე მაღალი ვერცხლისფერი ალუბის ხის კენწეროზე იჭდა და სევდიანად გალობდა. ახლა, როდესაც ყველა ბავშვი შინ დაბრუნდა, აღარ ვიცი, რაზე გალობდა. მაგრამ ვფიქრობ, რომ სევდის ჩიტს სამღერი არასდროს ელევა.

შორს, საძოვრებზე, მწყემსები კოცონებს ანთებდნენ. ერთიმეორის მიყოლებით ინთებოდა კოცონები და სალამოს ბინდს ანათებდა. შორიდან მესმოდა, მწყემსები ძველ მელოდიებს რომ უკრავდნენ.

მე და მამაჩემი ხელიხელჩაკიდებულები მივდიოდით. მამაჩემი ზემოდან დამყურებდა და მილიმოდა, მე ქვემოდან შევცქეროდი და ძალიან ბედნიერი ვიყავი.

- მით, ჩემო მით, - იმეორებდა მამაჩემი, როცა სალამოს ბინდში სახლისკენ მივდიოდით. სხვას არაფერს ამბობდა.

ამასობაში დაღამდა... უკვე ძალიან დიდი ხანია, რაც შორეულ ქვეყანაში ვცხოვრობ და იშვიათად ვიხსენებ იმ დროს, როდესაც უპლანდსგათანზე ვცხოვრობდი. ბენკას კი ხშირად ვიხსენებ, რადგან იუმ-იუმს ძალიან ჰგავს. იმედია, ბენკა მეტისმეტად არ ნალვლობს ჩემზე, რადგან ჩემზე უკეთ არაფინ იცის, რა ძნელია, როდესაც ვინმე გენატრება. მაგრამ ბენკას ხომ დედაც ჰყავს და მამაც! და ვფიქრობ, ახალ მეგობარსაც შეიძენდა.

ზოგჯერ დეიდა ეღლა და ბიძია სიქსტენიც გამახსენდებიან ხოლმე. მათზე გაბრაზებული აღარ ვარ. უბრალოდ, მინდა ვიცოდე, რას ამბობდნენ, როდესაც გავქრი. შეიძლება საერთოდაც ვერ შეამჩნიეს, რომ გავქრი. ჩემზე იმდენად ცოტას ზრუნავდნენ, რომ შეიძლება ვერც კი შეამჩნიეს. შეიძლება დეიდა ეღლას ჰგონია, რომ თუ თეგნერპარკში გაივლის და მომძებნის, რომელიმე სკამზე მიპოვის. შეიძლება ფიქრობს, რომ ლამპიონის ქვეშ, სკამზე ვზივარ, ვაშლს შევექცევი და ცარიელი ლუდის ბოთლით ან სხვა რამით ვთამაშობ კიდეც. შეიძლება ფიქრობს, რომ იქ ვზივარ და იმ სახლებს შევცქერი, რომელთა ფანჯრებში შუქი ანთია და სადაც ბავშვები მშობლებთან ერთად ვახშობენ. შეიძლება ასე ფიქრობს და ბრაზობს, შინ ორცხობილის შეკვრით რომ არ დაგბრუნდი.

დეიდა ეღლა ცდება! ოჰ, როგორ ცდება! თეგნერპარკში სკამზე არანაირი ბოსე არ ზის, რადგან ის შორეულ ქვეყანაშია. ის შორეულ ქვეყანაშია, სადაც ვერცხლისფოთლებიანი ალვის ხეები შრიალებენ; იქ არის, სადაც ღამეს ცეცხლი ანათებს და ათობს; სადაც მამა-მეფე ჰყავს, რომელიც ძალიან უყვარს, და მამა-მეფესაც ძალიან უყვარს.

დიახ, ეს ასეა. ბო ვილჰელმ ულსონი შორეულ ქვეყანაშია და კარგად არის. ძალიან კარგად არის მეფე-მამასთან ერთად!

